# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 28 აგვისტო 1999 №164 (937) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 კოლხოფილია



გამოცდილი სოსო ფილია ფოთის „კოლხეთს“ დაუბრუნდა

## 5 დავით პეტრიაშვილს მოსკოვის სპარტაკი ჩააბარეს

ჩემპიონთა ლიგის დირექტორად ქართველის დანიშვნა უეფას გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს გადაუწყვეტია

## 7 დიდებული ჯოჯოხეთის დასაწყისი

დიდთაგან ყველაზე გვიან ანუ სერია A დღეიდან

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

## 8 ორშაბათიდან ამერიკა ღიაა

US OPEN

ორშაბათს ნიუ იორკში წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის დიდი სლემის ბოლო ტურნირი აშშ-ის ღია პირველობა იწყება

## 15 კუბელები მსოფლიოს პრიზიც გაებუტნენ

ფიდელ კასტრომ კუბელ მოკრივეებს მსოფლიოს ჩემპიონატი მიატოვებინა

# ბიზანტია საქართველოს წინააღმდეგ

ლოკომოტივი — პაოკ | ტორპედო — აეკ

UEFA CUP

27 აგვისტო, მონტე კარლო, აუდიტორიუმ კონგრეს ცენტრი, უეფას თასის პირველი ეტაპის კენჭისყრა. ვიაჩესლავ კოლოსკოვს „კენჭები“ ანუ ბურთულები მიაწოდეს. მანაც გახსნა და... ორივე ქართულ გუნდს წილად ბერძნები არგუნა: „ლოკომოტივს“ სალონიკის პაოკი, „ტორპედოს“ — ათენის აეკი. სხვათა შორის, ჩვენებურთა მეტოქეების ემბლემებზე გამოსახულია ორთავიანი არწივი — ბიზანტიის იმპერიის სიძლიერის სიმბოლო, ასე რომ, ქართველები ბიზანტიას ამჯერად ფეხბურთმა შეახვედრა.

კენჭისყრის სრული შედეგები და ჩვენი მეტოქეების წარდგენა იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

# დიდი გუნდების დიდებული მატჩი

UEFA SUPER CUP

წუხელ მონტე კარლოში „ლაციომ“ მორიგი ისტორიული ჯილდო გააყოლა ხელს. თასების თასის უკანასკნელ გათამაშებაში გამარჯვებულმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ 1:0 ძლევით ის სუპერთასიც მოიპოვა, რომელშიც ამ აღარარსებული და ჩემპიონთა თასების მფლობელები ხვდებოდნენ. მომავალი წლიდან ახალი, ჩემპიონთა და უეფას თასების გამარჯვებულთა დავის ისტორიას ჩაეყრება საფუძველი.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

„ლაციოს“ კაპიტანმა ალესანდრო ნესტამ სუპერთასი მონაკოს პრინც ალბერისგან ჩაიბარა

REUTERS მონტე კარლოდან



ენდი კოულისა (მარცხნივ) და მატიას ალმეიდას „ავიაბრძოლა“

# დიდი გუნდების დიდებული მატჩი

მონაკო
27 აგვისტო
24 საათი
ლუი II
15 223 მაყურებელი

**ლაციო 1:0 მანჩესტერი**

1:0 სალასი (35)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიჰაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, ვერონი, ალმეიდა, ნედვედი (სიმეონე 66), მანჩინი (ლომბარდო 83), ს. ინძაგი (სალასი 23)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი (კურტისი 57), ბერგი, ფ. ნევილი, ბექემი (კრუიფი 58), კინი, სქოულზი, შერინგემი, კოული (გრინინგი 76), სოლსკიაერი

მსაჯი: ვოიციკი (პოლონეთი)

მებრელი ცხენიდან ჩამოვარდა, მიიხედ-მოიხედა და ხალხი რომ ვერ შენიშნა, კაკრაზ აქ მინდოდა ჩამოსვლაო, იხტიბარი არ გაიტეხა. ეს ძველი ანეკდოტი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის ბოსტანში კენჭის ჩასაგდებად გავიხსენეთ. ეშმაკმა შოტლანდიელმა რომ შეატყო „ლაციოსთან“ მარცხდებოდა, მოედანზე ყმაწვილკაცების შეყვანა დაიწყო.

თუმცა მწვრთნელს სხვა გზა, ალბათ, არც ჰქონდა და ამიტომაც მიმართა თავისებურ ხერხს. კერძოდ აი, რა გვაქვს მხედველობაში: მას მერე, რაც „იუნაიტედმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე თამაში იუარა და საუკუნოვანი ეროვნული შეჯიბრება მსოფლიოს ჯერაც ბუნდოვან საკლუბო ჩემპიონატში გაცვალა, სამშობლოში უდიდესი კრიტიკის ობიექტად იქცა. ფული ტრადიციას ამჯობინესო, საყვედურობდენ ინგლისის ისედაც მდიდარ ჩემპიონს ინგლისელები, ხოლო როდესაც შეიტყვეს, რომ გუნდი მონაკოში სუპერთასის სათამაშოდ მიემგზავრებოდა, წამოაძახეს, აკი გადატვირთული კალენდარი გვაქვს და ჩვენებურ შეჯიბრებაში იმიტომ ვერ ვითამაშებთო.

რა უნდა ექნა ფერგიუსონს? მწვრთნელმა გამოსავალი ნახა, გადაწყვიტა ხალხისთვის ეგრძნობინებინა, რომ სუპერთასის შეხვედრა არად უღირს და თამაშს აიძულებენ. ამიტომაც იახლა მონაკოში რამდენიმე ახალგაზრდა დემონსტრაციულად. იქ კი, თუ მოიგებდა, მათ მოედანზე შეუშვებდა და ყველას ათქმევინებდა, აი, რა ძლიერია, ბავშვებითაც იგებსო, ხოლო თუ წააგებდა, იმასვე მოიმოქმედებდა და ხალხს გამოსტყუებდა, აიძულეს თამაში და მანაც ჭაბუკები ავარჯიშა, თორემ რომ მოენდომებინა, „ლაციოს“ ბდღვირს ადენდაო.

ასე იყო თუ ისე, მონტე კარლოს „ლუი მეორეზე“ სუპერთასის მატჩი შედგა, რომელშიც რომაულმა გუნდმა გაიმარჯვა. შეხვედრა ძალიან ლამაზი სანახავი გამოდგა, განსაკუთრებით — ტაიმნახევარი. უამრავი საგოლე მომენტია საგანგებოდ აღსანიშნავი.

თავიდან უპირატესობა თითქოს მანჩესტერელთა იყო, ხოლო მერე, როდესაც „ლაციომ“ პრესინგის მარწუხებს მოუჭირა, სადავეები იტალიის ვიცე-ჩემპიონმა იგდო ხელთ. ამის მერე სურათი აღარ შეცვლილა, ინგლისის ჩემპიონს ტაქტიკურ არსენალში სწრაფი კონტრშეტევებიღა შერჩა.

მომენტები კი ორივე კართან იქმნებოდა, თუმცა, საბოლოოდ მანჩესტერელთა კართან მეტი დაგროვდა, ხოლო გოლი მანამდე არ გავიდა, სანამ ბურთისთვის ბრძოლაში იაპ სტამს სიმონე ინძაგისთვის სახეში იდაყვი არ მოუხვდა და იტალიელს სისხლის შადრევანი არ წასკდა. ინძაგი ჩილელი მარსელო სალასით შეცვალეს და გოლიც თურმე მას ელოდებოდა — პანკარომ მანჩინის გადააწოდა, ბრძენ ფეხბურთელად ჩამოყალიბებულმა ვეტერანმა ბურთი სალასს გადაუგდო და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე ტაიმში გაირკვა, რომ სალასს ელოდებოდა შეხვედრის ყველაზე ტრაგიკომიკური მომენტიც: მან ბურთი იხელთა, „იუნაიტედის“ ჩინებულ გოლკიპერს ვან დერ გოუს გაცდა და სრულიად, აბსოლუტურად, სავსებით დაუცველ კარში ვერ შეაგორა.

სალასისა და ვან დერ გოუს დუეტმა მატჩს კიდევ ერთი ეპიზოდი უძღვნა, ოღონდ — ქრონოლოგიის დარღვევისთვის ბოდიშს გიხდით — პირველი ნახევრის მიწურულს, როდესაც ერთობ საპენალტე სიტუაცია არბიტრმა მეკარის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

საბოლოოდ შეხვედრა, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა 5:3 დამთავრებულიყო, „ლაციოს“ გამარჯვებით დასრულდა. რომაულმა კლუბმა სეზონის დაწყების წინ საუცხოო სტიმული მიიღო — სუპერთასი, ხოლო „იუნაიტედი“ მართალია დამარცხდა, მაგრამ კიდევ ერთხელ შეიქნა ემოციური საფეხბურთო წარმოდგენის მონაწილე. მონტე კარლოში დიდი გუნდების დიდებული მატჩი ჩატარდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# მონტე კარლო — დღე მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასზე ქართულ გუნდებს წილად ბერძნები ხვდათ

ქუთაისის „ტორპედო“ აეკ-ს შეხვდება, თბილისის „ლოკომოტივი“ პაოკ-ს — ასეთია ბედის ნება. მონტე კარლოს აუდიტორიუმ კონგრეს ცენტრში, კენჭისყრათა მეორე დღეს, უეფას თასზე მოასპარეზე გუნდები დააწყვილეს. წინასწარი ჯგუფების თანახმად, ქუთაისელთა შესაძლო მეტოქეები იყვნენ: „მონაკო“, „ვიტესი“ და „ვესტ ჰემი“, თბილისელთა — „რომა“, „ბრონდბიუ“ და „ანდერლეხტი“.

ცერემონიალს უეფას გენერალური მდივანი, გერჰარდ აიგნერი უძღვებოდა, რომელმაც დასაწყისში რამდენიმე საგულისხმო ტექნიკურ საკითხს გაუსვა ხაზი. კერძოდ, წყვილები, რომლებიც სტუმარ-მასპინძლის შეცვლას ან პირველი მატჩის ერთი დღით გადატანას ისურვებენ,ვალდებულნი არიან, ამის შესახებ უეფას 3 სექტემბრამდე აცნობონ, ხოლო საპასუხო მატჩების თაობაზე რაიმეს შეტყობინებისთვის ვადა 10 სექტემბრამდეა დათქმული. რაც შეეხებათ იუგოსლავიურ გუნდებს, თუ მათ ქვეყანაში საჰაერო მიმოსვლა 3 სექტემბრამდე ძველებურ კალაპოტში არ ჩადგება, საშინაო შეხვედრების გამართვა ნეიტრალურ მინდორზე მოუწევთ.

თასის მფლობელი, იტალიური „პარმა“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, ტიტულის დაცვას უკრაინულ „კრივბასთან“ დაპირისპირებით იწყებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 11 სეზონში უეფას თასი რვაჯერ სწორედ იტალიურმა კლუბმა მოიგო. საყურადღებოა ისიც, რომ მას მერე, რაც ეს შეჯიბრება დაარსდა, ანუ 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ ბაზრობათა თასი რომ ერქვა, ამდენი მონაწილე — 96 —, მას არ ჰყოლია.

მონტე კარლოს წილისყრამ განთესილი 48 და გათამაშებაში შესარჩევი ეტაპის გავლით მოხვედრილი ამდენიმე გუნდი დააწყვილა, ხოლო ნოემბრის ბოლოს, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველი ეტაპი დასრულდება, იქ მესამე ადგილზე გასული გუნდებიც უეფას თასს შეუერთდებიან.

**უეფას თასი. II ეტაპი. I წრე — 16 სექტემბერი; II წრე — 30 სექტემბერი**

UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| არისი (სალონიკი, საბერძნეთი) | — | სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) |
| ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) | — | მონპელიე (საფრანგეთი) |
| ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) | — | რაპიდი (ვენა, ავსტრია) |
| იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | — | ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) |
| აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) | — | დუკლა (სლოვაკეთი) |
| ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | — | პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) |
| ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) | — | ვერდერი (ბრემენი, გერმანია) |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) | — | კარპატი (ლვოვი, უკრაინა) |
| ლოზანა (შვეიცარია) | — | სელტა (ვიგო, ესპანეთი) |
| სკონტო (რიგა, ლატვია) | — | ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) |
| პარმა (იტალია) | — | კრივბასი (კრივოი როგი, უკრაინა) |
| ვოლფსბურგი (გერმანია) | — | დებრეცენი (უნგრეთი) |
| ტეპლიცე (ჩეხეთი) | — | ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| ტოტენჰემი (ლონდონი, ინგლისი) | — | ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) |
| ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) | — | ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) |
| მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | — | ლანსი (საფრანგეთი) |
| ბეირა მარი (პორტუგალია) | — | ვიტესი (არნემი, ჰოლანდია) |
| მონაკო (საფრანგეთი) | — | სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) |
| ტორპედო (ქუთაისი, საქართველო) | — | აეკ (ათენი, საბერძნეთი) |
| ვესტ ჰემ იუნაიტედი (ლონდონი, ინგლისი) | — | ოსიეკი (ციბალია, ხორვატია) |
| ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო) | — | პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) |
| ამიცა (ვრონკი, პოლონეთი) | — | ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) |
| რომა (რომი, იტალია) | — | ვიტორია (სეტუბალი, პორტუგალია) |
| ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) | — | ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) |
| ლეხი (პოზნანი, პოლონეთი) | — | გიოტებორგი (შვედეთი) |
| სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) | — | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) |
| ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი) | — | ლიონი (საფრანგეთი) |
| სიგმა (ოლომოუცი, ჩეხეთი) | — | მალიორკა (ესპანეთი) |
| კოპენჰაგენი (დანია) | — | გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) |
| ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | — | ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) |
| ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) | — | დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) |
| მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | — | ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) |
| ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია) | — | სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) |
| გრაცერი (ავსტრია) | — | სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) |
| იონიკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) | — | ნანტი (საფრანგეთი) |
| ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| ანორთოსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი) | — | ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) |
| გორიცა (სლოვენია) | — | პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) |
| სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) | — | ლინცერი (ავსტრია) |
| ზენიტი (სანქტ პეტერბურგი, რუსეთი) | — | ბოლონია (იტალია) |
| როდა (კერკრადე, ჰოლანდია) | — | შახტარი (დონეცკი, უკრაინა) |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | — | კილმარნოკი (შოტლანდია) |
| ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) | — | ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) |
| ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | — | ლიუნგბიუ (დანია) |
| ვოივოდინა (ნოვი სადი, იუგოსლავია) | — | სლავია (პრაღა, ჩეხეთი) |
| ციურიხი (შვეიცარია) | — | ლიერსი (ბელგია) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | — | დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) |
| უდინეზე (უდინე, იტალია) | — | ოლბორგი (დანია) |

## ქუთაისის «ტორპედოს» მეტოქე

# ისევ ბერძნები, ისევ ტუმბაკოვიჩი

ქუთაისის „ტორპედოს" მოწინააღმდეგედ ბერძნული ფეხბურთის „დიდი სამეულის" წარმომადგენელი, ათენის აეკ-ი ერგო. გუნდი, რომელიც 75 წლის არსებობის მანძილზე თერთმეტჯერ ყოფილა ქვეყნის ჩემპიონი და ამ მაჩვენებლით მხოლოდ „ოლიმპიაკოსს" (28) და „პანათინაიკოსს" (18) ჩამოუვარდება.

კლუბის დაარსების ისტორია საკმაოდ საინტერესოა, და, სხვათა შორის, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „ლოკომოტივის" მეტოქის — პაოკ-ის შექმნის ამბავს. 1924 წელს თურქეთ-საბერძნეთის ომის გამო კონსტანტინოპოლიდან (დღევანდელი სტამბოლი) საბერძნეთში უამრავი ემიგრანტი ჩავიდა, იქ თავიანთი სათვისტომოები შექმნეს და აი, ემიგრანტთა ერთმა ჯგუფმა იმავე წელს საფეხბურთო კლუბი დააარსა, რომელსაც კონსტანტინოპოლის ათლეტთა კავშირი დაარქვეს. სწორედ ამას ნიშნავს აბრევიატურა **AEK (Athlitiki Enosi Konstantinoupoleos)**. კლუბის ფერები (შავ-ყვითელი) და ემბლემა ბიზანტიის იმპერიის სიმბოლური გამომხატველია. ორთავიანი არწივი იმპერიის ძლევამოსილებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ურყევობის ნიშანი გახლავთ.

საბერძნეთის ჩემპიონატების ისტორია 1928 წლიდან იწყება. თავიდან „პანათინაიკოსი", „ოლიმპიაკოსი" და სალონიკის „არისი" მძლავრობდნენ. აეკ-ი სამეულში პირველად 1933-ში მოხვდა, მერე კი გუნდი სულ უფრო ძლიერდებოდა და 1939-1940 წლებში ზედიზედ მოიპოვა ელინთა ქვეყნის უძლიერესის სახელი. საინტერესოა, რომ ეს ტიტული აეკ-ს 1946 წლამდე შემორჩა. მეორე მსოფლიო ომმა ჩემპიონატი შეწყვიტა და მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ განახლდა. დღემდე კი, როგორც ვთქვით, ქვეყნის პირველობა აეკ-ს თერთმეტჯერ მოუპოვებია.

1994-97 წლებში ამ გუნდს საქართველოშიც მოუმრავლდნენ ქომაგები. მიზეზი, ამ პერიოდში აეკ-ის ყვითელი მაისურა ჩვენს თემურ ქეცბაიას ეცვა. თემურმა ათენელებთან ერთად ორჯერ მოიგო საბერძნეთის თასი, ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა და საერთოდ, დღემდე ბოლო წლების ბერძნული ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

| აეკ (ათენი, საბერძნეთი) |
|---|
| დაარსდა: 1924 წელს |
| პრეზიდენტი: აპოსტოლოს ნიკოლაუ |
| მწვრთნელი: ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი (იუგოსლავია) |
| სტადიონი: „ნიკოს გუმასი" (ტევადობა 33 494) |
| საბერძნეთის ჩემპიონი (11): 1939, 1940, 1963, 1968, 1971, 1978, 1979, 1989, 1992, 1993, 1994 |
| საბერძნეთის თასის მფლობელი (10): 1932, 1939, 1949, 1950, 1956, 1966, 1978, 1983, 1996, 1997 |

აეკ-ის ევროპული დებიუტი 1963-64 წლების სეზონში შედგა. მაშინ ჩემპიონთა თასის პირველ რაუნდში „შავ-ყვითლებმა" ფრანგულ „მონაკოსთან" წააგეს (1:1, 2:7). დღემდე კი ევროთასებზე 27-ჯერ მიიღეს მონაწილეობა და საუკეთესო შედეგი 1976-77 წლების უეფას თასის ტურნირში ჰქონდათ, როცა ნახევარფინალამდე მიაღწიეს და ტურინის „იუვენტუსთან" დამარცხდნენ (0:1, 1:4). აღსანიშნავია 1994-95 წლების სეზონიც. იმ შემოდგომაზე აეკ-ი თემურ ქეცბაიასთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, თუმცა ჯგუფიდან გაღწევა ვერ მოახერხა.

ახლა ქუთაისელთა მეტოქის დღევანდელ ამბებზეც ვთქვათ. ზაფხულში გუნდში ახალი მწვრთნელი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი მივიდა. სწორედ ის ტუმბაკოვიჩი, რომელიც შარშან ბელგრადის „პარტიზანს" წვრთნიდა და თასთა თასის გათამაშებაში ჩვენებურ „ბათუმს" მოუგო. სერბმა მწვრთნელმა ათენელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და დანიშვნისთანავე პირველი შენაძენი გააკეთა, „ბარსელონადან" აეკ-ში 25 წლის ნახევარმცველი დრაგან ჩირიჩი გადაიყვანა.

ჩვენი ბერძენი კოლეგების ცნობით, კლუბთან ჩირიჩსაც სამწლიანი ხელშეკრულება დაუდვია. 1996 წელს ეს ფეხბურთელი ტუმბაკოვიჩის ხელმძღვანელობით „პარტიზანში" თამაშობდა და მაშინ იუგოსლავიის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გარდა ამისა, ზაფხულში ახალმა მწვრთნელმა კიდევ ერთი თანამემამულე გორან პეტრიჩი შეიძინა, რომელსაც ინგლისურ „კრისტალ პალასთან" კონტრაქტი დამთავრებოდა.



აეკისა და საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დიმიტრიოს მარკოსი

საბერძნეთის წლევანდელი ჩემპიონატი 12 სექტემბერს იწყება და პირველივე ტურში აეკ-ი სტუმრად ითამაშებს „ლოკომოტივის" მეტოქე პაოკ-თან, მერე კი პირდაპირ ქუთაისს მიაშურებს. მანამდე გუნდი სეზონისთვის საფრანგეთში ემზადებოდა.

საინტერესოა, რომ შეკრებაზე არ წაუყვანიათ 34 წლის თავდამსხმელი — ვეტერანი დანიელ ბატისტა, რომელმაც ტრავმის გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გააცდინა. ბატისტა უკვე შვიდი წელია, აეკ-ში თამაშობს და 166 მატჩში 66 გოლი გაიტანა. გუნდში საბერძნეთის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელიც თამაშობს. კაპიტანი, მეკარე ილიას ატმაციდისი, მცველი დიმიტრიოს მარკოსი, ნახევარმცველი ანდრეას ზიკოსი და ფორვარდი დემის ნიკოლაიდისი.

დაბოლოს, ცოტა ფინანსებზეც. ბერძნული პრესის ცნობით, ინგლისურმა ფირმა **Enic**-მა, რომელსაც აეკ-ის აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნის, ფასიანი ქაღალდების 40 პროცენტი ფირმა **Nethold**-ს მიჰყიდა. ეს **Nethold**-ი უმდიდრესი კომპანია **Netmed**-ის ფილიალი ყოფილა, რომელსაც ბერძენი მაგნატი სპირის ლაცისი აკონტროლებს. ლაცისი **Eurobank**-ის მფლობელიც გახლავთ. **Enic**-ი, რომელსაც წილი „რეინჯერსში", „ვიჩენცაში" და პრაღის „სლავიაშიც" აქვს, ალბათ, აეკ-ის აქციების 38 პროცენტს დაიტოვებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

**აეკის შედეგები ევროთასებზე ბოლო 10 წლის მანძილზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1989-90 | ჩთ | აეკ — დინამო (დრეზდენი, გდრ) | 5:3, 0:1 |
| | | აეკ — მარსელი (საფრანგეთი) | 1:1, 0:2 |
| 1991-92 | უთ | ვლაჟნია (ალბანეთი) — აეკ | 0:1, 0:2 |
| | | სპარტაკი (მოსკოვი) — აეკ | 0:0, 1:2 |
| | | აეკ — ტორინო (იტალია) | 2:2, 0:1 |
| 1992-93 | ჩთ | აეკ — აპოელი (კვიპროსი) | 1:1, 2:2 |
| | | აეკ — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 1:0, 0:3 |
| 1993-94 | ჩთ | მონაკო (საფრანგეთი) — აეკ | 1:0, 1:1 |
| 1994-95 | ჩლს | აეკ — რეინჯერსი (შოტლანდია) | 2:0, 1:0 |
| | ჩლ | კაზინო (ავსტრია) — აეკ | 0:0, 1:3 |
| | | აეკ — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:2, 0:2 |
| | | აეკ — მილანი (იტალია) | 0:0, 1:2 |
| 1995-96 | თთ | აეკ — სიონი (შვეიცარია) | 2:0, 2:2 |
| | | მიონხენგლადბახი (გერმანია) — აეკ | 4:1, 1:0 |
| 1996-97 | თთ | აეკ — ხემლონი (სლოვაკეთი) | 1:0, 2:1 |
| | | ოლიმპია (სლოვენია) — აეკ | 0:2, 0:4 |
| | | პსჟ (საფრანგეთი) — აეკ | 0:0, 0:3 |
| 1997-98 | თთ | აეკ — დინაბურგი (ლატვია) | 5:0, 4:2 |
| | | აეკ — შტურმი (ავსტრია) | 2:0, 0:1 |
| | | აეკ — ლოკომოტივი (მოსკოვი) | 0:0, 1:2 |
| 1998-99 | ჩლს | აეკ — აიკ (შვედეთი) | 0:0, 0:1 |

*წყვილში პირველი პირველი მატჩის მასპინძელია.*

| პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) |
|---|
| დაარსდა: 1926 წელს |
| პრეზიდენტი: იორგოს ბატატუდისი |
| მწვრთნელი: არი ჰაანი (ჰოლანდია) |
| სტადიონი: „ტუმბასი" (ტევადობა 41 000) |
| საბერძნეთის ჩემპიონი (2): 1976, 1985 |
| საბერძნეთის თასის მფლობელი (2): 1972, 1974 |



**პაოკის შედეგები ევროთასებზე ბოლო 10 წლის მანძილზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1990-91 | უთ | სევილია (ესპანეთი) — პაოკ | 0:0, 0:0 (4:3 პ) |
| 1991-92 | უთ | პაოკ — მეხელენი (ბელგია) | 1:0, 1:0 |
| | | პაოკ — ტიროლი (ავსტრია) | 0:2, 0:2 |
| 1992-93 | უთ | პსჟ (საფრანგეთი) — პაოკ | 0:2, 0:2 |
| | | პაოკ — სპარტაკი (სლოვაკეთი) | 5:3, 1:0 |
| | | პაოკ — არსენალი (ინგლისი) | 1:0, 1:1 |
| | | ატლეტიკო (ესპანეთი) — პაოკ | 2:5, 4:4 |
| 1998-99 | უთ | რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ | 2:0, 0:0 |

*წყვილში პირველი პირველი მატჩის მასპინძელია.*

## თბილისის «ლოკომოტივის» მეტოქე

# გახსოვთ, ფრანცესკოსი?

პაოკ-ი თავის ათენელი თანამემამულისგან განსხვავებით ნაკლებ ტიტულიანია. ის საბერძნეთის საშუალოთა კატეგორიას მიეკუთვნება. შარშანდელ ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილიც მისთვის ზედგამოჭრილია. აეკ-ის მსგავსად, პაოკ-იც ემიგრანტების ჩამოყალიბებული გუნდია, ოღონდ არა ათენში, არამედ ქალაქ სალონიკში. კლუბის პირველი პრეზიდენტი ვინმე ხრისტოს ტრაინტაფილე ყოფილა და დაახლოებით ასეთი იდეა ჰქონია — თუ ათენში არსებობს აეკ-ი, სალონიკში რატომ არ უნდა იყოსო და ამ სახელის დარქმევას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაუფიქრებია და კლუბს აეკ-ის მონათესავე აბრევიატურა დაარქვეს **PAOK (Panthessalonikeos Athlitikos Ominos Konstantinoupoleos)**. კლუბის ემბლემაც აეკ-ის იდენტურია — ბიზანტიური ორთავიანი არწივი, თუმც ფერებში განსხვავებაა. პაოკ-ის ფერები თეთრი და შავია, რაც კლუბის მეისტორიეთა თქმით, მაშინდელ ემიგრანტთა იმედისა და გაურკვეველი მომავლის სიმბოლოა.

პაოკ-ის ოქროს ხანად 70-იანი წლები ითვლება. ათწლეულის დასაწყისში გუნდმა ორჯერ ქვეყნის თასი მოიპოვა, ხოლო 1976-ში პირველად გახდა საბერძნეთის ჩემპიონი. მაშინ სალონიკელებმა ხუთი ქულით აჯობეს მეორე ადგილზე გასულ აეკ-ს. მეორე დიდი გამარჯვება კი ცხრა წლის შემდეგ იყო. პაოკ-ი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი გახდა და ამ მხრივ ქვეყანაში მეხუთე მაჩვენებელი აქვს (ოლიმპიაკოსის, პანათინაიკოსის, აეკ-ისა და არისის შემდეგ).

ოფიციალურ ევროშეჯიბრში პაოკ-მა პირველად 1965-66 წლების ბაზრობათა თასზე ითამაშა და პირველივე რაუნდში ვენის „ავსტრიასთან" (2:1, 0:6) დამარცხდა. დღემდე გუნდმა ევროთასზე 20-ჯერ მიიღო მონაწილეობა. საუკეთესო შედეგი კი 1973-74 წლების თასების თასზე ჰქონდა, როცა მეოთხედფინალს მიაღწია. იქ კი იტალიურ „მილანთან" (2:2, 0:3) წააგო.

დღევანდელ შემადგენლობაში საბერძნეთის ნაკრების ორი ფეხბურთელი, მეკარე ნიკოს მიხოპულოსი და ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, 30 წლის მცველი (ხანდახან ნახევარმცველიც) კოსტას ფრანცესკოსი თამაშობენ. ეს სწორედ ის ფრანცესკოსია, რომელიც საქართველო-საბერძნეთის ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩში „პაიჭაძის" მინდორზე 81-ე წუთზე გამოიყვანეს და ხუთ წუთში ჩვენებურებს პირველი საპასუხო ბურთი გაუტანა.

მწვრთნელად კი, ჩვენი ინფორმაციით, 70-იანი წლების ჰოლანდიის დიდი გუნდის წევრი არი ჰაანი ჰყავთ.

მოკლედ ასეა, ქართველების გზაზე ამ ბოლო დროს ბერძნები ხშირად დგებიან. ნაკრებმა პირწმინდად წააგო ელინებთან. ახლა ვითომ კლუბების ჯერია?

**სოლომონ გულისაშვილი**

**I ტური**

12 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| პაოკ | — | აეკ |
| კალამატა | — | ოფი |
| ქსანტი | — | არისი |
| პანათინაიკოსი | — | ტრიკალა |
| პანაჰაიკი | — | იონიკოსი |
| ეთნიკოსი | — | კავალა |
| პროოდეფტიკი | — | ოლიმპიაკოსი |
| პანიონიოსი | — | პანილიაკოსი |
| ირაკლისი | — | აპოლონი |

**გასული სეზონის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 34 | 27 | 4 | 3 | 82:22 | 85 |
| აეკ | 34 | 23 | 6 | 5 | 71:27 | 75 |
| პანათინაიკოსი | 34 | 23 | 5 | 6 | 66:36 | 74 |
| პაოკ | 34 | 19 | 5 | 10 | 52:31 | 62 |
| იონიკოსი | 34 | 17 | 9 | 8 | 64:36 | 60 |
| არისი | 34 | 19 | 3 | 12 | 53:43 | 60 |
| ქსანტი | 34 | 16 | 8 | 10 | 44:33 | 56 |
| ოფი | 34 | 16 | 3 | 15 | 50:44 | 51 |
| ირაკლისი | 34 | 13 | 8 | 13 | 55:45 | 47 |
| კავალა | 34 | 12 | 6 | 16 | 46:62 | 42 |
| ეთნიკოსი (ა) | 34 | 11 | 7 | 16 | 40:58 | 40 |
| პროოდეფტიკი | 34 | 10 | 9 | 15 | 28:37 | 39 |
| პანილიაკოსი | 34 | 11 | 5 | 12 | 37:54 | 38 |
| აპოლონი | 34 | 9 | 9 | 16 | 42:62 | 36 |
| პანიონიოსი | 34 | 9 | 5 | 20 | 42:58 | 32 |
| პანელეფსინ. | 34 | 7 | 11 | 16 | 25:49 | 32 |
| ვერია | 34 | 6 | 5 | 23 | 20:55 | 23 |
| ეთნიკოსი (პ) | 34 | 0 | 8 | 26 | 17:82 | 8 |

**თასის ფინალი**

ოლიმპიაკოსი 2:0 პანათინაიკოსი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

# 3 ტური

# ქუთაისიდან ბრაზილიამდე

ორად გაყოფილი და დალუწკენტებული მეთერთმეტე ეროვნულის მესამე ტურს ორი ევროელჩით მიეგებება. ქართული ფეხბურთისთვის უჩვეულოდ, ქართველი ქომაგის გულისგასახარად და მტრის გულის მოსაკლავად, „ტორპედომ“ და „ლოკომოტივმა“ ბოლომდე ივაჟკაცეს და ესტონური „ლანტანა“ ბელფასტურ „ლინფილდთან“ ერთად ევროსარბიელიდან მიაბრძანეს.

მიბრძანებაცაა და მიბრძანებაც, თუკი რკინიგზელებს გვარიანად გაუჭირდათ ნახევრად პროფესიონალი ბრიტანელების ბარიერის დაძლევა, ტორპედოელებმა, პირიქით, საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს ბალტიისპირელ რუსებს.

ერთი სიტყვით, მოკვდი, მტერო, იხარე... ეროვნულო სტადიონო! ჰო, ჰო, ასეა — ქართული გუნდებისთვის ჭერიც და კარავიც ახლა პაიჭაძის სახელობის სტადიონია და ვფიქრობთ, ევროპელ სტუმრებს „ლოკომოტივიც“ და „ტორპედოც“ თბილისში ეროვნულზე უმასპინძლებენ.

თუმცა, შეიძლება „გივი კილაძეს“, ევროდონეზე მოკაზმვაც მოახერხონ ქუთაისელებმა მომდევნო ეტაპისთვის (მაგათას რას გაიგებ), აი, „ლოკომოტივის“ მშობლიური „მიხეილ მესხი“ კი იმგვარადაა გამოშიგნული, ხურცილავას გუნდი უეფას თასის ფინალშიც რომ გავიდეს, ვაკეში ერთ მატჩსაც ვერ ითამაშებს.

მანამ ქართულ ფეხბურთს არაფერი ეტკინა, სანამ რომელიმე ქართულმა გუნდმა უეფას თასის ფინალში არ ითამაშოს, მაგრამ ეროვნული თას-ჩემპიონატი ხომ მაინც გვაქვს. ჰოდა, მათზე მოვიკლათ ჟინი. თასის რა მოგახსენოთ, სანამ პირველი ლიის გუნდები მის გათამაშებაში ჩაერევიან, შემოდგომაც მოვა. ეროვნულში კი 29-30 აგვისტოს რვავე შეხვედრა გაიმართება და ჰა, ბურთი, ჰა მოედანი.

კვირას, 29 აგვისტოს, ტურის ხუთი მატჩი ჩატარდება, ორშაბათს კი დარჩენილი სამი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ევროთასებზე მონაწილე გუნდების მდგომარეობა და „ლოკომოტივს“ და „ტორპედოს“ თამაშები ორშაბათისთვის გადაუვადა. ტურის ანონსი 29 აგვისტოს შეხვედრებით დავიწყოთ.

ამ დღეს საფეხბურთო იმერეთი ერთადერთი მატჩით შეეგებება. წყალტუბოში „სამგურალი“ „არსენალს“ უმასპინძლებს. გუნდების განწყობა ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც „დინამოს“ მეკარე დონდტი „ბათუმის“ თავდამსხმელ უვაკვეს. თუკი წინა ტურში „დინამოს“ დამმარცხებელ არმიელებს ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა „ლოიდის“ სანდლად, „სამგურალის“ საქმეები მეთერთმეტე ეროვნულში ისე შავად მიდის, მეტი არ შეიძლება. ვნახოთ, ეგებ წყალტუბოელთა კვერი სწორედ მესამე ტურში გამოცხვეს და იმერლებმა „არსენალთან“ მაინც გაახერხონ ერთი ან სულაც სამი ქულა. ამაში მათ საკუთარი კედლებიც დაეხმარებათ. რაც შეეხება „არსენალს“, სახელი კი უგავს ოძელაშვილის, მასავით მდიდარსაც წაართვა („დინამოს“), მაგრამ ღარიბს თუ მისცემს („სამგურალს“), ჯერაც საკითხავია.

დასავლეთი კვირას ერთ სუპერინტრიგან შეხვედრასაც უმასპინძლებს. საუბარია „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯიაზე“. და რაში მდგომარეობს ინტრიგა?! პირველი — „ვიტ ჯორჯიამ“ შარშან, მეათე ეროვნულში სამი ქულა წამოიღო „ბათუმიდან“, მეორე — ვეტერინარები ორი ტურის მერე „კენტებში“ პირველობენ და თუ ჯანი კარნევალეს კლუბთან ფრე მაინც ითამაშეს, კიდევ ერთი ტურით გაინალდებენ პირველ გუნდობას.

ნამდვილად დაძაბული თამაში იქნება, ოღონდ ფავორიტად მაინც „ბათუმი“ მიგვაჩნია. აჭარლები შინ ძლიერად თამაშობენ და შარშანდელი წყენიდან გამომდინარე, მოტივაციაც შავი ზღვისხელა აქვთ.

ახლა აღმოსავლეთსაც ვეწვიოთ და რახან ლიხს აქეთ პირველი გორი გვხვდება (თბილისთან და რუსთავთან შედარებით), „დილა“ — „კოლხეთის“ მატჩზე ვიმსჯელოთ. გორში ცხრილის მეზობლები გააგორებენ ბურთს. აქამდე ფოთელებმა ერთი მოიგეს, ერთი წააგეს, „დილამ“ კი თსუ-სთან არცთუ სახარბიელო ფრეს ქუთაისში გაცილებით მადისაღმძვრელი 2:2 მიუმატა და ახლა, წაგების არმქონე, მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება სტუმარს. ვინაიდან და რადგანაც გორს დაუბრუნდა არაერთი გორელი ფეხბურთელი, ვინაიდან და რადგანაც „კოლხეთს“ აქცენტი ახალგაზრდებზე გადაუტანია, ვფიქრობ, ამ მატჩში უპირატესობა „დილას“ მხარეზე იქნება თუ ასე მოხდა, ქართლელები უცილოდ აინაცვლებენ „ლუწოსანთა“ ცხრილში.

თბილისში „პაიჭაძე“ ძმებს და ახლობლებს — „დინამოს“ და „თბილისს“ უმასპინძლებს. ამ გუნდებს თითქმის ყველაფერი საერთო აქვთ — სტადიონი, ფორმა, ბაზა, ერთ დროს სახელიც, კია ცოტა განსხვავება ასაკში, მაგრამ ილარიონის და ზურიკელასი არ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, ვის მეტი ბალანი და ბურდღა ექნება თავზე, გავა დრო და „თბილისის“ ფეხბურთელები „დინამოს“ ფეხბურთელებად იქცევიან. მოგებით კი აუცილებლად „დინამო“ მოიგებს ამაში უამრავი კანონზომიერება — „დინამო“ აგვისტოში ვერ იგებს. თორემ აწი, შემოდგომაზე აიწყვეტს. სხვა რომ არ იყოს, „თბილისი“ მისი ყოფილი ფარმკლუბია და არც ცხვარი დაგვავიწყდეთ. ველოდოთ მარადი ჩემპიონის პირველ გამარჯვებას მეთერთმეტე ეროვნულში.

29 აგვისტოს შეხვედრების ანონსს „გორდა“ — „ხობის“ მატჩით დავასრულებთ. რუსთაველებმა ყველაზე ცუდად („სამგურალთან“ ერთად) დაიწყეს ეს ჩემპიონატი და ახლა პირველ ჯგუფში ხელახლა აღზევებულ ხობელებთან გამარჯვებას შეეცდებიან. მათ ამაში ვარლამ კილასონიას ნაცადი და ხალასი ნიჭიც შეუწყობთ ხელს. „ფოლადის“ ფოლადურ საფარზე ქარმა, წესით, ხობელთა კარისკენ უნდა იქროლოს და რა ტაროსი იქნება მატჩის შემდეგ რუსთაველთა გულებში, ამას სამშაბათის „სარბიელში“ შეიტყობთ. ალადაშვილი და კომპანია არც წლეულსაა მაინცდამაინც ჩაცმულ-გამაძღარი, მაგრამ რუსთავში ხომ არაერთხელ დაუმტკიცებიათ ცნობილი ჭეშმარიტება — არა პურითა ხოლო...

პურისა რა მოგახსენოთ და თუ „კოკა-კოლა“ ამ გუნებაზე იქნა, ვერც ერთი ძაღლი ვერ დაჰყეფს „სიონის“ ბედს. ისე, ბოლნისელებმა ბრიტანული საზომიც შეიძლება მიუყენონ თავიანთ ოსტატობას — იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგს მიაღწევენ ნაბელფასტარ „ლოკომოტივთან“, მათ შეუძლიათ ივარაუდონ, რამდენად სჯობიან (ან ვერ სჯობიან) „ლინფილდს“.

პრაგმატულად კი „სიონს“ სჭირდება მოგება, რათა გაზაფხულზე წიწილები დაითვალოს. მოგება „ლოკომოტივსაც“ არ აწყენს, რათა ევროელჩის პრესტიჟი არ შეილახოს. მოდი და არკვიე, ვინ ვის...

ყველაფერი „თემურ სტეფანიაზე“ გამოჩნდება.

მაგრამ რა გამოჩნდება „ეროსი მანჯგალაძეზე“, ამას „სარბიელი“ კი არა, სამტრედიის „იბერიაც“ ვერ გეტყვით. „იბერია“ ვერც იმაზე გაგცემთ პასუხს, თუ სად უმასპინძლებს მეზობელ ქუთათურებს, არადა, შარშან „ტორპედომ“ გვადალუპესავით სასურველი ორი ქულა დაკარგა სამტრედიაში. აქამდე „იბერია“ თბილისში მიდიმოქროდა, ახლა კი ფოთი ან წყალტუბო მოუნიშნავს საქართველოს რუკაზე და ვნახოთ, რა გზას დაადგება იბერიელთა მრავლისმნახველი პრეზიდენტი ნიკოლეიშვილი.

„ტორპედო“ კი, სადაც უნდა მოუწიოს თამაშმა, გამარჯვებისთვის იბრძოლებს. „ლოკომოტივის“ არ იყოს, მანაც უნდა დაამტკიცოს ევროიმიჯის მქონე გუნდის კლასი. რაც შეეხება გაქურდულ ბაზას, ამას ნამეტანი გულთან ნუ მიიტანენ ქუთათურები. მათ, ისევე, როგორც ჩვენ ყველას, პოლიცია იცავს და თუკი იმერეთის პირველი ქალაქის პოლიციის სახელოვან წარსულს გავითვალისწინებთ, რუბენ ასანიძემ და მისმა ბიჭებმა მალე უნდა ჩააცვან სალორიის ბაზის შემბილწველებს ზოლიანი ბანანების სამოსი და თუ ვერა, გულს ნურავინ გაიტეხს, ბულალტრის ნივთები კი არა, თასი მოიპარეს ბრაზილიაში.

ასეთია 29-30 აგვისტოს მეთერთმეტე ეროვნულის მესამე ტურის მატჩების ჩვენეული ანონსი. ჩვენ ჩვენა ვთქვათ და დანარჩენი გუნდებზე ჰკიდია — უნდათ, მოიგონ, უნდათ, ფრე ითამაშონ, წაგებას კი არავის ვუსურვებთ. მით უმეტეს, წლევანდელი გათამაშების სისტემა გვარიან საფრთხეს უქადის ნებისმიერ ქართულ გუნდს და წლეულს ყოველ მათგანს განსაკუთრებული სიფხიზლე მართებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

წყალტუბო. „26 მაისი“ 29 აგვისტო. 18 საათი

## სამგურალი — არსენალი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. [illegible] (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); სფფ-ის დელეგატი: მ. [illegible]

ბათუმი. „დინამო“. 29 აგვისტო. 18 საათი.

## ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული“. 29 აგვისტო. 18 საათი

## დინამო — თბილისი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

რუსთავი. „ფოლადი“. 29 აგვისტო. 18 საათი

## გორდა — ხობი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

გორი. „ცენტრალური“. 29 აგვისტო. 18 საათი

## დილა — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი, ზ.მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 30 აგვისტო. 18 საათი

## სიონი — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ს. კახიანი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. „სინათლე“. 30 აგვისტო. 18 საათი

## მერანი — თსუ

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

## იბერია — ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ერქვანია (ზუგდიდი); სფფ-ის დელეგატი: ბ. ქარქაშაძე



ზეგ დავით გოდერძიშვილი თავისი ყოფილი კლუბის კარში გოლის გატანას ეცდება

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 თბილისი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

| «ბ» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 ხობი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 3 კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 დილა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 მერანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 6 იბერია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 თსუ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 გორდა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |



დავით პეტრიაშვილი (მარცხნივ) უეფას ჩინოსან ერიხ ეპლესა და სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად

# დავით პეტრიაშვილს მოსკოვის სპარტაკი ჩააბარეს

ქართული გუნდებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველები ნელ-ნელა ვუშინაურდებით ჩემპიონთა ლიგას. ევროპის (და, ალბათ, მსოფლიოსიც) ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში უცხოური გუნდების სახელით თამაში რამდენიმე ჩვენებურმა ფეხბურთელმა უკვე მოასწრო, ახლა კი ჩვენი თანამემამულე ჩემპიონთა ლიგის მატჩების ორგანიზაციაშიც მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელი დავით პეტრიაშვილი, რომელიც უეფაში სამოყვარულო ფეხბურთის განვითარების კომიტეტის წევრიც გახლავთ, ახლახან ჩემპიონთა ლიგის დირექტორად დაინიშნა, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ პეტრიაშვილი ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის მატჩზე — „სლოვანი“ — „ანორთოსისი“ უეფას დელეგატად იყო მივლენილი.

რა ევალება ჩემპიონთა ლიგის დირექტორს კონკრეტულად? რა ფუნქციებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან დირექტორი და დელეგატი? ამ და სხვა კითხვებზე ყველაზე უკეთ, ბუნებრივია, თავად დავით პეტრიაშვილი გვიპასუხებდა, რომელმაც, უამრავი საქმის მიუხედავად, გუშინ „სარბიელისთვის“ მაინც მოიცალა.

**— თქვენი დირექტორად დანიშვნით დავიწყოთ. ვინმემ გაგიწიათ უეფაში რეკომენდაცია, თუ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი?**

— არავითარი რეკომენდაცია, ჩემპიონთა ლიგის დირექტორებს უეფას გენერალური მდივანი თავად ნიშნავს. ჩემი დირექტორად დანიშვნაც ახლანდელმა გენერალურმა მდივანმა, გერმანელმა გერჰარდ აიგნერმა გადაწყვიტა.

**— რა ევალება ჩემპიონთა ლიგის დირექტორს?**

— ჩემპიონთა ლიგის დირექტორი უეფას გენერალური მდივნის უშუალო წარმომადგენელია კონკრეტულ თამაშზე. მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იგი იღებს.

**— უფრო კონკრეტულად...**

— მოგეხსენებათ, უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩებიდან უზარმაზარი მოგება აქვს, რომლის უმეტესი ნაწილი ტელერეპორტაჟებიდან და რეკლამებიდან მოდის. აქედან გამომდინარე, უეფას მიზანია, მაქსიმალურად დახვეწოს მათი ხარისხი, რისთვისაც საგანგებო წარმომადგენელი ანუ დირექტორი ჰყავს წარგზავნილი. ამას გარდა, დირექტორს კიდევ უამრავი წვრილმანი აბარია. დელეგატი ყველაფერს ვერ გასწვდება.

**— დელეგატისა და დირექტორის ფუნქციები ძალიან განსხვავდება?**

— სავსებით განსხვავებული ფუნქციები აქვთ. დავიწყოთ იმით, რომ დირექტორი მატჩამდე სამი დღით ადრე უნდა ჩავიდეს და უზრუნველყოს სტუმარი გუნდისა და დელეგატის სათანადო მიღება, შეუქმნას მაქსიმალური პირობები როგორც გუნდებს, ისე ჟურნალისტებსა და თამაშზე ჩასულ სტუმრებს. დელეგატს კი უშუალოდ მატჩი აბარია. ყველაზე დიდი განსხვავება დელეგატსა და დირექტორს შორის კი ისაა, რომ დირექტორს ჩაბარებული აქვს ერთი კლუბი და ამ კლუბის ყველა საშინაო მატჩზე ასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო დელეგატი უეფამ შეიძლება ხან ერთი გუნდის თამაშზე მიავლინოს, ხან — მეორესი.

გუშინ უეფადან მომივიდა ფაქსი, რომლის მიხედვითაც მოსკოვის „სპარტაკი“ ჩამაბარეს. ახლა „სპარტაკის“ სამივე საშინაო მატჩზე მოსკოვში ჩასვლა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება მომიწევს.

**— სულ რამდენიმე დირექტორი ჰყავს ჩემპიონთა ლიგას?**

— ოცდაექვსი. აქედან რამდენიმეს, ალბათ, ორ კლუბს მიაბარებენ. ისე, აუცილებელი არაა, დირექტორები სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ. შეიძლება ერთ ქვეყანას ხუთი დირექტორი ჰყავდეს, მეორეს არც ერთი.

**— ვიცით, რომ ცოტა ხნის წინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში ბრძანდებოდით, სადაც ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა თათბირი გაიმართა...**

— ნიონში ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. ახალდანიშნული დირექტორი ჩემს გარდა კიდევ ხუთი გახლდათ. შეხვედრის უმთავრესი მიზანი, სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენთვის გარკვეული ცოდნისა და ინსტრუქტაჟის გადმოცემა გახლდათ. აგვიხსნეს პრობლემის მოგვარების გზებიც — როგორ უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში.

პირველად ჩემი მოვალეობის შესრულება 21 სექტემბერს მომიწევს, როცა „სპარტაკი“ ჩეხეთის „სპარტას“ უმასპინძლებს. წინასწარ მიჭირს საუბარი. ხომ გაგიგონიათ, მოსმენილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობსო, ჰოდა, მეც ვნახავ ყველაფერს და შემდეგ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ.

ვანო ოქროპირიძე

# კოლხოფილია:
## სოსო ფილია კოლხეთს დაუბრუნდა

სოსო ფილია „კოლხეთში“ 9 წელს მუშაობდა. მისი თავკაცობით „დინამოს“ შემდეგ ყველაზე ტიტულიანი გუნდის სახელი დაიგდეს. აი, ევროპაზე კი... „ცრვენა ზვეზდასთან“ მათი შარშანდელი სირცხვილიც გეხსომებათ.

...და მოხდა მოულოდნელი რამ — შარშან დეკემბერში სოსო ფილია „კოლხეთის“ მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს, მის ადგილზე კი წარსულში ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარე, მწვრთნელობაში გამოუცდელი გია ტყებუჩავა დაინიშნა. ფილიას კლუბის ხელმძღვანელობამ ფოთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ჩააბარა და ისიც ჭაბუკებს გამოცდილებას უზიარებდა. საქმე ის არის, რომ აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც სოსო ფილია ფოთის „კოლხეთი 2“-ის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. თუ გახსოვთ, ამ ზღვისპირა ქალაქს კიდევ ერთი გუნდი — „ფაზისი“ ჰყავდა. ეს კლუბი წლეულს დაიშალა. ფაზისელი ნალები ჭაბუკები ყველანი ფილიასთან გადაბარგდნენ. ამბობენ, კარგი გუნდი კეთდება, ძირითადი „კოლხეთისთვის“ პერსპექტიული ახალგაზრდები დაიზრდებიან, ამაში კი სოსო ფილია უეჭველად იტყვის თავის სიტყვასო.

გიორგი ვაშაკიძე

# კახა ცხადაძე სიტის უბრუნდება



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

თითქმის ერთი წლის განმავლობაში მუხლის ტრავმისგან გატანჯული საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე სულ მალე დაუბრუნდება „მანჩესტერ სიტის“.

შეგახსენებთ, რომ ცხადაძე გასული სეზონის დასაწყისში „ფულემთან“ შეხვედრის დროს დაიმტვრა და მას შემდეგ ბურთს არ გაკარებია.

გუშინ კი „სიტის“ პრესატაშემ გამოაცხადა, რომ ცხადაძე ვარჯიშს შეუდგა და მალე კვლავ გამოჩნდება „მეინ როუდზე“. „სარეაბილიტაციო პერიოდმა კარგად ჩაიარა. ჩვენ კახას დიდი იმედი გვაქვს“ — განაცხადა „სიტის“ პრეზიდენტმა ჯო როილმა.

„სიტი“ სამი ტურის შემდეგ ინგლისის პირველ დივიზიონში მე-8 ადგილზეა და პრემიერლიგაში დაბრუნებას გეგმავს. დღეს, მორიგ ტურში, „ცისფრები“ „ბოლტონს“ სტუმრობენ.

სიმონ მენაბდე

# ისევ დუბლი

არჩილ არველაძემ კვლავ ორი გოლი გაიტანა. ამჯერად „ამსტელის თასზე“ მესამელიგელი „დე ბარონიეს“ კარში.

სტუმრები, „ბრედას“ ფეხბურთელები, ქართველმა უკვე მე-9 წუთზე დააწინაურა თერთმეტმეტრიანით. 24-ე წუთზე კი არჩილმა მეორედ დალაშქრა „ბარონიეს“ კარი.

სტუმრებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს და 59-ე წუთზე ჰანსენმა მესამე გოლი გაიტანა.

69-ე წუთიდან მატჩის სხვაგვარად წარიმართა. მსაჯმა ბრედელი მარტინ ატმოდიკორო გააგდო. მასპინძლებმა მძლავრად შეუტიეს და 70-ე და 78-ე წუთებზე გატანილი გოლებით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს— 2:3.

შეხვედრის ბოლოს კი სტუმრებმა იძალეს. არველაძემ პენალტი მოინადირა და სტიუარტმა შანსი ხელიდან არ გაუშვა — 4:2.

სიმონ მენაბდე

# ჰო თუ არა...

ხვალ და ზეგ ქვეყნის ჩემპიონატის მესამე ტური ჩატარდება, თუმცა დაგეგმილი რვა მატჩიდან ერთი შესაძლოა ჩაიშალოს. თბილისის „არსენალის“ ფეხბურთელები წყალტუბოში წასვლას არ აპირებენ. მიზეზს, ალბათ, მიხვდით — კვლავ უფულობა. ამ მდგომარეობაში „არსენალი“ შარშანაც არაერთხელ აღმოჩნდა.

მეათე ეროვნული ჩემპიონატი არმიელებმა, მოგეხსენებათ, მეცხრე ადგილზე ჩაამთავრეს. ახალ სეზონს მთელი წელი უფულობით გატანჯული გუნდი იმედიანად შეხვდა და არცთუ უსაფუძვლოდ — კლუბის ხელმძღვანელებმა ამ გაჭირვებულ ყოფაში ძველი ვალების ნაწილიც გაისტუმრეს და გუნდს მეთერთმეტე ჩემპიონატის წინ თურქეთში ორკვირიანი შეკრებაც მოუწყვეს (საზღვარგარეთ მომზადება წლეულს ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გარდა ვერავინ შეძლო). შედეგად გასაქცევად გამზადებულმა ფეხბურთელებმა პირი იბრუნეს და „არსენალში“ დარჩენაზე თანხმობა განაცხადეს. კლუბსა და მოთამაშეებს შორის კონტრაქტებიც გაფორმდა და... ფულიც გაქრა.

არმიელებს აგერ უკვე ორი თვეა, ხელფასი არ მიუღიათ, ამას შარშან დარჩენილი დავალიანება და წლეულს ჩატარებული ორი მატჩის მიუღებელი პრემიაც მიუმატეთ და ფეხბურთელთა უკმაყოფილების მიზეზიც ნათელი გახდება.

შაბათს თუ კუთვნილ გასამრჯელოს არ მივიღებთ, წყალტუბოში წამსვლელები არ ვართო, პირი შეუკრავთ ბიჭებს, ვერც გაამტყუნებ. თითოეული მათგანის უკან ოჯახია, რომელსაც სწორედ ფეხბურთით არჩენენ.

არადა, „არსენალს“ რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია, ეს მეთერთმეტე ჩემპიონატის საწყის ორ ტურშიც კარგად გამოჩნდა. პირველ მატჩში სტუმრად „ლოკომოტივთან“ გუნდმა ქულის აღება შეძლო, ხოლო ათგზის ჩემპიონი „დინამო“ ისეთ დღეში ჩააგდო, გუნდის მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს ცხვრის ყიდვა და დინამოელთა ეკლესიაში წაყვანა გადააწყვეტინა. „დინამოს“ 2:0 დამარცხებამ „არსენალის“ უფროსობა უზომოდ გაახარა. თუმცა...

შედგება თუ არა „სამგურალი“ — „არსენალის“ სახვალიოდ დანიშნული შეხვედრა, დღეს საღამოს გადაწყდება.

ვანო ოქროპირიძე



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

არსენალელები კი ვარჯიშობენ, მაგრამ თუ ფული არ იქნა, წყალტუბოში სათამაშოდ არ წავალთო

გიო ახვლედიანის

# ჩემი „დინამო“

თბილისის „დინამოელები“ რომ ეკლესიაში გამოჩნდნენ, ნამდვილად სასიამოვნო ამბავია.

ლოცვა არასოდეს არის გვიან. უბრალოდ, უხერხულია, ღმერთი მაშინ გაგახსენდეს, როცა ძალიან გაგიჭირდება. თანაც, ბედისწერასა და იღბალზე ლაპარაკი ეკლესიაში უადგილოა. მამა ზურაბი უთუოდ აუხსნიდა შემცბარ მოთამაშეებს, რომ ყოველივე ღვთის ნებაა და რომ სინანული დიახაც რომ შვებაა ცოდვილთათვის.

სიონში ნამდვილად ილაპარაკებდნენ ამის შესახებ.

თუმც, დინამოელებს არ უნდა ეგონოთ, რომ ამიერიდან მოწინააღმდეგის კარი გაფართოვდება, იმათ მეკარეს ფეხი გადაუბრუნდება და ბურთიც თავისით შევარდება კარში. ამას ღმერთი კი არა, ორშაურა ჯადოქრები პირდებიან ადამიანებს.

სული და სინანული კი მაინც უკიდურესი გაჭირვებისას გაახსენდა გუნდს, რომელიც ათი სეზონია ჩემპიონია და ათი სეზონია ვერაფრით, ვერც სულით, ვერც ჟინით, ვერც ოსტატობით, ვერც რაღაც კეთილშობილით ვერ დაამახსოვრა თავი ქვეყანას.

წრფელად მოგახსენებთ, გაზეთი არ არის „ბალეშჩიკობის“ ადგილი, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია თავი სხვა ქართული კლუბის ქომაგად. შინაურ ამბებში „დინამო“ გულის ფიცარზე მაწერია. და მე უბედური ქომაგი ვარ. მე ვარ უბედური იმით, რომ მახსოვს ორადორი გოლი, ჩემმა საყვარელმა გუნდმა რომ გაიტანა ამ ათ წელიწადში, ვარ უბედური იმით, რომ ჩემი საყვარელი გუნდი ვერ ეწერება საერთაშორისო ფეხბურთში. ვარ უბედური იმით, რომ ამ ათ წელიწადში მხოლოდ ათ დინამოელს ვცნობ სახეზე.

საკუთარი თავის შემეშინდა, ისე დავიღრიალე, როცა „დინამომ“ „ზიმბრუს“ მეორე გოლი გაუტანა. ასე არ მიღრიალია ცამეტ მაისსაც კი.

კარგია, როცა ქომაგის ამბიცია ემთხვევა ფეხბურთელებისას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ჩემი, ქომაგის ამბიცია ბევრად მცირეა, ვიდრე ფეხბურთელებისა. მე გამიჭირდება ვიფიქრო, რომ ჩემი საყვარელი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ღირსია. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ამ ათ წელიწადში, წლიდან წლამდე, აგური აგურს დადებოდა. მე არ მინდოდა ორთვიანი ბოსკამპები, ბილბაოში ნათამაშევი თითქმის მოგებანი და „მოლდეს“ გაგდებები. მინდოდა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ და ათასებს უნდოდათ ასე, მეშინოდა, ოციათასი სკამი არ გვეყოფა-მეთქი. ორიც გვეყოფა. ერთიც.

ბავშვებს „მანჩესტერის“ და „ინტერის“ მაისურები აცვიათ. ბავშვები კიოდნენ, როცა სოლსკიაერმა გაიტანა. თავად ვნახე. მხოლოდ ქართული ხასიათის ბრალია?! ასე კიოდნენ მალაიზიაშიც, რადგან არ ჰყავთ შესახედი გუნდები.

სად არის „დინამოს“ მაისურები? ვის აცვია?

ჯიუტად მინდა — ჩემპიონობა კი არა, ადამიანური გუნდი, რომელსაც უჭირს, თუ ულხინს, ფეხბურთს თამაშობს.

ბედნიერებაა ასეთი გუნდის ყოლა. ბედნიერი იქნები, რადგან იქნები მართალი და მარცხისა არ შეგეშინდება. ვინაიდან გეცოდინება, რომ ხარ სულით ძლიერი და შენს საქმეს ისე აკეთებ, რომ ტრიბუნებისკენ გახედვისა არ გრცხვენია.

# გამოთხოვება ჩარლის რესტორანთან

UEFA CUP

## უეფას თასი. I ეტაპი. II წრე



REUTERS

ცრვენა ზვეზდა — ნეფთჩი 1:0. ბაქოელი ქარიმ გულიევი გულიანად ებრძოდა სრდიან ბაიჩეტიჩს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. I ეტაპი. II წრე
26 აგვისტო

ცსკა (ბულგარეთი) 5:0 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) (3:0)
შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2 კრივბასი (უკრაინა) (0:3)
ლოკომოტივი (რუსეთი) 5:0 ბატე (ბელარუსი) (7:1)
სილექსი (მაკედონია) 2:1 შახტარი (უკრაინა) (1:3)
შირაქი (სომხეთი) 1:0 ჰიკ (ფინეთი) (0:2)
გრაცერი (ავსტრია) 4:0 კლაკსვიკარი (ფარერები) (5:0)
ინტერი (უელსი) 1:0 გორიცა (სლოვენია) (0:2)
ბირკირკარა (მალტა) 0:0 ლიუნგბიუ (დანია) (0:7)
ლეიფტური (ისლანდია) 0:3 ანდერლეხტი (ბელგია) (1:6)
ომონია (კვიპროსი) 3:0 ბელშინა (ბელარუსი) (5:1)
პრინჩიპატი (ანდორა) 0:11 ვიკინგი (ნორვეგია) (0:7)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 2:1 ერევანი (სომხეთი) (2:0)
ბრიუგე (ბელგია) 2:0 ტულევიკი (ესტონეთი) (3:0)
სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) 2:0 ვაასა (ფინეთი) (1:1)
ლევადია (ესტონეთი) 1:4 სტიაუა (რუმინეთი) (0:3)
ბრეი (ირლანდია) 0:4 გრასჰოპერი (შვეიცარია) (0:4)
ლეხი (პოლონეთი) 3:1 მეტალურგსი (ლატვია) (2:3)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:0 ნეფთჩი (აზერბაიჯანი) (3:2)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 1:2 ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) (0:1)
კორკი (ირლანდია) 1:0 გიოტებორგი (შვედეთი) (0:3)
კილმარნოკი (შოტლანდია) 1:0 (2:0 დ.დ.) რეიკიავიკი (ისლანდია) (0:1)
სიგმა (ჩეხეთი) 0:0 შერიფი (მოლდოვა) (1:1)
უიპეშტი (უნგრეთი) 1:1 ვოივოდინა (იუგოსლავია) (0:4)
სპარტაკი (სლოვაკეთი) 2:0 ვლაზნია (ალბანეთი) (1:1)
სელტიკი (შოტლანდია) 4:0 ქუიმბრანი (უელსი) (6:0)
ლევსკი (ბულგარეთი) 2:0 აპოელი (კვიპროსი) (0:0)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) 1:1 ფერენცვაროში (უნგრეთი) (1:3)
დინამო (რუმინეთი) 7:0 მონდერკანჟი (ლუქსემბურგი) (6:2)
ტორსჰავენი (ფარერები) 0:1 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) (0:1)
ბილიში (ალბანეთი) 0:2 ინტერი (სლოვაკეთი) (1:3)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) 5:0 რიგა (ლატვია) (0:0)
ლეგია (პოლონეთი) 4:0 ვარდარი (მაკედონია) (5:0)
ციურიხი (შვეიცარია) 1:0 სლიმა (მალტა) (3:0)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:1 ჰაიდუკი (ხორვატია) (0:5)
კაუნასი (ლიტვა) 2:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (1:3)
კარედა (ლიტვა) 2:2 ოლიმპია (სლოვენია) (1:1)

უეფას თასის ბოლო შესარჩევი ეტაპი, ქართული გუნდებისთვის ასე წარმატებული რომ გამოდგა, ჩვენებურთა მონაწილეობით გამართული ორი თამაშის გარდა კიდევ მრავალ შეხვედრას მოიცავდა, რომელთაგან რამდენიმეზე შევჩერდებით.

ჯილდოს ოდინდელმა მფლობელმა, ბელგიურმა „ანდერლეხტმა“ ძველი დიდების აღდგენისკენ პირველი ნაბიჯი შთამბეჭდავად გადადგა, თუმცა ამაში მოწინააღმდეგის სისუსტემაც შეუწყო ხელი: ბრიუსელის გუნდმა ისლანდიურ „ლეიფტურს“ 3:0 მოუგო და ჯამში 9:1 გამოუვიდა.

ყოფილი გრანდებისა და მსუბუქწონოსანთა სხვა დაპირისპირებებიც ანალოგიურად დასრულდა. შეჯიბრებაში მონაწილე ჩემპიონთა თასის სამი მფლობელი, შოტლანდიური „სელტიკი“, რუმინული „სტიაუა“ და იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდა“ უპრობლემოდ გავიდნენ შემდგომ ეტაპზე.

„სელტიკის“ თავკაცმა, ჯონ ბარნსმა უელსის ნახევრადპროფესიული კლუბის, „ქუიმბრან თაუნის“ წინააღმდეგ სულაც მეორე შემადგენლობა ათამაშა. რეზერვისტებმა პირველ შეხვედრაში გატანილ ექვს გოლს კიდევ ოთხი დაამატეს და საბოლოო ანგარიშად მრავლისმეტყველი 10:0 დააყენეს.

არათანაბარი ძალების მქონე გუნდების შეხვერას საკმაოდ მოულოდნელად 46 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამ მაჩვენებლიდან მკვეთრად განსხვავდებოდა ზემოხსენებული „ლეიფტურისა“ და „ანდერლეხტის“ შეხვედრით დაინტერესებულ ისლანდიელთა რიცხვი — 200.

ბუქარესტის „სტიაუას“ ესტონურ „ლევადიასთან“ შინ 3:0 ჰქონდა მოგებული, მაგრამ რუმინელებმა არ დაიზარეს და საპასუხო შეხვედრაშიც დიდი ანგარიშით, 4:1 გაიმარჯვეს.

„ცრვენა ზვეზდამ“ კი თავიდან ცოტა არ იყოს იწვალა, თუმცა საბოლოოდ ბაქოს „ნეფთჩის“ ორი შეხვედრის ჯამში 4:2 მოუგო.

და მაინც, ცნობილ გუნდთაგან ყველაზე მეტი ყურადღება „ანდერლეხტმა“ მიიპყრო, რამეთუ იგი მთელი სამი წლის განმავლობაში დაბეჩავებული გახლდათ, გასულ სეზონში, ერთი ხანობა ბელგიის ჩემპიონატის აუტსაიდერადაც კი იქცა, თუმცა, ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი გულშემატკივრისა და დიდი ბიუჯეტის მქონე გუნდმა საბოლოოდ მეორე ადგილი მოიპოვა და ევროპულ სარბიელს დაუბრუნდა.

შესარჩევი ეტაპი მრავალი წვრილ-წვრილი გუნდისთვის გდაულახავი გამოდგა. განსაკუთრებით დასანანი გახლდათ ერთობ რომანტიკული გუნდის, ანდორის „პრინჩიპატის“ მარცხი. „პრინჩიპატი“, რომელსაც ანდორელები „ჩარლის რესტორანსაც“ უწოდებენ, ნორვეგიულ „ვიკინგთან“ შინ 0:11 დამარცხდა. ვინაიდან „ჩარლის რესტორანმა“ პირველ შეხვედრაში 0:7 იწვნია, ორი თამაშის ჯამური შედეგი 0:18 გამოვიდა — ყოჩაღ ვიკინგებო!

მიხეილ სურგულაძე

# მაროკოს თაფლავენ

აფრიკის კონტინენტის ორი წარმომადგენელი, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მაძიებელი და ამდენად კონკურენტი, სამხრეთ აფრიკა და მაროკო მოლაპარაკებასა და კონკურსში ევროპელთა შესაძლო გამარჯვების წინააღმდეგ ერთიანი პროგრამით ლაშქრობას აპირებენ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ფავორიტია, დიდი შანსია შავ კონტინენტს ისტორიაში პირველად მოუპოვოს უდიდესი საფეხბურთო შეჯიბრების მასპინძლობის უფლება, მით უფრო, რომ ფიფას პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი სწორედ ამ ქვეყნის გამარჯვებას უჭერს მხარს.

მაგრამ მაროკოელთა კონკურენცია, ბევრის აზრით, კონტინენტს შანსებს უმცირებს და ამიტომაც ცდილობს, სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ისააკ ჰაიატუ, „თანამოძმეთა“ მოთაფლვას.

ამბობენ, რომ თუ მაროკო ბრძოლაზე ხელს აიღებს, ფიფა კიდევ ერთხელ დახუჭავს თვალს და გადათქვამს თავის გადაწყვეტილებას, აღარასდროს ჩაატაროს მსოფლიოს პირველობა ერთდროულად ორ ქვეყანაში. მოკლედ, მომდევნო ჩემპიონატს მაროკოს და ვინმეს დაჰპირდებიან...




REUTERS მონტე კარლოდან

არსენ ვენგერი და ბობი ჩარლტონი კენჰისყრის ცერემონიალზე

# სად «ბარსა» და სად «რეალი»

„ბარსელონას“ მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა ბედს შესჩივლა: კატალონიის კლუბი, ხუთშაბათს, მონტე კარლოში გამართულმა ჩემპიონთა თასის კენჭისყრამ ინგლისურ „არსენალთან“, იტალიურ „ფიორენტინასთან“ და შვედურ აიკ-თან განამწესა ჯგუფში.

„აი კიდევ გვიმუხთლა ბედმა“ — განაცხადა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, რომლის გუნდიც ერთი წლის წინ იმავე შეჯიბრებაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ და მიუნხენის „ბაიერნს“ მეტოქეობდა — „როგორც „არსენალი“ ასევე „ფიორენტინა“ ტიტულებს მოწყურებული გუნდები გახლავან და მწვერვალზე ასვლის პოტენციალიც აქვთ. არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით „არსენალი“ სხვა ინგლისურ გუნდებთან შედარებით უფრო ევროპული ყაიდის ფეხბურთს თამაშობს, აიკი კი ერთობ ორგანიზებული, ძლიერი და დაცვაზე ორიენტირებული გუნდი გახლავთ“.

ვან გაალმა „ბარსელონას“ ბედი ლიგის მონაწილე მეორე ესპანური გუნდის, ოდინდელი მოწინაღმდეგის მადრიდის „რეალის“ ბედსაც შეადარა. შეგახსენებთ, რომ „რეალი“ მოხვდა ჯგუფში, სადაც მის გარდა არიან პორტუგალიური „პორტუ“, ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ და ნორვეგიული „მოლდე“.

„თვალი გადავავლოთ ჯგუფებს და დავინახავთ, რომ ყველა ძლიერია გარდა იმისა, რომელშიც მადრიდის „რეალი“ შევიდა. „რეალს“ გაუმართლა, მაგრამ თუ მას თასის მოგება სურს, ყველას უნდა მოუგოს“.

„ბარსელონა“ ჩემპიონთა თასის გასულ ორ გათამაშებას ახალ წლამდე გამოეთიშა, მაგრამ ვან გაალი ამაზე ერთობ მშვიდად ლაპარაკობს.

„დღეს, ადრინდელთან შედარებით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. გუნდი ივნისიდან ინტენსიურად ვარჯიშობს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია და ჩვენს უპირატესობად მიმაჩნია“.

ჯგუფის რაობაზე ისაუბრა ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმაც.

„ამ ჯგუფში თითოეულ გოლს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება, მწამს, შეგვიძლია ამოცანას თავი გავართვათ, მაგრამ ჯგუფში „ბარსა“ და „ფიორენტინა“ არიან, ეს კი ერთობ დაძაბულ ბრძოლებს გვიქადის“.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## იტალია

# დიდებული ჯოჯოხეთის დასაწყისი



1998-99 წლების სეზონში სკუდეტო „მილანმა“ მოიპოვა

**ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ** პატარა იტალიური ქალაქი, რომელშიც ყველა ყველას იცნობს. დაახლოებით ან უფრო სწორედ ზუსტად ისე, როგორც ჩვენში ცნობილ კომედიაში, „განქორწინება იტალიურად“, არის ნაჩვენები. ამ პატარა ქალაქში ალბათ ცხოვრობენ მავანი სინიორ მოსამართლე, მავანი სინიორ მასწავლებელი, ყველასთვის სანუკვარი ლამაზი და მხიარული დიდმკერდიანი ქალი, პატივცემული მოქალაქე დონ ვინმე და ბიჭები, რომლებიც ფეხბურთს თამაშობენ. დღისით ყველანი საქმეებით არიან დაკავებული, ხოლო საღამოს ან კაფეებში სხედან ანაც სალაყბოზე შეკრებილნი საუბრობენ მთისას და ბარისას.

ერთ-ერთი ასეთი ან თითქმის ასეთი ქალაქი გახლავთ რეჯინა და ჩვენთვის ზუსტადაა ცნობილი სად იქნებიან ხვალ საღამს მისი მაცხოვრებლები. დიახ, ზუსტად ვიცით, ვინაიდან ხვალ რეჯინაში დიდი, ძალიან დიდი ფეხბურთია და შესაბამისად ყველანი ტელევიზორებთან იქნებიან მიმსხდარი, გარდა, ცხადია, იმ ბედნიერებისა, რომლებიც სტადიონის ბილეთებს იშოვნიან.

როგორც მოგახსენეთ, ხვალ რეჯინაში უდიდესი ფეხბურთია, ისეთი, რომელთანაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ფერდაკარგული საცოდაობა გახლავთ: ქალაქის გუნდი ისტორიაში პირველად თამაშობს სერია A-ში, ხოლო სერია A-ში თამაში ცოლიანებისა და უცოლოების ბურთაობა ნურავის ეგონება.

თუმცა ზედმეტი მოგვდის. სერია A-ში კი არა, ცოლიანების და უცოლოების ბურთაობას იტალიაში ალარსად კადრულობენ, არც ცოლიანები და არც უცოლოები, თუ კაცი ხეიბარი არ არის, მოყვარულთა ან დილეტანტთა (განსხვავებაა) ლიგაში მაინც გამოვა, ხოლო ამ ქვეყანაში ნებისმიერ დონეზე მოთამაშე გუნდს თავისი ფორმა, ბიუჯეტი და სატურნირო ცხრილში ადგილი აქვს.

ასე რომ ლიგა, რომელშიც „რეჯინა“ ხვალ მოინათლება, გახლავთ სწორედ ის, რომლის რჩეული გუნდებიც ყოველწლიურად თითო ევროპულ ჯილდოს მაინც იგებენ. ესაა დიდი სერია A, პრემიერშიფთან დიდი ბოდიში და პლანეტის უძლიერესი საფეხბურთო ლიგა.

მოკლედ, ხვალინდელი მატჩი ღირს იმად, რომ მთელმა რეჯინამ სტადიონს ან ტელევიზორს მიაშუროს, მით უფრო, რომ ამ პატარა ქალაქის გუნდს, არც მეტი არც ნაკლები, ქვეყნის 25 გზის ჩემპიონი, ტურინის „იუვენტუსი“ მონათლავს.

დიახ, რეჯო კალაბრიას (რეგიონია, სადაც რეჯინა მდებარეობს) ხვალ ზინედინ ზიდანი, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი, ედგარ დავიდსი და ძმანი მათნი ეწვევიან. 85 წელიწადი ელოდა „რეჯინა“ ამ დღეს...

ობლის კვერი ცხვაო და გვიან გამოცხვაო.

ყველას, ყველას და როგორ გინდა „ინტერს“ ობოლი უწოდო. ობოლი კი არა, მენავთობე მასიმო მორატის კლუბს ამ ზაფხულზე ახალი ფეხბურთელების ყიდვაში 105,5 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული, მაგრამ კვერი... 1989 წლის მერე ვერ გამოაცხვეს შავ-ლურჯებმა კვერი და მართალია გუნდში ერთობ კვერებიანი ფეხბურთელები ჰყავთ — რონალდო, მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, რობერტო ბაჯო, იტალიის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ახლა კრისტიან ვიერიც დაიმატეს... — კვლავაც „სკუდეტოზე“ ანუ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობენ.

ხვალ „ინტერი“ „ვერონას“ მასპინძლობს, 1985 წლის ჩემპიონს, რომელსაც სერია A-ში 1997 წლის მერე არ უთამაშია. აღსანიშნავია, რომ მილანელთა მწვრთნელის რანგში ხვალ მაესტროდ წოდებული მარჩელო ლიპის დებიუტსაც ვიხილავთ.

„სკუდეტოს“ კიდევ ერთი მაძიებელი გიგანტია, რომის „ლაციო“, ხვალვე სარდინიელებს, „კალიარის“ რომ უპირებს გაბრდღვნას. „ლაციომ“ გუშინ, მონტე კარლოში, ევროპის სუპერთასზე ითამაშა, ვინაიდან თასების მფლობელთა თასის მფლობელია. იტალიის ერთადერთ გზის ჩემპიონს ისტორიამ პატივი მიაგო და ხსენებული თასის უკანასკნელ გათამაშებაში არგუნა გამარჯვება, თუმცა, ეჭვი არაა, რომაელთათვის ოცნებად ქცეული ჯილდო, იტალიის ჩემპიონს რომ ჩუქნიან, ყველაფერზე ტკბილია. სასეიროა, რომ „ლაციოს“ ხვალინდელი მეტოქე სწორედ ის გუნდი გახლავთ, გასულ ჩემპიონატში სარდინიული ფრით ტიტული რომ დააკარგვინა.

არადა რა ახლოს იყო რომაული გუნდი მიზანთან. ერთი ტურიღა აკლდა.

„ლაციოს“ თანაქალაქელი და ოდინდელი რაყიფი „რომა“ ხვალ, პიაჩენცაში, ახალი მწვრთნელის, სახელმქუხარე ფაბიო კაპელოს თავკაცობით პირველ შეხვედრას ჩაატარებს და შეუყვება ციცაბო ფერდობს, რომლის მწვერვალზეც, თუ იმავე კაპელოს ვენდობით, „სკუდეტოა“ დავანებული.

თუმცა სავანეს ხსენებაზე გონებაში მყისვე „პარმა“ მოდის, კიდევ ერთი ფავორიტი. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე „გლაზგო რეინჯერსთან“ დამარცხებული უეფას თასის მფლობელი სერია A-ს სეზონს პერუჯაში იწყებს, ქალაქში, რომლის გუნდიც სერია A-დან B-ში და პირიქით ბოლო წლებში ხშირად მოძრაობს.

პერუჯელი გულშემატკივრის თვალი ალბათ ისევ იაპონელ ფორვარდეს, ჰიდეტოში ნაკატას მიეპყრობა, თუმცა ხვალ მათი საგანგებო ინტერესის საგანი „ბოლონიიდან“ გადმობირებული მწვრთნელი, კარლო მაცონე იქნება.

მორიგი ფავორიტი, დონ ჯოვანი ტრაპატონის „ფიორენტინა“, გაბრიელ ბატისტუტას, ენრიკო კიეზასა და პრედრაგ მიატოვიჩისგან შედგენილი საზარელი სიმძლავრის თავდასხმით ხვალვე „ბარის“ დაეძგერება. „ბარი“ კი ის გუნდია, რომელმაც გასულ სეზონში ფლორენციაში, თამაშის მიწურულს ანგარიში გაუქვითა და „სკუდეტოზე“ ფიქრი ერთი წლით გადაადებინა.

დაბოლოს, პირველი ჩემპიონი „მილანი“, საქართველოში ასე პოპულარული უკრაინელით, ანდრეი შევჩენკოთი გაძლიერებული და ტრავმებით გუნდშეთხელებული... ვინ არ ეყოლება ჩემპიონს? პაოლო მალდინი, ზვონიმირ ბობანი (ნამდვილად), ჟორჟ ვეა და შევჩენკო (ალბათ).

მილანელები სერია A-ს ცხრათვიან ჯოჯოხეთს ლეჩეში იწყებენ.

**ბაბუნა ძედია**

**ბარი** — მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი. მეკარეები: მანჩინი, გრეგორი, ინძივერი; მცველები: ფერარი, დე როზა, გარძია, ნეკრუიზი, [illegible], სიბილანო, დელ გროსო, მადსენი, დი სტეფანი, საიდი; ნახევარმცველები: კოლაუტო, ანდერსონი, მარკიჩი, მარკოლინი, პერო[illegible], [illegible]; კამპი, კარდაშიო, ჯორჯეტი; თავდამსხმელები: [illegible], მასინგა, სპინეზი, გერერო, კასანო, ენინია

**ბოლონია** — მწვრთნელი: სერჯიო ბუზო. მეკარეები: პალიუკა, როკატი, ა. ფერარი. მცველები: ფალკონე, პარამატი, ბია, პაგანინი, ტარანტინო, ლუჩიჩი, ბოზელი, ვომე, გამბერინი, მენსა. ნახევარმცველები: ბინოტო, ინგესონი, ზე ელიასი, ფონტოლანი, მაროკი, ნერვო, ერიბერტო, ფოსკინი. თავდამსხმელები: ვენტოლა, სინიორი, კოლივანოვი, სანჩესი, ჩიპრიანი, ფ. ფერარი.

**ვენეცია** — მწვრთნელი: ლუჩიანო სპალეტი. მეკარეები: ტაიბი, ბანდიერი. მცველები: კარნაშალი, ლუპი, პავანი, დელ კანტო, მარანგონი, ბილიკა, ბრიოსკი, კარდონე. ნახევარმცველები: ბერგი, ლა მარკა, ნანამი, იაკინი, ვოლპი, დე ფრანჩესკი, მიჩელი, ვალტოლინა, პედონე. თავდამსხმელები: ბუდანი, ბორგობელო, პეტკოვიჩი, მანიერო, ჩიული

**ვერონა** — მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი. მეკარეები: ბატისტინი, ფრეი, პეგოლო. მცველები: დიანა, მეცანო, ანასტაზი, ფალსინი, სერიჩი, გონელა, ფილიპინი, ლაურსენი, ჟილიჩი, ფრანჩესკეტი. ნახევარმცველები: სალვეტი, ჯანდებიაჯი, იტალიანო, კოლუჩი, ბროკი, მელისი, მარასკო, პაგანო, პიოვანელი. თავდამსხმელები: შპეხარი, აბრუსკატო, ადაილტონი, ალიეტი, კამარატა, გრაფიედი, კოსუ

**ინტერი** — მწვრთნელი: მარჩელო ლიპი. მეკარეები: პერუცი, ფერონი, ფრეცოლინი. მცველები: ზ. კამარა, კოლონეზე, გალანტე, მეცანო, სილვესტრი, სიმიჩი, ვესტი, დომორო, პანუჩი, ფრეზი, ბარსოტი, რივასი, ბლანი. ნახევარმცველები: ფუზანი, კოე, დაბო, მორიერო, პაულო სოუზა, ხ. ძანეტი, კ. ძანეტი, იუგოვიჩი, გეორგატოსი. თავდამსხმელები: რ. ბაჯო, რონალდო, სამორანო, ვიერი, რეკობა, პირლო

**იუვენტუსი** — მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი. მეკარეები: ვან დერ სარი, რამპულა, ისაკსონი. მცველები: ფერარა, მირკოვიჩი, მონტერო, იულიანო, ბირინდელი, პაჩი, პესოტო, ლავეკია, სკარდინა, ტუდორი. ნახევარმცველები: ბატინი, ზიდანი, კონტე, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ოლისე, ობრაიენი, რედავიდი, გასბარონი. თავდამსხმელები: დელ პიერო, ფ. ინძაგი, რიგონი, ფონსეკა, ესნაიდერი, სკული, კოვაჩევიჩი, ამორუზო

**კალიარი** — მწვრთნელი: ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი. მეკარეები: სკარპი, ფრანცონე, კესარი. მცველები: დილიზო, გრასადონია, ლოპესი, ვილა, ზებინა, ნიატი, მაჩელარი, მოდესტო. ნახევარმცველები: სულჩისი, აბეიჰონი, ბერეტა, კავეცი, დე პატრე, ონილი, კარუსი, სორო, ამეტრანო, კონტი. თავდამსხმელები: მეელე, კორადი, პიზანუ, სუასო, მბომა, მელისი

**ლაციო** — მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი. მეკარეები: ბალოტა, მარკეჯანი, კონჩეტი. მცველები: სენსინი, ნეგრო, ფავალი, დომიცი, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი, ფერნანდო კოუტუ, დი ფიორდო. ნახევარმცველები: სიმეონე, ვენონი, ალმეიდა, გოტარდი, ნედველი, სბაკანტი, სერჟიო კონსეისაო, ლომბარდო, სტანკოვიჩი, მარკოლინი, ჩინელი. თავდამსხმელები: პინცი, ს. ინძაგი, ბოკშიჩი, სალასი, აკინო, კ. ანდერსონი, მანჩინი

**ლეჩე** — მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი. მეკარეები: ლოტი, კიმენტი, აიარდი. მცველები: პავონე, ტრავერსა, კოლონელო, უ. ვიალი, დე ბრაკო, სავინო, პივოტო, ბალერი, სიპრიენი. ნახევარმცველები: ბონომი, პიანჯერელი, კონტიკიო, ედუსეი, რუციტუ, დოგა, ჩიმარელი, პარადიზო, ლიმა, დი კარლო, დე პოლი, მასპერო. თავდამსხმელები: ბილიოტი, სესა, გრეკო, ატელკინი, ლუკარელი

**მილანი** — მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი. მეკარეები: აბიატი, როსი, კოლომბო, ფიორი. მცველები: აიალა, ტეოდორანი, ტონეტო, ნგოტი, მალდინი, კოსტაკურტა, სალა, სადოტი. ნახევარმცველები: ლეონარდო, დე აშენტისი, ორლანდინი, გატუზო, სერჟინიო, ამბროზინი, ჯუნტი, ჰელვეგი, ალბერტინი, ბა, დონადონი, ბობანი, გული. თავდამსხმელები: შევჩენკო, განცი, ბირჰოფი, ვეა, მოჰამედი, გრაფიედი

**პარმა** — მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი. მეკარეები: ბუფონი, გუარდალბენი, მიჩილო. მცველები: ლასისი, ტორიზი, კანავარო, ტურამი, ვანოლი, ბენარივო, სარტორი, აპოლონი, მორო. ნახევარმცველები: სერენა, სტრადა, ვალემი, მაინი, ბრედა, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ლონგო, გალეტი, ორტეგა. თავდამსხმელები: დი ვაიო, ამოროზო, კრესპო, სტანიჩი, მონტანო

**პერუჯა** — მწვრთნელი: კარლო მაცონე. მეკარეები: პაგოტო, მაცანტინი, მონტანარი. მცველები: დაინო, მატერაცი, მილანეზე, კალორი, რივალტა, სუსი, გროსი, რიპა, სოლანო, ილარიუ, პელეგრინი. ნახევარმცველები: ბოლანო, ესპოზიტო, ბიზოლი, ოლივე, ნაკატა, კამპოლო, ტედესკო. თავდამსხმელები: ტაპია, გუიდონი, ტესტინი, რაპაიჩი, მელი

**პიაჩენცა** — მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი. მეკარეები: რომა, ნიკოლეტი, ბანიაკანი. მცველები: ლამაკი, ვერხოვოდი, ლუკარელი, კაინი, დელი კარი, პოლონია. ნახევარმცველები: საკეტი, მორონე, მანიგეტი, მაცოლა, კრისტალინი, სტროპა, ბუზო, პიოვანი, ტალიაფერი. თავდამსხმელები: დი ნაპოლი, რასტელი, დიონიჯი, რიციტელი, ძერბინი

**რეჯინა** — მწვრთნელი: ფრაკო კოლომბა. მეკარეები: ორლანდონი, ბელარდი. მცველები: ფოლიო, სტოვინი, მორაბიტო, კიავარო, ჩირილო, ჯაკეტა, მერსიე, ნაპოლიტანო, ოშადოგანი. ნახევარმცველები: პოლი, მესტო, დიე, ბარონიო, მარტინო, ბრევი, ვიკარი, ბერნინი, კოცა. თავდამსხმელები: კალონი, ჩესტერი, იანუცი, პოსანძინი, კამპო, რეჯი

**რომა** — მწვრთნელი: ფაბიო კაპელო. მეკარეები: ანტონიოლი, კონსელი, ლუპატელი. მცველები: კაფუ, ძაგო, ალდაირი, გურენკო, მანგონე, რინალდი, ლანცარო, კუადრინი, პეტრუცი, ფერი, კანდელა. ნახევარმცველები: დი ბიაჯო, ასუნსაო, ალენიჩევი, დი ფრანჩესკო, ბლასი, გაუტიერი, კოლუჩი, ტომიჩი, ტომაზი, დაგოსტინო, სტატუტო. თავდამსხმელები: ბარტელტი, მონტელა, ტოტი, ფრაუ, დელვეკიო, ხუტოსი, ფაბიო ჟუნიორი, ნეშატი

**ტორინო** — მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო. მეკარეები: ბუჩი, პასტინე, ბლაზიმე, ნისტა. მცველები: ანდრე კრუზი, ედმანი, კუდინი, მერკური, მინოტი, მალტალიატი, ბონომი, კომოტო, ჩიტერიო, დ. დიავარა. ნახევარმცველები: ლანცი, მენდესი, პანარელი, ვეკია, კრიპა, სომეზე, სანა, ფიკადენტი, ლენტინი, ბრამბილა, ასტა, სკარტილი, ტრიკარიკო. თავდამსხმელები: ივიჩი, სემიოლი, სილენცი, ფერანტე, არტისტიკო, ფოლია

**უდინეზე** — მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო. მეკარეები: ტურჩი, რენარი, დე სანკტისი. მცველები: ბუდიმირი, მანფრედინი, ა. კამარა, სოტილი, ძამბონი, ბერტოტო, გარგო, ჟენო, ძანკი, ჩანგაი, ტოლედო, დინიაციო. ნახევარმცველები: პინედა, ჟორჟინიო, პიცარო, ფიორე, ლასალანრდა, ლოკატელი, ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი, იორგენსენი, ბისგაარდი, ლუჰენაპესი, ბედინი. თავდამსხმელები: მარჯოტა, ვარლეი, სოსა, პოჯი, მუცი, ესპოზიტო

**ფიორენტინა** — მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი. მეკარეები: ტოლდო, ტალიალატელა, მარეჯინი. მცველები: რეპკა, ტორიჩელი, ადანი, პადალინო, ფირიკანო, ოკონი, ჰაინრიხი, პიერინი, ბეტარინი, ტაროცი, მუსო. ნახევარმცველები: ამორი, რუი კოშტა, როსიტო, კოისი, დი ლივიო, ბრესანი, კ. ამოროზო, მორფეო, ბონორა, მუნიანი. თავდამსხმელები: ბალბო, ბატისტუტა, მიატოვიჩი, კიეზა, ლუის ოლივეია, ტადეი

**I ტური. 29.08.99**

ბოლონია — ტორინო
ფიორენტინა — ბარი
ინტერი — ვერონა
იუვენტუსი — რეჯინა
ლაციო — კალიარი
ლეჩე — მილანი
პერუჯა — პარმა
პიაჩენცა — რომა
ვენეცია — უდინეზე

**II ტური. 12.09.99**

ბარი — ლაციო
კალიარი — იუვენტუსი
მილანი — პერუჯა
პარმა — ბოლონია
რეჯინა — ფიორენტინა
რომა — ინტერი
ტორინო — ვენეცია
უდინეზე — პიაჩენცა
ვერონა — ლეჩე

**III ტური. 19.09.99**

ბარი — მილანი
ბოლონია — რეჯინა
ფიორენტინა — ვერონა
ინტერი — პარმა
იუვენტუსი — უდინეზე
ლაციო — ტორინო
პერუჯა — კალიარი
პიაჩენცა — ლეჩე
ვენეცია — რომა

**IV ტური. 26.09.99**

კალიარი — ვენეცია
ლეჩე — იუვენტუსი
მილანი — ბოლონია
პარმა — ლაციო
რეჯინა — პიაჩენცა
რომა — პერუჯა
ტორინო — ინტერი
უდინეზე — ფიორენტინა
ვერონა — ბარი

**V ტური. 03.10.99**

ბარი — უდინეზე
ბოლონია — ლეჩე
კალიარი — ტორინო
ფიორენტინა — რომა
ინტერი — პიაჩენცა
იუვენტუსი — ვენეცია
ლაციო — მილანი
პარმა — ვერონა
პერუჯა — რეჯინა

**VI ტური. 17.10.99**

ფიორენტინა — პარმა
ლეჩე — რეჯინა
მილანი — კალიარი
პიაჩენცა — ბოლონია
რომა — იუვენტუსი
ტორინო — ბარი
უდინეზე — ლაციო
ვენეცია — ინტერი
ვერონა — პერუჯა

**VII ტური. 24.10.99**

ბარი — იუვენტუსი
ბოლონია — ვერონა
კალიარი — უდინეზე
ინტერი — მილანი
ლაციო — ლეჩე
პერუჯა — ვენეცია
პიაჩენცა — ფიორენტინა
რეჯინა — პარმა
ტორინო — რომა

**VIII ტური. 31.10.99**

ფიორენტინა — ტორინო
ინტერი — ლაციო
იუვენტუსი — პიაჩენცა
ლეჩე — პერუჯა
პარმა — ბარი
რომა — კალიარი
უდინეზე — რეჯინა
ვენეცია — ბოლონია
ვერონა — მილანი

**IX ტური. 07.11.99**

ბოლონია — ინტერი
კალიარი — ფიორენტინა
ლაციო — ვერონა
ლეჩე — უდინეზე
მილანი — ვენეცია
პერუჯა — ბარი
პიაჩენცა — პარმა
რეჯინა — რომა
ტორინო — იუვენტუსი

**X ტური. 21.11.99**

ბარი — რეჯინა
ფიორენტინა — პერუჯა
ინტერი — ლეჩე
იუვენტუსი — მილანი
პარმა — კალიარი
რომა — ლაციო
უდინეზე — ბოლონია
ვენეცია — პიაჩენცა
ვერონა — ტორინო

**XI ტური. 28.11.99**

ბოლონია — ფიორენტინა
კალიარი — ბარი
ლაციო — იუვენტუსი
ლეჩე — ვენეცია
მილანი — პარმა
პიაჩენცა — ვერონა
რეჯინა — ინტერი
ტორინო — პერუჯა
უდინეზე — რომა

**XII ტური. 05.12.99**

ბარი — პიაჩენცა
ფიორენტინა — მილანი
ინტერი — უდინეზე
იუვენტუსი — ბოლონია
პარმა — ტორინო
პერუჯა — ლაციო
რომა — ლეჩე
ვენეცია — რეჯინა
ვერონა — კალიარი

**XIII ტური. 12.12.99**

ბოლონია — რომა
იუვენტუსი — ინტერი
ლაციო — ფიორენტინა
ლეჩე — ბარი
მილანი — ტორინო
პიაჩენცა — პერუჯა
რეჯინა — კალიარი
უდინეზე — ვერონა
ვენეცია — პარმა

**XIV ტური. 19.12.99**

ბარი — ინტერი
კალიარი — ლეჩე
ფიორენტინა — იუვენტუსი
ლაციო — პიაჩენცა
მილანი — რეჯინა
პარმა — რომა
პერუჯა — ბოლონია
ტორინო — უდინეზე
ვერონა — ვენეცია

**XV ტური. 06.01.00**

ბოლონია — კალიარი
ინტერი — პერუჯა
იუვენტუსი — ვერონა
ლეჩე — ფიორენტინა
პიაჩენცა — მილანი
რეჯინა — ტორინო
რომა — ბარი
უდინეზე — პარმა
ვენეცია — ლაციო

**XVI ტური. 09.01.00**

ბარი — ვენეცია
კალიარი — პიაჩენცა
ფიორენტინა — ინტერი
ლაციო — ბოლონია
მილანი — რომა
პარმა — იუვენტუსი
პერუჯა — უდინეზე
ტორინო — ლეჩე
ვერონა — რეჯინა

**XVII ტური. 16.01.99**

ბოლონია — ბარი
ინტერი — კალიარი
იუვენტუსი — პერუჯა
ლეჩე — პარმა
პიაჩენცა — ტორინო
რეჯინა — ლაციო
რომა — ვერონა
უდინეზე — მილანი
ვენეცია — ფიორენტინა

**XVIII ტური. 23.01.00**

ტორინო — ბოლონია
ბარი — ფიორენტინა
ვერონა — ინტერი
რეჯინა — იუვენტუსი
კალიარი — ლაციო
მილანი — ლეჩე
პარმა — პერუჯა
რომა — პიაჩენცა
უდინეზე — ვენეცია

**XIX ტური. 30.01.00**

ლაციო — ბარი
იუვენტუსი — კალიარი
პერუჯა — მილანი
ბოლონია — პარმა
ფიორენტინა — რეჯინა
ინტერი — რომა
ვენეცია — ტორინო
პიაჩენცა — უდინეზე
ლეჩე — ვერონა

**XX ტური. 06.02.00**

მილანი — ბარი
რეჯინა — ბოლონია
ვერონა — ფიორენტინა
პარმა — ინტერი
უდინეზე — იუვენტუსი
ტორინო — ლაციო
კალიარი — პერუჯა
ლეჩე — პიაჩენცა
რომა — ვენეცია

**XXI ტური. 13.02.00**

ვენეცია — კალიარი
იუვენტუსი — ლეჩე
ბოლონია — მილანი
ლაციო — პარმა
პიაჩენცა — რეჯინა
პერუჯა — რომა
ინტერი — ტორინო
ფიორენტინა — უდინეზე
ბარი — ვერონა

**XXII ტური. 20.02.00**

უდინეზე — ბარი
ლეჩე — ბოლონია
ტორინო — კალიარი
რომა — ფიორენტინა
პიაჩენცა — ინტერი
ვენეცია — იუვენტუსი
მილანი — ლაციო
ვერონა — პარმა
რეჯინა — პერუჯა

**XXIII ტური. 27.02.00**

პარმა — ფიორენტინა
რეჯინა — ლეჩე
კალიარი — მილანი
ბოლონია — პიაჩენცა
იუვენტუსი — რომა
ბარი — ტორინო
ლაციო — უდინეზე
ინტერი — ვენეცია
პერუჯა — ვერონა

**XXIV ტური. 05.03.00**

იუვენტუსი — ბარი
ვერონა — ბოლონია
უდინეზე — კალიარი
მილანი — ინტერი
ლეჩე — ლაციო
ვენეცია — პერუჯა
ფიორენტინა — პიაჩენცა
პარმა — რეჯინა
რომა — ტორინო

**XXV ტური. 12.03.00**

ტორინო — ფიორენტინა
ლაციო — ინტერი
პიაჩენცა — იუვენტუსი
პერუჯა — ლეჩე
ბარი — პარმა
კალიარი — რომა
რეჯინა — უდინეზე
ბოლონია — ვენეცია
მილანი — ვერონა

**XXVI ტური. 19.03.00**

ინტერი — ბოლონია
ფიორენტინა — კალიარი
ვერონა — ლაციო
უდინეზე — ლეჩე
ვენეცია — მილანი
ბარი — პერუჯა
პარმა — პიაჩენცა
რომა — რეჯინა
იუვენტუსი — ტორინო

**XXVII ტური. 26.03.00**

რეჯინა — ბარი
პერუჯა — ფიორენტინა
ლეჩე — ინტერი
მილანი — იუვენტუსი
კალიარი — პარმა
ლაციო — რომა
ბოლონია — უდინეზე
პიაჩენცა — ვენეცია
ტორინო — ვერონა

**XXVIII ტური. 02.04.00**

ფიორენტინა — ბოლონია
ბარი — კალიარი
იუვენტუსი — ლაციო
ვენეცია — ლეჩე
პარმა — მილანი
ვერონა — პიაჩენცა
ინტერი — რეჯინა
პერუჯა — ტორინო
რომა — უდინეზე

**XXIX ტური. 09.04.00**

პიაჩენცა — ბარი
მილანი — ფიორენტინა
უდინეზე — ინტერი
ბოლონია — იუვენტუსი
ტორინო — პარმა
ლაციო — პერუჯა
ლეჩე — რომა
რეჯინა — ვენეცია
კალიარი — ვერონა

**XXX ტური. 16.04.00**

რომა — ბოლონია
ინტერი — იუვენტუსი
ფიორენტინა — ლაციო
ბარი — ლეჩე
ტორინო — მილანი
პერუჯა — პიაჩენცა
კალიარი — რეჯინა
ვერონა — უდინეზე
პარმა — ვენეცია

**XXXI ტური. 22.04.00**

ინტერი — ბარი
ლეჩე — კალიარი
იუვენტუსი — ფიორენტინა
პიაჩენცა — ლაციო
რეჯინა — მილანი
რომა — პარმა
ბოლონია — პერუჯა
უდინეზე — ტორინო
ვენეცია — ვერონა

**XXXII ტური. 30.04.00**

კალიარი — ბოლონია
პერუჯა — ინტერი
ვერონა — იუვენტუსი
ფიორენტინა — ლეჩე
მილანი — პიაჩენცა
ტორინო — რეჯინა
ბარი — რომა
პარმა — უდინეზე
ლაციო — ვენეცია

**XXXIII ტური. 07.05.00**

ვენეცია — ბარი
პიაჩენცა — კალიარი
ინტერი — ფიორენტინა
ბოლონია — ლაციო .
რომა — მილანი
იუვენტუსი — პარმა
უდინეზე — პერუჯა
ლეჩე — ტორინო
რეჯინა — ვერონა

**XXXIV ტური. 14.05.00**

ბარი — ბოლონია
კალიარი — ინტერი
პერუჯა — იუვენტუსი
პარმა — ლეჩე
ტორინო — პიაჩენცა
ლაციო — რეჯინა
ვერონა — რომა
მილანი — უდინეზე
ფიორენტინა — ვენეცია

| № | იტალიის ჩემპიონატი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ბოლონია | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ვენეცია | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ვერონა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ინტერი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | იუვენტუსი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | კალიარი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ლაციო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ლეჩე | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | მილანი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | პარმა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | პერუჯა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | პიაჩენცა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | რეჯინა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | რომა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | ტორინო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | უდინეზე | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | ფიორენტინა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*შენიშვნა: კალენდარში მოცემულია წინასწარი, ძირითადი თარიღები. ერთი ან ორი მატჩი სხვა დღეს ტარდება და მათ ტურის წინ ირჩევენ*

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** ვეტერანი — ვარსკვლავი ლოთარ მათეუსი ფიფას მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ნაკრებში ჩატარებული თამაშების რაოდენობით მალე მსოფლიოს რეკორდს დაამყარებს. 36 წლის მათეუსს 139-ჯერ აქვს ეროვნული გუნდის ფორმა მორგებული, რეკორდი კი შვედ მეკარეს, თომას რაველის ეკუთვნის— 143. საუდის არაბეთის ნაკრების ვარსკვლავყოფილს, მაჯედ აბდულას გვარის გასწვრივ 140 თამაში წერია. თუ მათეუსს გერმანელთა ბუნდესმწვრთნელი, ერიხ რიბეკი 1999 წელს დარჩენილ ყველა შესარჩევ შეხვედრაში გამოიძახებს, მაშინ იგი აბდულას ახალ წლამდე გადაასწრებს, რაველის შედეგის ძლევას კი ვარსკვლავი 2000 წელს შეეცდება და მაინც, ამ მხრივ ყველაზე დიდ მომავალს მექსიკელთა კაპიტანს კლაუდიო სუარესს უქადიან. მას უკვე 133-ჯერ აქვს ნაკრებში ნათამაშევი, თუ მის ასაკსაც გავითვალისწინებთ, იგი 30 წლისაა— 150-ის მიღწევა უნდა შეძლოს.

**დანიური** დინამიტის შემქმნელი მწვრთნელი ზეპ პიონტეკი ეროვნული გუნდის თავკაცის თანამდებობაზე უარს ამბობს და გრენლანდიის ფეხბურთის ასოციაციასთან აპირებს ხელშეკრულების გაფორმებას. გრენლანდიაში იგი მრჩევლად იმუშავებს. არადა, ომანელები პიონტეკს წლიურ შემოსავლად 170 ათას დოლარს სთავაზობდნენ, ხოლო გრენლანდიაში, თუ ამ კუნძულის ნაკრები 2001 წლის კუნძულთა პირველობაზე გაიმარჯვებს — შეჯიბრებაში ფარერები, მანის კუნძული, შოტლანდია და ისლანდია მონაწილეობს — მას 7 ათასი დოლარი ელის.

**შვეიცარიაში** ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ სექტემბერში აზიის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდება და გაარკვევს ბოიკოტის ამბავს, რომლითაც ისინი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ემუქრებიან. ბლატერმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას კონკრეტული წინადადებებით შეუძლია აზიელთა წინაშე წარდგომა, მაგრამ მეტად არაფერი დაუკონკრეტებია. შეგახსენებთ, რომ აზიური ფეხბურთის თავკაცებს არ აკმაყოფილებთ კონტინენტისთვის 2002 წლის პირველობისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა. „გუნდი, რომელიც თამაშს სტოვებს, ვერასდროს მოიგებს" — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა პრეზიდენტმა.

**იტალიურმა „სამპდორიამ" განაცხადა, რომ ხანგრძლივ თანამშრომლობას აპირებს UFA სპორტთან. ეს კომპანია გერმანული მედიის გიგანტის, „ბერტელსმანის" ნაწილობრივი საკუთრება გახლავთ. საინტერესოა, რომ როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავეს, მაგრამ UFA რომ აწ უკვე სერია B-ს კლუბის დირექტორატში ფეხს მოიკიდებს არ დაუმალავთ. გენუელთა პრეზიდენტმა ენრიკო მონტოვანიმ გარიგებას საუცხოო ამბავი უწოდა, ხოლო UFA-ს პრეზიდენტმა, ბერნდ ჰოფმანმა დასძინა, რომ „სამპდორიამ" მის კომპანიას სხვა გუნდებთან შედარებით თავისი დიდი წარსულით და მომავლით მოჭრა თვალი.**

**ბანგლადეშში** 100 კილომეტრით დაშორებული ორი სოფლის მოსახლეობას შორის ამტყდარი შვიდსაათიანი ომის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო200 დაიჭრა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ორივე სოფლის ფეხბურთელთა გუნდს ერთსა და იმავე მოედანზე სურდა ბურთაობა. ბრძოლაში სოფლელებს გამოუყენებიათ დანები, ფილები, თვითნაკეთი ყუმბარები და სხვა მეტალის ნივთები.

**იტალიის მთავარმა კათოლიკურმა ჟურნალმა განაცხადა, რომ მიიღო ანონიმური წერილი, რომლის ავტორიც აღიარებს, რომ იგი საფეხბურთო მატჩების ჩაწყობაში მონაწილეობდა. ჟურნალ „ფამილია კრისტიანას" პუბლიკაციას დიდი სერიოზულობით მიუდგა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც გამოძიება წამოიწყო. „ძვირფასო მამაო" — მიმართავს წერილის ავტორი მოძღვარს — „მე ფეხბურთელი გახლავართ და მნიშვნელოვან შეხვედრაში თავი გამიყიდია. ჩემი საქციელით ვუღალატე გუნდს, რადგან დიდებულ კონტრაქტს დამპირდნენ. ვიცი, რომ ჩემპიონატი გავაფუჭე, მაგრამ გთხოვთ მითხრათ, შეწყალებისთვის ვის უნდა მივმართო". ფეხბურთელს წერილში არ მიუთითებია, რომელ ლიგაში თამაშობს, თუმცა წერს: „ფეხბურთში დიდი ფულის შემოჭრამ ყველაფერი მოკლა და მეც მსხვერპლი გახლავართ".**

**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა" ინგლისურივე „დერბი ქაუნთისგან" ხორვატი იგორ შტიმაცი იყიდა. ცენტრალურმა მცველმა ლონდონურ კლუბთან გუშინ შეათანხმა პირობები. იგივე პროცედურა ელის პორტუგალიური „ბენფიკას" მცველს, გარი ჩარლზს, ოღონდ მომდევნო კვირაში. ჩარლზი, „ასტონ ვილას" ყოფილი ფეხბურთელი, „ვესტ ჰემს" 1,5 მილიონი გირვანქა დაუჯდება.



რობერტ ვასეიგე

## ოთხი ოთხის ნილ

**ბელგიის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა რობერტ ვასეიგემ ორი ამხანაგური მატჩის წინ, წინამორბედის, ჟორჟ ლიკენსის რჩეულთა სიაში ოთხი ცვლილება შეიტანა. ვასეიგეს სიახლენი გახლავან „ანდერლეხტის" მცველი დევი ოიენი, „ბრიუგეში" მოთამაშე ერიკ დეფლანდრე, „ვესტერლოს" ფორვარდი ტონი ბროგნო და ეროვნული გუნდის დებიუტანტი ჯეკი პეეტერსი, რომელიც გერმანულ ბუნდესლიგაში, კერძოდ, „არმინიაში" გამოდის.

ჩამოთვლილმა ოთხეულმა შეცვალა ფილიპ კლემენტი, ტიორვენ დე ბრული, სანდი მარტენსი და მბო მპენზა, რომელთაგან პირველი სამი „ბრიუგეს" წევრია, ხოლო მეოთხე ლიეჟის „სტანდარდის" თავდამსხმელი გახლავთ.

რაც შეეხება ბელგიელთა ამხანაგურ მატჩებს, ისინი 4 და 7 სექტემბერს გაიმართება. პირველ შეხვედრაში ევრო 2000-ის თანამასპინძლები მათებრ თანამასპინძლებს, ჰოლანდიელებს შეხვდებიან, მეორეში მათი მოწინააღმდეგე მაროკოს ეროვნული გუნდი იქნება.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— *ესე იგი, მე არ მეგონა...*

— ალარ იყო დრო?

— *ესე იგი, მე არ მეგონა, რომ „გლაზგო" გუნდი გახდებოდა.*

— ალარ იყო-მეთქი დრო?

— *პირდაპირ საოცარია. რა ხალხი ჰყავდათ და მხოლოდ ვლადიკავკაზში იგებდნენ...*

— ახლა რა ხალხი ყავთ და პარმა დააცურეს, არა?

— *ვერონი რომ პარმაში დარჩენილიყო, ვერ გააგდებდნენ.*

— ორტეგა იქ არ იყო?

— *ორტეგა ლამაზად წაგებაში თუ მოეხმარება კაცს სხვა რაში?*

— ზოგჯერ პირიქით, უშნოდ მოგებაშიც ეხმარება.

— *ასეთია სპორტული ცხოვრება.*

— თუ გიფიქრია, რატომ გაიქაჩა „გლაზგო".

— *კი, როგორ არა. შოტლანდიელი აღარ ყავს გუნდში.*

— იფ, რა პასუხია...

— *არ მოგწონს?*

— კოლინ ჰენდრი სადაურია?

— *ეგებ ერთი ორი სხვაც იპოვნო.*

— კოლინ ჰენლარი ვინაა?

— *პენსიონერები და სათადარიგოები არ ჩავთვალოთ.*

— როდ უოლესი სადაურია?

— *ეჰ...*

— რა, ეჰ?

— *მგონი თვითონ როდ უოლესმა არ იცის სადაურია.*

— კინო გინახავს? იქ მელ გიბსონი როა კაბით, რა გვარია?

— *ბრეივჰართი.*

— ბრეივჰართი შენა ხარ.

— *აბა?*

— უოლესი.

— *ხო მაგრამ, ის თეთრია, ეს კი შავი.*

— შავი და თეთრი რაღამ გაყო? ტელევიზორიც აღარ იყოფა შავად და თეთრად...

— *კარგი, ჯანდაბას. მაგრამ არც ისეთი გადასარევია ეგ „გლაზგო".*

— აბა, როდის იყო გადასარევი?

— *ეჰ, ძველ დროში.*

— სუნესი რომ თამაშობდა?

— *სუნესიც და...*

— ჰა, ამოღერღე.

— *და გაზა?*

— მაგას თუ თამაში ერქვა...

— *ჰმ...*

— წიხლი ჩაკრა ვინსტონ ბოგარდს და ეგ იყო.

— *და მეტი არაფერი?*

— არა გრცხვენია? ჩემგან იცავ გაზას?

— *ისე, ბოგარდს ეკუთვნოდა.*

— რატომ?

— *დრომ გამოაჩინა.*

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

# აი, ის, გაბრიელ ბატისტუტა

**იტალიაში** გატარებულმა შვიდმა წელიწადმა მისი არგენტინული სტილი მოგონებად აქცია. როდესაც მას არგენტინელი ჟურნალისტები ესაუბრებიან, გრძნობენ, რომ ბატი უფრო ტანოს ჰგავს ანუ იტალიელს, როგორც ამას მათ სამშობლოში იტყვიან.

გაბრიელ ბატისტუტა და იტალია, გაბრიელ ბატისტუტა და ფლორენცია: ეს გახლავთ გოლების, თასების, ღიმილის და, ალბათ, ცოტათი გაუგებრობების ჯადოსნური ისტორია.

„ხანდახან ჩემს ირგვლივ ერთი ამბავი ატყდება ხოლმე. ზოგი იწყებს მტკიცებას, რომ ძველებური ბატისტუტა აღარ ვარ, მაგრამ, საბედნიეროდ, კოხტაპრუწა და ეჭვიანი კრიტიკოსების დაწყნარებას სულ რამდენიმე მატჩით ვახერხებ. და ამის მერეც, ახალ-ახალი არგუმენტების მოსასმენად უნდა ვიყო მზად. მაგალითად, საშინლად გამიჭორეს ოჯახი. იცით, როდესაც ფეხბურთელს იწუნებ და ოთხიანს უწერ, საყვედურობ, რომ გოლები ველარ გააქვს, ნორმალურია, მაგრამ პიროვნებაზე შეტევა დაუშვებელია. მეტიც, სახიფათოა, რადგან ასეთი საქციელით ერთგულ კაცს შეიძლება გარემო შეაზიზღო".

ასეთ მომენტებში ბატისტუტა აცხადებს — არ გინდივართ, კი ბატონო, წავალ! — მართავს პრესკონფერენციას და ყველაფერი ავტომატურად დგება თავის ადგილზე, ხოლო ხალხი ხვდება, როგორ გახდა გაბრიელი გუნდში მთავარი ფიგურა და რატომ არ ეშინია ჭორების.

ბატისტუტას წინადადებები არასდროს დაკლებია. „ბარსელონა", „რეალი", „ატლეტიკო", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ინტერი"... ეს ის გუნდებია, რომელთაც თავის დროზე მოუსინჯავთ თავიანთი შანსი, მაგრამ გადის დრო და ის ისევ ფლორენციაში რჩება.

მეტიც, მისმა მეუღლემ, ირინამ ახალ, უფრო დიდ და მშვიდ სახლს დაადგა თვალი ფიესოლეს ფერდობზე. მართალია, სტადიონთან ცხოვრება მოხერხებულია, მით უმეტეს, რომ ტიაგო აქ გაიზარდა, ლუკასი კი სულაც დაიბადა, მაგრამ როდესაც მთელმა ფლორენციამ იცის, სად ცხოვრობ... ბატისტუტებმა საცხოვრებელი გამოიცვალეს.

თუმცა სხვა რამეზე ჯობს ფიქრი, ისეთზე, რაც გაბრიელს ეხერხება, მაგალითად გოლების გატანაზე.

„სტატისტიკოსები ამბობენ, რომ ორას გოლზე მეტი მაქვს გატანილი, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ათასს დაგისახელებდით. მე ხომ ჩემი ნებისმიერი გოლი მიყვარს, ისინიც კი, ვარჯიშებზე რომ გამაქვს".

შინ, უმცროს ბატისტუტებს უამრავი კასეტა აქვთ მულტფილმებით სავსე და მამას ვიდეოს არ აკარებენ, არადა იგი სიამოვნებით ჩართავდა მისთვის ძვირფას ორ ფილმს: „ბოკა 91" და „La carica dei 101".

პირველი ფილმი არგენტინულ ჟურნალ „ელ გრაფიკოს" ეკუთვნის და ასახავს საუცხოო ეპიზოდებს ბატი და დიეგო ლატორე რომ ქმნიან, მეორე კი „უნო სპორტის" შემოქმედებაა და მასში გაბრიელის იტალიური გოლებია თავმოყრილი.

მაგრამ ბატისტუტების სახლში ფეხბურთი აკრძალული თემაა.

„ირინა ვერ იტანს. თუ მოიცლის, მოდის ხოლმე სტადიონზე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად. იმიტომ, რომ ფეხბურთელის ცოლია. მე კი შინ მატჩების ცქერა არ შემიძლია, განსაკუთრებით ევროთასების. სულ ის გრძნობა მეუფლება, რომ სახლში მშვიდად ჯდომის ნაცვლად იქ, მოედანზე უნდა ვიყო, დავრბოდე და ვიბრძოდე. მერე ვბრაზდები და ტელევიზორს გამოვრთავ".

მოედანს გარეთ ბატისტუტა მოსიყვარულე მამაა, სულ ტიაგოსთან თამაშობს. ის უკვე ექვსი წლისაა, გამჭოლი მზერა აქვს და თითქოს ასაკთან შეუფერებლად ჭკვიანია.



გაბრიელ ბატისტუტა

„ტერასაზე დიდი თამაშობა გვაქვს ხოლმე გაჩაღებული".

ამას რომ ამბობს, გაბრიელს თვალები უციმციმებს... თავადაც ბავშვია.

ხანდახან, ვია ვოლტას მიდამოებში ჩამავალი მანქანების მძღოლები ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდას, რომელიც ძალიან ჰგავს ბატისტუტას და ქუჩაში ბურთს დასდევს. მათ არ იციან, რომ ის ვიღაც კი არ ჰგავს, არამედ თავად ბატისტუტაა.

„ლუკასთან ურთიერთობაც ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ის ძალიან ბევრ ფილმს უყურებს და მერე მთელი ენერგიის დახარჯვას ცდილობს, მიწისძვრას მაგონებს. ირინა და ჩვენი მოახლე ტანი მის ნაკვალევზე წესრიგის დამყარებას ვერ აუდიან".

ისე, ბედნიერ მამას სრული ბედნიერებისთვის ქალიშვილი აკლია, რომელსაც სელენას დაარქმევდა.

„ახლა 2:0-ს მე ვიგებ" — იცინის ირინა — „მე ბიჭები მირჩევნია, გაბრიელს კი გოგო უნდოდა. ვნახოთ, მომავალში..."

მომავალში ბატისტუტა კიდევ ბევრ გოლს გაიტანს.

„დაუჯერებელია, იტალიაში და ნაკრებში დიეგოზე მეტი გოლი მაქვს გატანილი, მაგრამ ჩვენს შორის აი, ეს სხვაობაა: მე ფულს გოლების გატანაში მიხდიან, დიეგოს კი მხოლოდ გოლებში კი არა, ნაღდ, დიდ შოუში უხდიდნენ, ელოდნენ ქუსლებით დარტყმებს და ყოველგვარ დელიკატესს, რომელიც დღეს უკვე არქივშია. მაგრამ ფეხბურთის მარილიც ეგაა".

ფეხბურთის წიწაკაზე კი, ვგონებთ, თავად გაბრიელი ზრუნავს.

**მატეო დოტო**
**„ქალჩო 2000"**
**თარგმნა პაპუნა ქედიამ**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 065 | ვოლფსბურგი — ჰანზა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 066 | ჰერტა — ვერდერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 067 | შტუტგარტი — ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 068 | ბაიერნი — უნტერჰახინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 069 | ფრაიბურგი — მიუნხენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 29.08 | 070 | ულმი — დორტმუნდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 071 | აინტრახტი — დუისბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 075 | ალემანია — ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 29.08 | 076 | ზანქტ პაული — ბოხუმი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 077 | კოტბუსი — მაინცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 078 | ნიურნბერგი — ფორტუნა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 079 | ობერჰაუზენი — ფიურტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 30.08 | 080 | კარლსრუე — მიონხენგლადბახი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 081 | ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 082 | ბრედფორდი — ვესტ ჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 083 | დერბი — ევერტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 084 | ლივერპული — არსენალი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 085 | საუთჰემპტონი — უენსდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 086 | ტოტენჰემი — ლიდსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 303 | უიმბლდონი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 29.08 | 304 | სანდერლენდი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 30.08 | 087 | ლესტერი — უოტფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 088 | მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ინგლისი. I დივიზიონი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 091 | ბარნსლი — პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 092 | ბოლტონი — მანჩესტერ სიტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 093 | ფულემი — ჩარლტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 094 | ჰადერსფილდი — კრისტალ პალასი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 095 | ნორვიჩი — ბლექბერნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 096 | ნოტინგმი — ქუინზ პარკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 097 | პორტ ვეილი — ტრანმერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 098 | შეფილდი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 099 | სუინდონი — ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 100 | ვულვერჰემპტონი — უოლსოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30.08 | 101 | ბირმინგემი — ქრიუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 102 | ბლექბერნი — ბოლტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 103 | გრიმსბი — სუინდონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 104 | იფსვიჩი — ბარნსლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 105 | მანჩესტერ სიტი — ნოტინგემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 106 | პორტსმუთი — ჰადერსფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 107 | ტრანმერი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 108 | უოლსოლი — ნორვიჩი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 109 | ვესტ ბრომვიჩი — ფულემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**ინგლისი. II დივიზიონი. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 110 | ბრენტფორდი — ბლეკპული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 111 | ბრისტოლი — ბერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 112 | ბარნლი — სტოკი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 113 | კემბრიჯი— ნოტსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 114 | კოლჩესტერი — რედინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 115 | ჯილინგემი — უიკომბი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| | 116 | ლუტონი — კარდიფი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 117 | მილუოლი — ჩესტერფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 118 | ოქსფორდი — ოლდემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | 119 | პრესტონი — უიგანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 120 | სკანთორპი — ბორნმუთი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 121 | რექსემი — როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისი. II დივიზიონი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30.08 | 122 | ბლეკპული — ოქსფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 123 | როვერსი — ბარნლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 124 | ბერი — კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 125 | კარდიფი — სკანთორპი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 126 | ჩესტერფილდი — ბრისტოლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 127 | ნოტსი — ბრენტფორდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 128 | ოლდემი — მილუოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 129 | სტოკი — ჯილინგემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 130 | უიგანი — კემბრიჯი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 132 | ბარნეტი — იორკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 133 | დარლინგტონი — ბრაიტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 134 | ჰართლპული — ჩელტენემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 135 | ჰალი — მაკლსფილდი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 136 | ლეიტონი — ჰალიფაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 137 | მენსფილდი — კარლაისლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 138 | პლიმუთი — პიტერბრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 139 | როჩდეილი — ექსეტერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 140 | როტერჰემი — შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 141 | სუონსი — საუთენდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 142 | ტორკი — ჩესტერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30.08 | 143 | კარლაისლი — პლიმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 144 | ჩელტენემი — ბარნეტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 145 | ჩესტერი — როჩდეილი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 146 | ექსეტერი — მენსფილდი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | 147 | ლინკოლნი — სუონსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 148 | მაკლსფილდი — როტერჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 149 | პიტერბრო — დარლინგტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 150 | საუთენდი — ლეიტონი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 151 | იორკი — ნორთჰემპტონი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 152 | ნანსი — ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 153 | სედანი — სენტ ეტიენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 154 | ბორდო — მეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| | 155 | სტრასბური — რენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 156 | ნანტი — მონპელიე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 157 | მარსელი — ბასტია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 158 | ოსერი — ლე ავრი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 159 | ლიონი — პსჟ | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 160 | მონაკო — ტრუა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 170 | სოშო — ტულუზი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**იტალია. სერია A. I ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 171 | ბოლონია — ტორინო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 29.08 | 172 | ფიორენტინა — ბარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 173 | ინტერი — ვერონა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 174 | იუვენტუსი — რეჯინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 175 | ლეჩე — მილანი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 176 | პერუჯა — პარმა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 177 | პიაჩენცა — რომა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 178 | ვენეცია — უდინეზე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 30.08 | 179 | ლაციო — კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**იტალია. სერია B. I ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 29.08 | 180 | ალძანო — მონცა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 181 | ბრეშა — სავოია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 182 | ჩეზენა — პესკარა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | 183 | კიევო — სალერნიტანა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | 184 | კოზენცა — ატალანტა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | 185 | ემპოლი — ფერმანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 186 | ჯენოა — ტერნანა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,2 | 3,0 | 2,2 |
| | 187 | ნაპოლი — რავენა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 188 | პისტოიეზე — სამპდორია | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 189 | ტრევიზო — ვიჩენცა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 190 | სოსიედადი — ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 29.08 | 191 | რაიო — მალიორკა (15.00) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 192 | სელტა — სევილია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 193 | სარაგოსა — ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 194 | რასინგი — ბარსელონა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 195 | ესპანიოლი — ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 196 | ალავესი — მალაგა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 197 | ბეტისი — დეპორტივო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 198 | ვალიადოლიდი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 199 | რეალი — ნუმანსია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 200 | ხეტაფე — ესტრემადურა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 204 | ლევანტე — ლეიდა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 205 | ტენერიფე — ლოგრონიესი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 207 | უელვა — კორდობა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 29.08 | 201 | ეიბარი — ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 202 | ელჩე — ალბასეტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 203 | ვილიარეალი — სალამანკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 206 | სპორტინგი — ლას პალმასი (15.00) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 208 | ტოლედო — კომპოსტელა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 209 | მერიდა — ოსასუნა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 210 | ატლეტიკო „ბ" — ლეგანესი (15.00) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**პორტუგალია. II ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 212 | პორტუ — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 29.08 | 213 | კამპომაიორენსე — ბოავიშტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 214 | ბელენენსეში — ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 215 | ბენფიკა — სალგეირუში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 216 | მარიტიმუ — სანტა კლარა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 217 | ბრაგა — რიუ ავე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 218 | ლეირია — ამადორა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 30.08 | 219 | სპორტინგი — სეტუბალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ჰოლანდია. III ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 221 | ტილბურგი — დენ ბოსხი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 222 | პსვ — სიტარდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 223 | როდა — ნაიმეგენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 224 | ვიტესი — მაასტრიხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 29.08 | 225 | უტრეხტი — ტვენტე (17.30) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 226 | ვალვაიკი — ალკმარი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 227 | ფეიენოორდი — ჰერენვენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0,1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ბელგია. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 228 | გენტი — შარლერუა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 229 | ლოკერენი — გეელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 230 | ბეერსხოტი — სენტ ტრუიდენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 231 | მეხელენი — ბევერენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 232 | ვესტერლო — მუსკრონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 29.08 | 233 | ჰარელბეკე — ლიერსი (18.00) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 234 | გენკი — სტანდარდი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 235 | აალსტი — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 236 | ანდერლეხტი — ლომელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ჩეხეთი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 238 | სპარტა — დუკლა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 240 | ბრნო — იაბლონეცი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 241 | ბანიკი — ვიკტორია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 242 | ჰრადეც კრალოვე — დრნოვიცე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 29.08 | 239 | ბუდეიოვიცე — ტეპლიცე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 243 | ბოჰემიანსი — ოპავა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 244 | ლიბერეცი — სიგმა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**პოლონეთი. VII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 248 | რაძიონკოვი — ზაგლებე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 249 | გროცლინი — გურნიკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 250 | პოგონი — ლკს | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 251 | ჰალექსი — ვისლა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 252 | პოლონია — რუხი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 29.08 | 245 | ოდრა — ლეხი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 246 | პლოცკი — ლეგია | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 247 | ვიძევი — ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**უკრაინა. IX ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 29.08 | 255 | ნივა — ზაპოროჟიე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 256 | ცსკა — ვორსკლა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 258 | კარპატი — დნიპრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 259 | ჩორნომორეცი — ტავრია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 260 | მეტალურგი — ზირკა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**შოტლანდია. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 261 | ჰიბერნიანი — რეინჯერსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 262 | მოზერველი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 29.08 | 263 | აბერდინი — სენტ ჯონსტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 264 | სელტიკი — ჰართსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 265 | დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**ავსტრია. X ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 266 | აუსტრია — ლუსტენაუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 267 | ბრეგენცი — ტიროლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 268 | ლინცერი — რიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 269 | ზალცბურგი — შტურმი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 29.08 | 270 | გრაცერი — რაპიდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**შვეიცარია. X ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 271 | სენტ გალენი — დელემონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 272 | ივერდონი — ლუცერნი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 273 | ლუგანო — არაუ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 274 | ქსამაქსი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 29.08 | 275 | ბაზელი — ციურიხი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 276 | გრასჰოპერი — სერვეტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**დანია. VI ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 29.09 | 277 | ვეილე — ვიბორგი (18.00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 278 | ბრონდბიუ — ჰერფიოლგე (18.00) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 279 | ესბიერგი— აკადემისკი (18.00) | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | 280 | ოდენსე — ოლბორგი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | 282 | სილკებორგი — ორჰუსი (18.00) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 30.09 | 281 | ლიუნგბიუ — კოპენჰაგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**რუსეთი. XXII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | 283 | ნ. ნოვგოროდი — შინიკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 284 | ტორპედო — ზენიტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 285 | როტორი — ცსკა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 286 | ჟემჩუჟინა — ალანია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 287 | სატურნი — ურალანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 288 | დინამო — ჩერნომორეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 29.08 | 305 | როსტსელმაში — სპარტაკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | 306 | ლოკომოტივი — კრილია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**შვედეთი. XIX ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 29.08 | 289 | ტრელებორგი — ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 290 | ჰალმსტადი — კალმარი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 291 | იორგრიტე — ჰამარბი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 30.08 | 292 | მალმიო — იორებრო | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | 293 | ფრიოლუნდა — გიოტებორგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 294 | ელფსბორგი — ჰელსინგბორგი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 295 | იურგარდენი — აიკ | 3,6 | 3,2 | 1,9 |

**ნორვეგია. XXI ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 29.08 | 296 | ლილესტრიომი — ტრომსიო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 297 | მოსი — კონგსვინგერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 298 | ოდ გრენლანი — ბოდიო გლიმტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 299 | რუსენბორგი — მოლდე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 300 | სკეიდი — ბრანი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 301 | სტაბეკი — ვოლერენგა | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| | 302 | ვიკინგი — სტრიომსგოდსეტი | 1,6 | 3,4 | 4,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩერქეზიშვილმა ტაქტიკით, ფაჩულიამ კი 20 ქულით სლოვაკეთი დაამარცხეს

**ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 25-29 აგვისტო. სლოვაკეთი**

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე დღეს 65:61 დაამარცხა მასპინძელი, სლოვაკეთის ნაკრები და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. საქართველოს ეროვნული ნაკრების და სლოვაკეთის „ლევიცეს" კალათბურთელის ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ცნობით, სლოვაკებმა თავიდანვე მედგრად შეუტიეს ჩვენებურებს და ერთხანს წინაც იყვნენ. მეორე ტაიმში, განსაკუთრებით მატჩის მიწურულს, ქართველების მწვრთნელს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს სწორი ტაქტიკური ვარიანტებისთვის მიუმართავს და ამის გამო სლოვაკები გატეხილან. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, პირველი მატჩის მსგავსად, ყველაზე შედეგიანი იყო ზაზა ფაჩულია (20 ქულა).

მეორე ტურში გამოიკვეთა ერთპიროვნული ლიდერი, საფრანგეთმა დაამარცხა ფავორიტი იუგოსლავია და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა.

# ტომარაძეს ყველაფერი აქვს ფულის გარდა

*საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ზურაბ ტომარაძე დაგვპირდა, ჩემი ნათლობა სექტემბრის დასაწყისში, თურქეთში დაგეგმილ შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტულ თამაშებზე შედგებაო, მაგრამ... საშინელი მიწისძვრისაგან დაზარალებულ საწყალ თურქებს, აბა, რაღა ებურთავებათ და ეზეიმებათ.*

*ამავდროულად „ვითას" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი „ვითა" ორი კვირა ბაკურიანში ავარჯიშა. ნაკრების სხვა კანდიდატებსაც უხმო ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში, მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.*

**— ბატონო ზურაბ, თუ ხართ ინფორმირებული, რომ მიწისძვრისგან დაზარალებულმა თურქეთმა შავი ზღვის აუზის სპორტული თამაშების მასპინძლობაზე უარი განაცხადა?**

— ვიცი, შემატყობინეს.

**— თურქეთში დაგეგმილ ასპარეზობაზე რომელ ქვეყნებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა?**

— საქართველოს, უკრაინას, რუმინეთს, ბულგარეთსა და თურქეთს.

**— რუსთავის „აზოტის" მთავარი მწვრთნელის, ოთარ ხმელიძის თქმით, რადგან შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები ფიბას კალენდარში არ შედის, კორაჩის თასისთვის უკეთ მომზადების მიზნით, ფედერაცია თანახმა იყო თურქეთში დაგეგმილ ასპარეზობაზე ნაკრების საბაზო გუნდი „აზოტი" ყოფილიყო. თქვენ თუ იცოდით ეს?**

— რადგან ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის მიღმა დავრჩით, საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში მართლაც იყო საუბარი, რომ კორაჩის თასისთვის უკეთ მომზადების მიზნით, „აზოტი" ნაკრების საბაზო გუნდი იქნებაო. გუნდის ხელმძღვანელებად კი ოთარი და მე უნდა ვყოფილიყავით. ეს საუბარი შედგა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჩემს დანიშვნამდე. შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, რომ უფრო მნიშვნელოვან ასპარეზობაში მონაწილეობა დაიგეგმა. ამიტომ, გადაწყვეტილი გვქონდა, თურქეთში გამოგვეცადა საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები, რომელთაგან „აზოტის" წევრიც საკმაოა.

**— რომელ მნიშვნელოვან ასპარეზობაზეა საუბარი?**

— მომავალი წლის 15-22 მაისს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მიღმა დარჩენილი ქვეყნები გაითამაშებენ 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორ საგზურს. მართალია, მაისამდე საკმაო დროა, მაგრამ თუ აქედანვე არ დავიჭირეთ თადარიგი, შეიძლება შემდეგ გვიანღა იყოს.

**— საკვალიფიკაციო ტურნირში რომელი ქვეყნების მონაწილეობაა დაგეგმილი?**

— ტურნირში იასპარეზებენ საქართველო, ირლანდია, დანია, კვიპროსი, ნორვეგია, რუმინეთი და ლუქსემბურგი. აღნიშნული გუნდებიდან ნათამაშები გვაქვს ლუქსემბურგთან, კვიპროსთან, ირლანდიასთან. წლეულს კი შვეიცარიაში მეორედ შევხვდით დანიას.

**— რომელი გუნდები მიგაჩნიათ პირველ-მეორე ადგილების პრეტენდენტებად?**

— საქართველო, ირლანდია, დანია და ნორვეგია.

**— ტურნირს ვინ უმასპინძლებს?**

— ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**— ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ „სარბიელისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ნიჭიერი თაობა მოდის და ზოგიერთი მათგანი პირველ ნაკრებში გამოიცდებაო. თურქეთში ხომ არ აპირებდით რომელიმე მათგანის გასინჯვას?**



ალექსანდრე ბუჯიაშვილის ფოტო

ზურაბ ტომარაძე

— დიდი ხანია ვაკვირდები ზაზა ფაჩულიას. ეს ბიჭი თურქეთში წასვლამდე ჩემთან, „ვითაში" თამაშობდა. ჭაბუკთა ნაკრების სლოვაკეთში გამგზავრებამდე, ფაჩულიას ვარჯიშებზე ვაკვირდებოდი და ძალიან მომეწონა. რადგან თამაშები თურქეთში იყო დაგეგმილი და ფაჩულიაც იქ თამაშობს, გადაწყვეტილი მქონდა მისი გასინჯვა.

უკვე რამდენიმე წელია, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ კოლეჯში სწავლობს და კალათბურთს თამაშობს ირაკლი ნიჟარაძე, რომელიც გამოკვეთილი ცენტრია. ამერიკაში გამგზავრების წინ მინდა ნიჟარაძეს „ვითას" ვარჯიშების დროს დავაკვირდე. როგორც ვიცი, ირაკლი ამერიკის რამდენიმე საუნივერსიტეტო გუნდი ეპატიჟება. მითხრა, მაისისთვის თავისუფალი ვიქნები და თუ დაგჭირდებით დაგეხმარებითო.

**— ამბობდით, ნაკრებში კიდევ სამ-ოთხი მწვრთნელი უნდა დავასაქმოთ. შეარჩიეთ უკვე თანაშემწეები?**

— ასისტენტებად მუშაობენ გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მეტი შანსია, ერთ-ერთმა მათგანმა მეორე მწვრთნელის მოვალეობა შეასრულოს. ფიზმომზადებასა და ადმინისტრაციულ საკითხებს გაუძღვება ჩემი მესამე ასისტენტი გია ქემოკლიძე. ვაკანტურია გუნდის უფროსის თანამდებობა. ვეძებ ისეთ პიროვნებას, რომელიც შეძლებს ფინანსების მოზიდვას არა მათხოვრობით, არამედ საკუთარი ბიზნესით.

**— სამ-ოთხი დამხმარე მწვრთნელი ცოტა ბევრი ხომ არ არის?**

— არ არის ბევრი. სამუშაოა ტაქტიკაზე, დაცვაზე. საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა ცენტრებთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ნაკრების კანდიდატებზე, პროცენტული მონაცემები ქულებზე, მოხსნებზე, სროლებზე და სხვა.

ლეგიონერებს დაეგზავნებათ გუნდის ტაქტიკური მონახაზი, როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში. ლეგიონერებს თავის მხრივ დავალებული აქვთ გამოაგზავნონ თავიანთი კლუბების ტაქტიკური მონახაზები, რაც საშუალებას მოგვცემს მათ შევუთავსოთ ადგილი ეროვნულ გუნდში. მაგალითად, ბოისა სლოვენიაში მესამე ნომრად თამაშობს, ჩვენ კი ნაკრებში მეოთხეზე ვათამაშებთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, კალათბურთელებს გადაწყობა უჭირთ და მომავალში ამას ჩვენ გავითვალისწინებთ.

**— აგვისტოს პირველი ნახევარი „ვითამ" ბაკურიანში გაატარა...**

— ძირითადად დაკავებული ვიყავით ფიზიკური მომზადებით. უდარბაზობის გამო კი ბურთზე ვარჯიში ვერ მოვახერხეთ.

**— ცოტა ადრე ხომ არ დაიწყეთ მეცხრე ეროვნულისთვის მზადება?**

— რატომ ადრე. ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვეღა რჩება.

**— „აზოტს" ვითელი ზურაბ ჩუბინიძის დამატება ჰქონდა განზრახული, მარტო კორაჩზე საასპარეზოდ თუ...**

— მარტო კორაჩის თასზე.

**— რას იზამს, ითამაშებს ჩუბინიძე „აზოტის" შემადგენლობაში?**

— მე წინააღმდეგი არ ვარ.

**— გუნდიდან წასული მამუკა აბრამიძის ნაცვლად უკვე აიყვანეთ ირაკლი შანიძე, მამუკა ჩხაიძე და ზურაბ პაპასკირი. კიდევ ხომ არ აპირებთ ვინმეს დამატებას?**

— თუ უცხოეთში არ წავიდა, სიამოვნებით დავიმატებდი ვლადიმერ ბეჟანიშვილს.

**— „ვითას" ჯერაც რომ არ ჰყავს გამოკვეთილი ცენტრი?**

— ვინც კარგი ცენტრია, ყველა უცხოეთში გარბის. საქართველოში კი ირაკლი ჯაფარიძის სახით მხოლოდ ერთი ნორმალური ცენტრია და, არა მგონია, მან „აზოტი" მიატოვოს.

**— ბატონო ზურაბ, მოდით საუბარი დავამთავროთ ჩვენი ინტერვიუს ძირითადი თემით. სამწუხაროდ, თურქეთის ტურნირი ოცნებად დარჩა. მომავალი წლის მაისში დაგეგმილ საკვალიფიკაციო ტურნირამდე კონკრეტული გეგმა თუ გაქვთ?**

— მთავარია თანხები იყოს, თორემ გეგმაც შედგენილი მაქვს და კალენდარიც.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲚᲐᲑᲣᲩᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

26 აგვისტო

***სან ანტონიო სპურზი:*** აიყვანა „დალასის" ყოფილი ფორვარდი სამაკი უოლკერი (ორწლიანი კონტრაქტი)

***მინესოტა ტიმბერვულვზი:*** შეინარჩუნა ფორვარდი ანდრეი პატერსონი

# ფრენსისი ათკაციან გაცვლაში?

ᲐᲮᲚᲐ, ამ წერილს რომ კითხულობთ, ამერიკაში, მერილენდის შტატის ქალაქ ტაკომა პარკში პრესკონფერენციას აწყობს კალათბურთელი სტივ ფრენსისი. 1999 წლის დრაფტის მეორე ნომერს არ სურს მის ამომრჩევ კლუბში, „ვანკუვერ გრიზლიზში" თამაში და, პრესკონფერენციაც, სავარაუდოდ, ამ ამბის ოფიციალურად გასაცხადებლად მოიწვია.

ხუთშაბათს კი ცნობილი გახდა, რომ „გრიზლიზი" და „ჰიუსტონ როკიტსი" შეთანხმებულან ათკაციან გაცვლაზე, რომელშიაც ფრენსისიც იქნება ჩართული. ცნობა ჯერჯერობით არაოფიციალურია, თუმცა ასეთი ჭორები, როგორც წესი, მართლდება ხოლმე.

მაშ ასე, „ვანკუვერი" „ჰიუსტონს" აძლევს: სტივ ფრენსისს, ტონი მასენბურგს, ლი მაიბერის, მახტარ ნდაიეს, როდრიკ როუდზს და მაიკლ სმიტს, ჯამში ექვს მოთამაშეს.

„ჰიუსტონი" „ვანკუვერს" აძლევს: ანტუან კარს, მაიკლ დიკერსონს, ოტელა ჰარინგტონს, ბრენტ პრაისს და დრაფტის პირველი წრის არჩევანს.

თუკი ეს ვაჭრობა შედგება, იგი უდიდესი იქნება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში.



სტივ ფრენსისი

## ევროპული ტრანსფერები

### ესტონეთი

# ქარაბაკს მუხლი დაუწუნეს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების ფორვარდი ლევან ქარაბაკი ესტონეთშია და იქაურ „ტარტუში" ისინჯება. ეს გუნდი საპორტას თასისთვის ემზადება და რამდენიმე უცხოელით გაძლიერებას აპირებს. დიდი შანსია, ქარაბაკმა კონტრაქტი ვერ მიიღოს. ამის მიზეზი კი მისი ნაოპერაციევი და მრავალგზის ნამკურნალევი მუხლია. „ტარტუს" დირექტორმა იააკ კიიკერმა განაცხადა: „ქარაბაკის აყვანისგან თავს ვიკავებთ, რადგან მას სერიოზულად აწუხებს მუხლი". ამასობაში „ტარტუმ" ფორვარდის ადგილზე გუნდში ჩარიცხა 27 წლის ლიტველი ეგიდიუს მიკალაიუნასი.

### რუსეთი

# ბელოვი ნაკრებს გამოეთხოვა

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ნაკრები მწვრთნელის გარეშე დარჩა: სერგეი ბელოვმა ოფიციალურად განაცხადა გადადგომის შესახებ. ამის მიზეზად მან მოთამაშეთა ინერტულობა და რუსეთის კალათბურთის ფედერაციის უმოქმედობა დაასახელა: „ნაკრების წევრთა უმრავლესობისთვის ეროვნულ გუნდში თამაში აღარაფერს ნიშნავს. ახალგაზრდა და მშიერი კალათბურთელებია საჭირო, ახლანდელი თაობა უმოტივაციოა... რუსეთის კალათბურთის ფედერაციის უმოქმედობით კი აღშფოთებული ვარ, ნაკრების ასე უპატრონოდ მიგდება დანაშაულია".

ფედერაცია ვალში არ დარჩა ბელოვს და ვიცე-პრეზიდენტ სერგეი ჩერნოვის პირით განაცხადა: „ბელოვი დიდი კლათბურთი იყო და ახლაც კარგი მწვრთნელია. მისი უბედურება ის გახლავთ, რომ ადამიანებთან ურთიერთობა უჭირს. ამიტომაც ჰქონდა გამუდმებული კონფლიქტები მოთამაშეებთან და კლუბების მწვრთნელებთან".

სერგეი ბელოვი მართლაც დიდი მოთამაშე იყო: 1972 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 1976 და 1980 წლების ოლიმპიადაზე ბრინჯაო მოიპოვა. წლების განმავლობაში კაპიტნობდა მოსკოვის ცსკა-ს და საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

მწვრთნელობისას ბელოვს არაერთი ტიტული მოუპოვებია. მისი ხელმძღვანელობით რუსეთმა ორჯერ დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატებზე (1994, 1998), 1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი მესამე იყო. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ბელოვმა მე-6 ადგილზე გაიყვანა გუნდი, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ეს საკმარისი აღმოჩნდა.

ბელოვის შემცვლელად ერთადერთ კაცს, ცსკა-ს მწვრთნელ სტანისლავ ერიომინს ასახელებენ. ბელოვმა ამ ფაქტს კომენტარი არ გაუკეთა, თუმცა თქვა: ერიომინი მოღალატეა, იგი ნაკრებში ჩემს თანაშემწედ ითვლებოდა, მაგრამ ტრიბუნაზე ჯდომის და ქილიკის მეტს არაფერს აკეთებდაო.

ბელოვი უმუშევარი არ დარჩენილა: რუსეთის სუპერლიგის გუნდს, პერმის „ურალ გრეიტს" გაწვრთნის.

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია ᲡᲐᲥᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛ ᲞᲚᲣᲡᲘ
☎ 99 67 67, 98 30 20

# ლენი კრეიზელბერგს მსოფლიოს რეკორდებს ოლიმპიური ოქრო ურჩევნია

REUTERS სიდნეიდან



პენი ჰეინსი

ის, რაც სიდნეის ოლიმპიურ აუზში ხდება, ალბათ სასწაულის ტოლფასია. წყნარი ოკეანის თამაშებზე მოცურავეთა მსოფლიოს რეკორდების წვიმა არ წყდება.

გუშინ აქ კიდევ ორი ასეთი რეკორდი დამყარდა და მათი რაოდენობა ათამდე გაიზარდა. ამ მხრივ კვლავ გამოიჩინეს თავი სამხრეთაფრიკელმა პენი ჰეინსმა და ამერიკელმა ლენი კრეიზელბერგმა.

როგორც ვიუწყებოდით, პენი ჰეინსმა შარშან ლამის სპორტული კარიერა მიატოვა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატსა თუ თანამეგობრობის თამაშებზე ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვა, რის გამოც მწვრთნელმა იანს ბიდრმანმა გუნდიდანაც კი დაითხოვა. ჰეინსი რომ ჩამოსაწერი არ ყოფილა, მან ამ თვენახევარში რამდენჯერმე დაამტკიცა.

დაამტკიცა და მერე როგორ: ჯერ იყო და ჯანეტ ევანსის სახელობის ტურნირზე ოთხი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ახლა კი წყნარი ოკეანის თამაშებზე მას კიდევ სამი მიუმატა და ამ თვენახევრის განმავლობაში შვიდჯერ გააუმჯობესა რეკორდები, სულ კი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ცხრაჯერ გაიხარა ამგვარი შედეგით.

აღსანიშნავია, რომ ჰეინსმა ამ ექვსი კვირის განმავლობაში შვიდიდან ხუთჯერ თავისივე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. მისი გუშინდელი რეკორდი 200 მეტრზე ბრასით ფინალურ ცურვაში 2.23,64 იყო, გუშინწინდელი ნახევარფინალური ასპარეზობისა — 2.24,42.

— შოკში ვარ ჩემი შედეგით — ამბობს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი — რეკორდის დამყარება ძალზე ძნელი იყო. ფინალში იმდენად დავწინაურდი, რომ მეტოქეებს ვეღარც ვხედავდი და ყურადღებაც კი გამეფანტა. ამიტომ ტემპის შენარჩუნება გაძნელდა, მაგრამ მაყურებელთა მხარდაჭერამ ეს შემაძლებინა.

პენი ჰეინსისაგან განსხვავებით ამერიკელ ლენი კრეიზელბერგს 200 მეტრზე გულაღმა ფინალურ ცურვაში საკუთარი რეკორდი არ გაუუმჯობესებია. მან აქ ესპანელი მარტინ ლოპეს-ზუბეროს მიერ ალაბამაში 1991 წლის ნოემბერში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (1.56,57) დაამხო — 1.55,87.

ოდესაში დაბადებული კრეიზელბერგი ბავშვობაში თურმე უკეთეს ცხოვრებაზე ოცნებობდა, ამიტომაც ის მშობლებთან ერთად 1989 წელს კალიფორნიაში გადასახლდა. საშოვარზე ჩასული მისი მშობლები ორ-ორ ადგილზე მუშაობით წელებზე ფეხს იდგამდნენ, რათა შვილისთვის ცხოვრება მოეწყოთ.

ახლა კრეიზელბერგი, ყველაფრით უზრუნველყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდების მფლობელი, ამერიკის გმირია.

— აქამდე გრძელი გზა განვლე. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა და მისი პრესტიჟის დაცვა ჩემთვის დიდი პატივია. საოცარი გრძნობა მეუფლება, როცა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვდგავარ, ვუყურებ ამერიკის დროშას და ვისმენ მის ჰიმნს. ამის აღწერა მართლაც ძნელია — ამბობს ჩემპიონი.

კრეიზელბერგმა ამერიკის მოქალაქეობა 1997 წელს მიიღო. ამიტომ ის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ვეღარც ამერიკის გუნდში მოხვდა, რის გამოც თავისი კერპის, ჯეფ როუზისთვის ოქროს მედლის გადაცემას ტრიბუნებიდან უყურებდა.

— ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ძალზე მივუახლოვდი მსოფლიოს რეკორდს. აქ ჩამოსვლისას დარწმუნებული ვიყავი, რომ მიზანს მივაღწევდი — ამბობს კრეიზელბერგი — ახლაც, როგორც რამდენიმე დღის წინათ 100 მეტრზე რეკორდის დამყარებისას, კვლავ დაძაბულობას ვგრძნობდი, ახლა კი სრულიად დავმშვიდდი.

კრეიზელბერგის მიერ დამყარებული ეს რეკორდი ამ თამაშების მეათე ამგვარი შედეგია.

შეგახსენებთ, რომ კრეიზელბერგმა 100 მეტრზე ახალი თანამემამულის და ამავე დროს მისი ბავშვობის კერპის ჯეფ როუზის მიერ ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

კრეიზელბერგს შანსი ეძლევა კვირას, თამაშების ბოლო დღესაც, გააუმჯობესოს თავისი რეკორდი 4X100 კომბინირებულ ესტაფეტაში ფინალური ასპარეზობის პირველ ეტაპზე, სადაც გულაღმა მოცურავეები გამოდიან.

როგორც კრეიზელბერგი ამბობს, მისთვის მსოფლიოს რეკორდების დამყარებაზე მნიშვნელოვანი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მოპოვებაა.

**გიგა გურასაშვილი**

REUTERS სიდნეიდან



ლენი კრეიზელბერგის სარეკორდო გაცურვის პირველი წამი

### ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 11 | 9 | 6 | 26 |
| აშშ | 9 | 9 | 7 | 25 |
| კანადა | 2 | 3 | 5 | 10 |
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 0 | 4 | 6 |
| იაპონია | 1 | 2 | 1 | 4 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 1 | 1 |



# სიუ ჟუნი ჩემპიონია

ჩინელმა სიუ ჟუნმა კვლავ დაიბრუნა ქალთა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი, რომელსაც აქამდე უნგრელი ჟუჟა პოლგარი ფლობდა.

ჩინეთის ქალაქ შენიანში, ფინალური მატჩის მეთხუთმეტე პარტიაში სიუ ჟუნმა რუს ალისა გალიამოვასთან სასურველ ყაიმს მიაღწია და ორი ქულით 8,5:6,5 დაწინაურდა. სასურველ იმიტომ, რომ ბოლო, მეთექვსმეტე პარტიამ აზრი დაკარგა და ჩინელიც მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდა. არადა, თავიდან სიუ ჟუნ-გალიამოვას მატჩი პრეტენდენტთა ფინალად იყო ჩაფიქრებული და გამარჯვებული ჟუჟა პოლგარს უნდა შეხვედროდა, მაგრამ უნგრელმა ფიდეს უარი შეუთვალა ტიტულის დაცვაზე, ამიტომაც ჩინელისა და რუსის პაექრობასაც სხვა ფასი დაედო.

მაშინ, როცა ალისა გალიამოვა ჩემპიონობას ულოცავდა ჩინელს, მისი ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრ ხალიფმანი იქით იღებდა მილოცვებს. არა, პეტერბურგელი დიდოსტატი ლას ვეგასის ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ ტიტულს არ დაუფლებია, თუმცა სანატრელი ჯილდოსკენ დიდი ნაბიჯი კი გადადგა. მეოთხე პარტიაში სომეხი ვლადიმერ აკოფიანი 61-ე სვლაზე დაამარცხა და 2,5:1,5 დაწინაურდა.



სიუ ჟუნი



**F1** მეთორმეტე ეტაპი — **ბელგიის დიდი პრიზი**

## სპა-ფრანკორშამი

*ლიეჟი, 29 აგვისტო*



| | |
|---|---|
| **ტრასის სიგრძე** | **6.968 კმ** |
| **რბოლის დისტანცია** | **44 წრე — 306.577 კმ** |

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 ჰილი (ჯორდანი); 2 რ. შუმახერი (ჯორდანი) 3 ალეზი (ზაუბერი); 4 ფრენცენი (უილიამსი); 5 დინიცი (ეროუზი); 6 ტრული (პროსტი)

კვალიფიკაცია ჰაკინენი (მაკლარენი) 1:48.682

### წინა წლების პრიზიორები

1993 — ჰილი (უილიამსი), მ. შუმახერი (ბენეტონი), პროსტი (უილიამსი);
1994 — ჰილი (უილიამსი), ჰაკინენი (მაკლარენი), ვერსტაპენი (ბენეტონი);
1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი), ჰილი (უილიამსი), ბრანდლი (ლიჟიე);
1996 — მ. შუმახერი (ფერარი), ვილნევი (უილიამსი), ჰაკინენი (მაკლარენი);
1997 — მ. შუმახერი (ფერარი), ფიზიკელა (ჯორდანი), ფრენცენი (უილიამსი).

### რეკორდები

**ტრასის რეკორდი** — **პროსტი 1:51.095 (უილიამსი, 1993)**

# რა გეჩქარება, შუმი!

ბელგიის დიდი პრიზი ფორმულის კალენდარში პირველივე ჩემპიონატიდან დამკვიდრდა. 1950 წლის ის სადებიუტო რბოლა „ალფა-რომეოთი“ მოასპარეზე ხუან მანუელ ფანხიომ მოიგო, თუმცა იმ სეზონში ჩემპიონი მაინც ვერ გახდა.

ქალაქ ლიეჟის მახლობლად მოწყობილი 14 კმ სიგრძის ტრასა ყველაზე გრძელიც იყო და ერთ-ერთი ყველაზე ჩქაროსნულიც. რბოლების დისტანცია ფორმულის გარიჟრაჟზე დღევანდელთან შედარებით ლამის ორჯერ მეტი იყო — 500 კმ-ს შეადგენდა და მომქანცველი ჯირითი სამსამნახევარსაათს გრძელდებოდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი და ისიც, რომ მძღოლთა უსაფრთხოების დაცვის საქმე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე — ვერც ტრასაზე და ვერც უშუალოდ მანქანაში, ხშირად ხდებოდა უბედური შემთხვევების მიზეზი. პანტაპუნტითო, ვერ ვიტყვით, მაგრამ თითქმის ყოველწლიურად იღუპებოდნენ მრბოლები, ზოგჯერ ორი-სამიც კი. ამ მხრივ არც სპა ყოფილა გამონაკლისი — 1960 წლის რბოლამ ორი ბრიტანელის, კრის ბრისტოუსა და ალან სტეისის სიცოცხლე შეიწირა.

იმ ძველ წრეზე ბოლო რბოლა 1970 წელს მოეწყო, რის შემდეგაც მთელი ავტოდრომი ტრასიან-ტრიბუნებიანად ძირფესვიანად გადაკეთდა და ბევრად უხიფათო გახდა. წრე ორჯერ დამოკლდა, თუმცა დღესაც ყველაზე გრძელია და კვლავაც ერთ-ერთი უსწრაფესი.

სპა — ფრანკორშამის გარდა ბელგიურ ეტაპს კიდევ ორი ავტოდრომი — „ზოლდერი“ (10-ჯერ) და „ნიველი“ (3) მასპინძლობდა.

1982 წელს სწორედ „ზოლდერზე“ დატრიალებულმა ტრაგედიამ იმსხვერპლა კანადელი ჟილ ვილნევი, შარშანწინდელი ჩემპიონის, ჟაკ ვილნევის მამა. 30 წლის პილოტს საბედისწერო ავარია რბოლის წინა დღეს, ვარჯიშის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე შეემთხვა: დიდი სიჩქარით მავალი მისი „ფერარი“ გერმანელ იოხენ მასის „მარჩს“ წამოედო, ჰაერში აფრინდა და რამდენჯერმე ამოატრიალდა. კოკპიტიდან კატაპულტივით ამოსროლილი პილოტი გზის მეორე ბარიერს მიენარცხა. ექიმებმა დაშავებული ვერტმფრენით სასწრაფოდ კლინიკაში გააქანეს, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო გამოდგა — ჟილ ვილნევი იმავე საღამოს, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

მას შემდეგ „ზოლდერზე“ მხოლოდ ერთი რბოლა გაიმართა და ბოლო 15 წელიწადს ბელგიის დიდი პრიზი საბოლოოდ სპაზე დასახლდა. ხუთი გამარჯვების აქ რეკორდი ბრაზილიელ აირტონ სენას ეკუთვნის. ერთი მოგებით ნაკლები აქვს აქტივში მიხაელ შუმახერს, რომლისთვისაც ბელგიური ეტაპი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია — სწორედ სპაზე შედგა 1991 წელს ფორმულაში მისი დებიუტი, ერთი წლის თავზე იქვე მოიპოვა თავისი პირველი გამარჯვება, შემდეგაც ზედიზედ სამჯერ მიაღწია წარმატებას.

ერთი სიტყვით, სპა — ფრანკორშამი შუმახერის ტრასაა და, ალბათ, ამიტომაც სწორედ იქ გადაწყვიტა დაბრუნება თვენახევრის წინანდელი ავარიის შემდეგ. მიხაელმა კი დაიჟინა, გინდა თუ არა, სტარტზე უნდა გამოვიდეო, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც მედიკოსებმა თქვეს და დაბრუნება ორი კვირით, იტალიის დიდ პრიზამდე გადაუვადეს.

სპას ჩქაროსნულ წრეზე უპირატესობას ის მრბოლები იღებენ, რომლებიც უფრო მძლავრძრავიან ბოლიდებში სხედან. ასეთები კი წლეულს „მაკლარენის“ ბედაურებია და ჰაკინენ — კულჰარდის დუეტს ხვალ არ უნდა გაუჭირდეს წარმატების მოპოვება.

დაბოლოს: ამჯერადაც წინა წლების სტატისტიკას დავეყრდნობით და ვივარაუდებთ, რომ ხვალინდელ რბოლაში გამარჯვებული წლეულს ჩემპიონი ვერ გახდება, რადგან ბოლო შვიდ გათამაშებაში ექვსჯერ სწორედ ასე მოხდა.

**ირაკლი ნიკოლაძე**




„წითელი წყალი“ — სპას ყველაზე ცნობილი და სახიფათო მოსახვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# US OPEN
# სრული ქაოსი

*ორიოდ დღეც და მსოფლიოს დედაქალაქად წოდებულ ნიუ იორკში ათასწლეულის თუ არა (რაშიც ზოგი შეიძლება არ დაგვეთანხმოს), სეზონის უკანასკნელი დიდი სლემის ტურნირი — ყველაზე მდიდარი და ამავე დროს ყველაზე ხმაურიანი აშშ-ის ღია პირველობა დაიწყება.*

## კაცების ბადე



პატრიკ რაფტერი

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- სამპრასი (1) — საფინი
- ნოვაკი — დელგადო
- გემბილი — კუბეკი
- სანტორო — გროსჟანი
- დოსედელი — კურიე
- მელიგენი — კიმი
- შერჩეული — დი პასკალი
- კლავეტი— ლაპენტი (16)
- რუზეცკი (9) — ფერერო
- პრინოშილი — მარინი
- ბლეიქი — ვუდრაფი
- შუტლერი— რუუდი
- ბრაიანი — ლარსონი
- ბ. ბლექი — აინაუი
- სარგსიანი — რენებერგი
- შერჩეული — ტ. მარტინი (7)
- რაფტერი (4) — პიოლინი
- სიმერინკი— შერჩეული
- პორტასი — ვუდფორდი
- შერჩეული — ზაბალეტა
- არაზი — ალამი
- ვისენტე — პუენტესი
- კარბახერი — პუერტა
- ენკვისტი — ჰაასი (14)
- ფილიპუსისი (11) — ნორმანი
- პოცი — ნესტორი
- ჰიპფლი — ილი
- ფერერა — ფრომბერგი
- შერჩეული — დიასი
- ივანიშევიჩი — მანტია
- დრეეკმანი — ჰაარჰიუსი
- ულირახი — კუერტენი (5)
- ჰენმანი (6) — კანასი
- კნიპშილდი — სპედეა
- შერჩეული — ბლანკო
- შერჩეული — დენტი
- ვან ლოტუმი — შერჩეული
- შერჩეული — მორისონი
- შერჩეული — შალკენი
- კინგი — კრაიჩეკი (12)
- კორეტხა (13) — არტურსი
- როსე — ჰიუიტი
- როდრიგესი — მედვედევი
- ლარო — გაუდიო
- ტარანგო — ბიორკმანი
- კარლსენი— გუმი
- შერჩეული — ჟიბი
- მარტინი — კაფელნიკოვი (3)
- მოია (8) — ხრბატი
- გუსტაფსონი — შერჩეული
- შერჩეული — მემიტი
- რაუქსი — შერჩეული
- გოლდსტაინი — დრეიპერი
- ვაშინგტონი — კროსლაკი
- შერჩეული — სკილარი
- დამი — რიოსი (10)
- კიფერი (15) — სტოლტენბერგი
- შერჩეული — პაველი
- ფილიპინი — ჩანგი
- კლემანი— უ. ბლექი
- კოსტა — ვაჩეკი
- გიმელსტობ — გაუდენცი
- შერჩეული — შერჩეული
- კულტი — აგასი (2)

თავის დროზე თვით აურზაურისა და შარის დიდმა მოყვარულმა ჯონ მაკინროიმ „ოუფენს" ზედგამოჭრილი იარლიყი მიაკერა — სრული ქაოსი. „უესთ საიდ ტენის კლაბის" საქვეყნოდ ცნობილი „ფლაშინგ მედოუზის" კორტები მელანქოლიისა და მარტოობის მოყვარულთათვის ზედგამოჭრილი ადგილი ნამდვილად არ არის.

წლების მანძილზე უამრავ ჩოგბურთელს დაუწუწუნია აშშ-ის ღია პირველობაზე — ზოგს ახლომახლო განლაგებული სწრაფი კვების ცენტრებიდან მოსული შემწვარ-მოხრაკულის სუნის, ზოგს ყველაზე უდროო დროს თავს გადაფრენილი „ბოინგის" ხმაურის თუ ათასი სხვა მიზეზის გამო.

დაუმატეთ ამას შეუჩერებლად მოსაუბრე, გაათკეცებული ენთუზიაზმით მოქომაგე იანკების მთელი ურდოები, საოცრად მოუხერხებელი განლაგება, დიდი დაშორებით მდებარე სასტუმროები და მიხვდებით, ოთხი დიდი სლემის ტურნირიდან თავად ჩოგბურთელებს „ოუფენი" ყველაზე ნაკლებ რად ეხატებათ გულზე.

თუმცა „ფლაშინგ მედოუზის" კორტებზე გამარჯვება პრესტიჟულობით მხოლოდ უიმბლდონის მთავარი ჯილდოს ხელში შეთამაშებას თუ ჩამოუვარდება და ყოველწლიურად ასობით მოთამაშე ისევ თავდაუზოგავად ცდილობს „გოთჰემ-სითის" ნახევარ მილიონზე მეტ მაყურებელთა გულის დაპყრობას.

ისე, ტურნირის ისტორია ნიუ იორკიდან სულაც არ იწყება — პირველი აშშ-ის ეროვნული ჩემპიონატი ერთეულებში კაცებს შორის ნიუპორტის კაზინოში ჩატარდა 1881 წლის აგვისტოში, ასეთივე პირველობა ქალებისთვის კი პირველად 1887-ში ფილადელფიის კრიკეტის კლუბში მოეწყო.

თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ერთეულებისა და წყვილების ჩემპიონატები ხან სად იმართებოდა და ხან — სად. 1968-ში კი ყველა მათგანი ნიუ იორკში დაფუძნდა და მოყვარულებთან ერთად ასპარზობის უფლება პროფესიონალებსაც მიენიჭათ.

ახალი ერის დასაწყისში ტურნირში მონაწილე 96 კაცსა და 63 ქალს საპრიზოების სახით 100 ათასი მწვანე გამოეყო, რაც ჩემპიონატის დღევანდელ, გაცილებით შესქელებულ ჯიებს 120-ჯერ ჩამორჩება.

### ზოგიერთი რეკორდი:

*ყველაზე ტიტულოვანი კაცი — 7, რიჩარდ სირსი (1881-87); უილიამ ლარნიდი (1901-02, 1907-11); ბილ ტილდენი (1920-25, 1929)*

*ყველაზე ტიტულოვანი ქალი — 8, მოლა ბიურსტედტ მელორი (1915-18, 1920-22, 1926)*

*უმრწემესი კაცი ჩემპიონი — პიტ სამპრასი, 19 წელი, 28 დღე (1990)*

*უმრწემესი ქალი ჩემპიონი — ტრეისი ოსტინი, 16 წელი, 8 თვე, 28 დღე (1979)*

*ყველაზე მეტი ჩატარებული მატჩი — 115, ჯიმი კონორსი (1972-89, 91-92)*

### ფავორიტები

ბოლო ათი წლის ფინალები

**1989 ბორის ბეკერი — ივან ლენდლი 7:6, 1:6, 6:3, 7:6**
**1990 პიტ სამპრასი — ანდრე აგასი 6:4, 6:3, 6:2**
**1991 სტეფან ედბერგი — ჯიმ კურიე 6:2, 6:4, 6:0**
**1992 ედბერგი — სამპრასი 3:6, 6:4, 7:6, 6:2**
**1993 სამპრასი — სედრიკ პიოლინი 6:4, 6:4, 6:3**
**1994 აგასი — მიხაელ შტიხი**
**1995 სამპრასი — აგასი 6:4, 6:3, 4:6, 7:5**
**1996 სამპრასი — მაიკლ ჩანგი 6:1, 6:4, 7:6**
**1997 პატრიკ რაფტერი — გრეგ რუზეცკი 6:3, 6:2, 4:6, 7:5**
**1998 რაფტერი — მარკ ფილიპუსისი 6:3, 3:6, 6:2, 6:0**

ბოლო ხანებში ქალთა ჩოგბურთის ჩრდილში მოქცეულმა ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა ამ ზაფხულს საპასუხო დარტყმა არ დააგვიანეს და ჩრდილო ამერიკაში მათ მიმართ მინავლული ინტერესი ერთი-ორადაც გაზარდეს.

ეს ძირითადად მსოფლიოს პირველი ოთხი ჩოგნის დამსახურებაა — პიტ სამპრასის, ანდრე აგასის, ევგენი კაფელნიკოვის და პატრიკ რაფტერის, რომლებმაც გასულ თვეში უჩვეულოდ სტაბილურად იასპარეზეს და ადგილობრივ სპორტულ არხებს სარეკორდო რეიტინგები, ტურნირებს კი სარეკორდო შემოსავლები გაუნაღდეს.

პიტ სამპრასს აშშ-ის ღია პირველობაზე ჩოგბურთის, ალბათ, ყველაზე პრესტიჟული მიღწევის გაუმჯობესების შანსი ეძლევა — კიდევ ერთი, მე-13 ტრიუმფიც და მის კოლექციაში ისტორიაში ყველაზე მეტი დიდი სლემის ჩემპიონის ტიტული დაგროვდება.

„პიტი დინამიტურ ფორმაშია" — აღნიშნა ცინცინატის ტურნირის შემდეგ რაფტერმა და ძნელია, მას არ დაეთანხმო: სამპრასმა ივნისიდან მოყოლებული ზედიზედ ოთხი ტიტული, ზედიზედ 24 მატჩი მოიგო და მხოლოდ გასულ კვირაში, ინდიანაპოლისში წააიფორხილა, ისიც ბარძაყის ტკივილის გამო.

ამერიკელებს დიდი იმედი აქვთ, რომ „პისტოლ პიტს" მცირე ტრავმა ვერ შეაფერხებს და მისი და ანდრე აგასის საოცნებო ფინალს წინ ვერაფერი და ვერავინ დაუდგება, ყოველ შემთხვევაში, ხოტორა ანდრეც ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ამაზე თავდაჯერებული „ოუფენის" წინ არც შეიძლებოდა ვყოფილიყავი, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მსურდა, რომ ყოფილიყო — იდეალურად".

დანარჩენ მსოფლიოს კი მოულოდნელად ალმაფრენით მოთამაშე კაფელნიკოვისა და ორგზის ჩემპიონის, კიკინიანი რაფტერის ეიმედება, რომელსაც ბევრი ნიუიორკულ ჰეთ თრიქს უწინასწარმეტყველებს: „შარშან თავადაც არ ვფიქრობდი, თუ ტიტულის შენარჩუნებას მოვახერხებდი, მაგრამ წლეულს უკვე მჯერა, რომ გამარჯვება შემიძლია".

*სხვა ფავორიტები და სახიფათოები: გუსტავო კუერტენი, მარსელო რიოსი, ნიკოლას კიფერი, ვინს სპედეა.*

ბოლო 10 წლის ფინალები

**1989 შტეფი გრაფი — მარტინა ნავრატილოვა 3:6, 7:5, 6:1**
**1990 გაბრიელა საბატინი — გრაფი 6:2, 7:6**
**1991 მონიკა სელეში — ნავრატილოვა 7:6, 6:1**
**1992 სელეში — არანჩა სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:3**
**1993 გრაფი — ჰელენა სუკოვა 6:3, 6:3**
**1994 სანჩეს-ვიკარიო — გრაფი 1:6, 7:6, 6:4**
**1995 გრაფი — სელეში 7:6, 0:6, 6:3**
**1996 გრაფი — სელეში 7:5, 6:4**
**1997 მარტინა ჰინგისი — ვინუს უილიამსი 6:0, 6:4**
**1998 ლინდსი დევენპორტი — ჰინგისი 6:3, 7:5**

ქალებს შორის გამარჯვების გამოკვეთილი ფავორიტი სამია — მარტინა ჰინგისი, ლინდსი დევენპორტი და ვინუს უილიამსი.

როლან გაროსის ფინალში სამარცხვინო მარცხისა და უიმბლდონის პირველივე წრეში 16 წლის ელენა დოკიჩთან განადგურების შემდეგ ჰინგისს ამ ზაფხულს ბევრი რამ ჰქონდა გამოსასწორებელ-დასამტკიცებელი და 18 წლის შვეიცარიელმაც არ დაახანა: ტრენაჟორებთან ხანგრძლივი ვარჯიშით კუნთები დაიბერა, ორი ტურნირი მოიგო და მსოფლიოს პირველი ჩოგნობაც დაიბრუნა.

„არ მომწონს, როდესაც ვინმე მჯობნის, ამიტომ აჰა, ისევ აქ ვარ" — ჩვეული ტონი და თავდაჯერება დაუბრუნდა მარტინას ხმას, თუმცა ჰარდი მაინც ამერიკელების საფარია და მასაც მასპინძელთა მხრიდან დიდი კონკურენცია ელის.

ლინდსი დევენპორტი აგვისტოში ძველებურად შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა, მაგრამ, როგორც უიმბლდონმა გვიჩვენა, ახმახი კალიფორნიელი დიდი სლემის ტურნირებზე ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება: „ყველაფერი იმის შემდეგ, რასაც მივაღწიე, ადრინდელი ნერვიულობა და თავდაუჯერებლობა სადღაც გაქრა, ახლა მწამს, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლია".

რაც შეეხება ვინუს უილიამსს, უკვე ორი წელია, მისგან ყველა „მეიჯორის" მოგებას ელის და სად იქნება ამისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი, თუ არა ნიუ იორკში, პირველი მსხვილი წარმატების მომტან ტურნირზე.

*სხვა ფავორიტები და სახიფათოები: სერენა უილიამსი (თუ ტრავმა მოირჩინა), ელენა დოკიჩი, ჟული ალარი, ჯენიფერ კაპრიატი.*

**ავთანდილ სვანიძე**

## ქალების ბადე



ლინდსი დევენპორტი

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ჰინგისი (1) — ჰრდლიჩკოვა
- ჰოპკინსი — პიტკოვსკი
- შერჩეული — ლეზენაროვა
- კლეინოვა — ჩი
- ტორენს-ვალერო — შნიდერი
- ლუა — რეიმონდი
- პრატი — ტიუ
- დოკიჩი — სანჩეს-ვიკარიო (10)
- მორესმო (15) — ენენი
- ბრანდი — დე შვარდტი
- ლუჩიჩი — დე ლოუნი
- ჩერვანოვა — სნაიდერი
- ტალაია — ჰუბერი
- კრეიბასი — კრემერი
- შერჩეული — შაფნესი
- ვანგი — ნოვოტნა (8)
- ვ. უილიამსი (3) — შერჩეული
- სიდო — კურტუა
- ბახევა — ნაგიოვა
- შერჩეული — ნეიდლი
- შერჩეული — შერჩეული
- ორემანსი — ფერნანდესი
- გრანდე — შვარცი
- დრეიკი — ვან რუსტი (13)
- შეტი (12) — შერჩეული
- შერჩეული — გლასი
- ჰოპმანსი — ვაგნერი
- გალიარდი — რუანო-პასკუალი
- ლიხოვცევა — შერჩეული
- ხლადკოვა — შერჩეული
- ტანასუგარნი — პანოვა
- სპირლეა — კუტცერი (6)
- ს. უილიამსი (7) — პო
- შერჩეული — ვაშინგტონი
- დეში— შერჩეული
- შერჩეული — კლაისტერსი
- ზულაგა— გრენვილი
- პაპადაკი— დემენტიევა
- სრებოტნიკი — დეშომ-ბალრე
- რუბინი — მარტინესი (16)
- ტოზია (11) — სტივენსონი
- სანჩეს ლორენცო — შერჩეული
- კაპრიატი — მაიოლი
- გოლარსა — ნურლანდერი
- ჰაბსუდოვა — ნემეჩკოვა
- სუგიამა — სმეშნოვა
- შერჩეული — ფარინა
- რიტნერი — სელეში (4)
- პირსი (5) — ნაჩუკი
- გარსია — რიპნერი
- ბარაბანშიკოვა — მონტოლიო
- მიდლტონი — სუარესი
- ოსტერლოჰი — რივსი
- შერჩეული — აპელმანსი
- სერნა — კალენსი
- ვაინგარტნერი — ტესტიუ (14)
- ალარი (9) — ბლექი
- ლი — სტოიანოვა
- პლიჩკე — მოლიკი
- ტატარკოვა — კოშტო
- ზვერევა — გოროჩატეგი
- მილერი— ფრეზერი
- დრაგომირი — კუტი კისი
- მორარიუ — დევენპორტი (2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამეორე

**ᲬᲘᲜᲐ** ფურცელში კლეი-ლისტონის სკანდალური მატჩის შემდგომ სცენებს რომ აღვწერდი, გადაწყვეტილი მქონდა, ამ ორი დიდი მოკრივის ბრძოლათა მთელი იატაკქვეშეთი გამომემზეურებინა. მაგრამ, ვიფიქრე, უმჯობესი იქნება, ამ დიდი თაღლითობის განხილვამდე სონი ლისტონის ცხოვრების ორიოდე სურათს მაინც გამოვაცოცხლებ, რახანლა — დიახ, არ უყვარდათ, მაგრამ სონი დიადი მებრძოლი გახლდათ და მისი საფლავის ქვასაც ლას ვეგასის სასაფლაოზე აწერია: „ის პიროვნება იყო“. მისი კუბო კი ჯო ლუისს მიჰქონდა.

სონი ოცდაცხრამეტი წლისა გარდაიცვალა — ბრგე, ჯანიანი, განგსტერთა მეგობარი.

სონის ნათქვამია: „კრივი ვესტერნივითაა. არიან კარგი ბიჭები და არიან ცუდი ბიჭები. ხალხი იმისთვის იხდის ფულს, რომ ნახოს, როგორ ამარცხებს კარგი ბიჭი ცუდ ბიჭს, მაგრამ მე ეს ყველაფერი თავდაყირა დავაყენე. მე ცუდი ბიჭი ვარ და ვერავინ მერევა“.

ჩარლზ ლისტონი 1932 წელს დაიბადა არკანზასის შტატის ერთი მივარდნილი ქალაქის, პაინ-ბლაფის განაპირას, ზანგურ ქუჩაზე, ზანგურ ქოხმახში. მამამისი ერთი ლოთი, მუშტიკრივისა და დედის გინების ტრფიალი კაცი იყო და ორი ცოლისგან ოცდახუთი შვილი მისცემოდა. ვერც კი არჩევდა, რომელი შვილი რომელი ცოლისგან ჰყავდა. სამაგიეროდ, მკლავის გაშლა უყვარდა და შვილებს დაუნანებლად სცემდა. ჩარლზმა იცოდა, რომ დედამისი ამ ქოხიდან ადრევე გაქცეულიყო და სენტ ლუისში ცხოვრობდა. ამიტომაც, ცამეტისა რომ შესრულდა, მამა მიატოვა და დედასთან გაიქცა.

ამბობენ, ერთადერთი ადამიანი, რომელიც მართლა უყვარდა, დედა იყოო. მეტსახელი სონიც (SONNY) „შვილიკოდ“ თუ მოითარგმნება. ცამეტი წლისა კი იყო, მაგრამ უკვე ოცისას ჰგავდა და ყველას ერეოდა. ერთხელ გაასამართლეს ძარცვისთვის — პირობითი აკმარეს. მეორედ გაასამართლეს და მისურის საოლქო ციხეში უკრეს თავი.

კრივისა მას არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ციხეში იყო ერთი კეთილი ზედამხედველი, რომელმაც ბევრი რამ იცოდა კრივისა და ცხოვრებისა. აი, ვინ გამოდგა სონის ნამდვილი მამა! აი, ვინ მოკიდა ხელი. კრივისა და ცხოვრების ანაბანი ციხეშივე შეასწავლა. ორ წელიწადნახევარში გაათავისუფლეს კარგი მოქცევისთვის და ხუთწლიანი გამოსაცდელი ვადაც დაუთქვეს. მაგრამ მისურის ციხეში ბოლომდე ახსოვდათ. უკვე მსოფლიოს ჩემპიონად გამხდარს იქიდანაც მოუვიდა მილოცვა: „სონი, გილოცავთ! ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ, ცუდი ბიჭო!“

„ერთ-ერთ ჩვენგანად“ დარჩა მთელი სიცოცხლე. ოცდასამი წლის სონი ლისტონს ცხრამეტი სასამართლო გამოძახება დაუთვალეს ჟურნალისტებმა. მაგრამ მანამდე, ციხიდან ახალ გამოსულს პროფესია ჰქონდა — კრივი. თავიდან მოყვარულთა შორის ირჯებოდა, შემდეგ კი პროფესიონალებში გადავიდა და მალევე დაიგდო სახელი: ცხრამეტიდან ცხრამეტი მოგება და ჩვიდმეტი ნოკაუტი.

„კოზა ნოსტრა“ გაგეგონებათ. 50-იანი წლისათვის მაფიოზთა ორგანიზაცია მხილებულიც იყო და სახელგანთქმულიც. კრივშიც ფეხმოკიდებული გახლდათ და ჩიკაგოში იჯდა კრივის იატაკქვეშა მამად ცნობილი ოქროსკბილება განგსტერი ფრენკი კარბო. მის მხარდამხარ კი ილვწოდა გაქნილი მაფიოზო და მენეჯერი ბლინკი პალერმო.

სენტ ლუისში საკრივო საქმიანობა აინტერესებდა ჯონი ვიტოლეს, ადგილობრივი მაფიის მეთაურს. ვიტოლე გაზეთებს კითხულობდა. გაზეთებში კი წერდნენ, თუკი ვინმეა დღეს, კრივის მომავალ მეფედ რომ მოვიაზროთ, სონი ლისტონიო. და შეიკრა პირობა — ვიტოლე ლისტონის მენეჯერი გახდა და ამის შემდეგ სონის აღარაფერი გასჭირვებია.

მაგრამ, ო, მაგრამ. ის „ერთ-ერთ ჩვენგანად“ რჩებოდა. ჯერ კიდევ არ გასვლოდა გამოსაცდელი ვადა, როცა ქუჩის ინციდენტში გაეხვა. ტაქსისტი, რომელსაც სონი შინ მიჰყავდა, პოლიციელმა დააჯარიმა. სონი მძღოლს გამოექომაგა. ზორბა და ჯანიანმა კანონის დამცველმა ერთი ახედ-დახედა ლისტონს და უთხრა, პირმყრალო ნიგერო, ენა ჩაიგდეო. გამხეცებულმა სონიმ ნოკაუტი არ აკმარა. ორივე ფეხი მოტეხა და სატაბულო იარაღიც აართვა.

ამისათვის ათწლიანი სასჯელი ელოდა, მაგრამ ვიტოლემ მთელი თავისი გამავლობა დაატრიალა, შემთხვევა პოლიციელს გადააბრალა და ლისტონს ცხრა თვით იძულებითი მუშაობა-ლა მიუსაჯეს. ამ სასჯელის შემდეგ ჩნდება იგი ჩიკაგოში — ვიტოლე ბლინკი პალერმოს ჩუქნის ამერიკის ყველაზე პერსპექტიულ მოკრივეს.

სწორედ ბლინკის ხელში ვარჯიშობს სონი კარგ მწვრთნელთან, სწავლობს პრესასთან მოქცევას, ტელევიზიით გამოსვლის ხელოვნებას. მაგრამ ბლინკის ხელშივე ხდება განგსტერთა ნაღდი ხელქვეითი, ცემს და აშინებს ურჩ ხელქვეითებს, რისთვისაც ყოველკვირეული ხელფასი აქვს დანიშნული. ის უსიტყვო, დაუნდობელი ჯალათი ხდება. რინგზე კი წარმატება წარმატებას მოსდევს. უკვე ღიად ლაპარაკობენ, რომ ლებებს ქოქავენ და ამერიკის ეროვნული საკრივო ასოციაციაც ველარ ხუჭავს თვალს — სონი ლისტონს ჩემპიონობის ნომერ პირველ პრეტენდენტად ასახელებს.

ჩემპიონად კი ამ დროს ფლოიდ პატერსონია, ახალგაზრდა კაცი, რომელიც განასახიერებს შავი ამერიკის ყოველივე დადებითსა და კარგს. საზოგადოებრივი აზრი ბობოქრობს. ყოველი მხრიდან მოუწოდებენ ფლოიდს. არ შეხვდეს ყაჩაღს. ლეგენდარული ჯეკ დემპსი ამბობს:

— მის ხელებს ხელბორკილი უხდება და არა ხელთათმანი.

მაგრამ პალერომს მაინც გააქვს თავისი და ფლოიდი ამბობს:

— სონის უნდა ვაპატიოთ მძიმე წარსული და დავუნიშნოთ მატჩის დღე. ეს მისი ჭაობიდან ამოყვანის შანსია. ამ ჭაობში ცხოვრებამ ჩაითრია.

პრეზიდენტ კენედისთან შეხვედრისას პატერსონი ასახელებს თარიღს და ადგილს — 1962 წლის 25 სექტემბერი, ჩიკაგოს კომისკის პარკი.

წინა რიგებში ბილეთი ასი დოლარი ღირდა. კინოთეატრებში დამონტაჟებულ დიდ ტელეეკრანებზე ბრძოლის ხილვა კი ხუთი-ათი დოლარი ჯდებოდა.

მაყურებელს არასოდეს გადაუხდია ამდენი ასეთი ხანმოკლე სანახაობისათვის: ბრძოლის დაწყებიდან 126 წამის შემდეგ ფლოიდ პატერსონი ფიცარნაგზე განერთხო და ველარ წამოდგა. სონი ლისტონი, განგსტერთა ხელქვეითი, ჩემპიონი გახდა.

იგონებენ იმდროინდელ განწყობას: ყოველ წესიერ ადამიანს შეძრავდა ლისტონის ფერხთით გაშხლართული პატერსონის ხილვა. თითქოს ბოროტებას გაემარჯვა.

# ერთ-ერთი ჩვენგანი



ასე ურტყამდა სონი ლისტონი



ასე იმარჯვებდა სონი ლისტონი



ასე ვარჯიშობდა სონი ლისტონი



ამ ფოტომ შეძრა მთელი წესიერი ამერიკა!
სონი ლისტონის ფერხთით გაშხლართული ფლოიდ პატერსონი

სონის საჩემპიონო ბრძოლა ეკუთვნის. კრივის მეისტორიენი წერენ, ლისტონი რომ განგსტერთა ყმა არ ყოფილიყო, გაცილებით ადრე გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონიო.

პალერმო და კარბო საინფორმაციო საშუა-

სონი ლისტონი, სიმაღლით 185 სანტიმეტრი, წონით 100 კილოგრამი, დიდი,ბოროტი დათვი, რომლის ხელის მტევნის გარეშემოწერილობა 36 (!) სანტიმეტრი იყო, დაუმარცხებელი ჩანდა. თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1963 წლის 22 ივლისს, ლას ვეგასში მატჩ-რევანში შედგა. ამ ჯერზე ლისტონს 130 წამი დასჭირდა პატერსეონის წასაქცევად.

მაგრამ ჩემპიონობამ დიდად ვერ გაამდიდრა „ერთ-ერთი ჩვენგანი“. საგადასახადო სამსახურმა ყადაღა დაადო მის ანგარიშებს და საჩემპიონო ჰონორარებს. კიდე ერთხელ გახმიანდა — განგსტერთა კაციაო.

თავისი დროის უძლიერესი მოკრივე იყო სონი ლისტონი. ამის მიუხედავად, დიდხანს ვერ გაძლო ტახტზე. მიზეზი კრივში არ იყო. მიზეზი სამოქალაქო საზოგადოება გახლდათ. ლისტონს ყაჩაღად მიიჩნევდნენ. ის არ უყვარდათ. ჟურნალისტები მხოლოდ მის შავ წარსულზე წერდნენ, რადგან ჩემპიონი ვერაფერს ამბობდა საინტერესოს.

ეს კი ძალიან ცუდი რამ იყო ჩემპიონისთვის.

კი, დიდმა გამარჯვებებმა შეცვალეს ლისტონის ცხოვრება — ის მოქალაქეს დაემსგავსა, იყიდა დიდებული სახლი, კადილაკი. დაოჯახდა. მაგრამ აბა რა შეცვლიდა სონის?

ახალი იყო საჭირო.

და აქედან იწყება ორმატჩიანი ისტორია კასიუს კლეისთან შეყრისა და ლისტონის ორი უცნაური მარცხისა. ამის შესახებ უცილობლად გიამბობთ შემდეგსავე ფურცელში, მაგრამ იმის თქმა, რომ ლისტონმა არც ამ მარცხის შემდეგ მიატოვა რინგი, აქაც მოესწრება.

კლეისთან მარცხის შემდეგ ლისტონმა ბრწყინვალედ მოიგო ზედიზედ თოთხმეტი ბრძოლა. 1969 წელს მოულოდნელად დამარცხდა საშუალო გაქანების ლეოტის მარტინთან (ამასაც თაღლითობის სუნი უდიოდა), მომდევნო წლის ივნისში კი უკანასკნელად გავიდა რინგზე და ტექნიკური ნოკაუტით სძლია ჩაკ ვეპნერს. ამბობენ, ამ ბრძოლის წინ ლისტონს იატაკქვეშა მეფსონეები მიადგნენ და წაგება სთხოვესო. გამხეცებულმა სონიმ კი ისე მოაქცია ვეპნერი, რომ მას 54 ნაკერი დაადეს...

ამის შემდეგ რინგზე აღარ გასულა.

ის 1971 წლის 6 იანვარს იპოვეს მკვდარი, საკუთარ სახლში. ცოლი თურმე სენტ ლუისში სტუმრობდა დედასთან და სონი შინ მარტო იყო. ექსპერტმა დაადგინა, რომ ერთი კვირის მკვდარი იყო. სხეულზე აღმოუჩინეს ნანემსარების მსგავსი წერტილები, თუმც ყველამ იცოდა— „ერთ-ერთი ჩვენგანი“ ნარკოტიკებს არასდროს გაკარებია. თანაც, ეს თავზეხელაღებული კაცი შპრიცის დანახვაზე ფითრდებოდა.

საწოლთან ედო ტყვიებით გამძგილი, ჩახმახზე შეყენებული კოლტი.

წაიჭორავეს — მაფიას აწყენინაო.

ბლინკი პალერმო და ფრენკი კარბო უკვე კარგა ხნის გასამართლებულები იყვნენ და ოცწლიან სასჯელს იხდიდნენ.

რომელმა მაფიამ?

ღმერთმა იცის — სონი ორმოცისაც არ იყო. დიდი მოკრივე, ცუდი ბიჭი — „ერთ-ერთი ჩვენგანი“.

# კუბას აღარ უნდა მსოფლიო კრივი

## თავისუფლების კუნძულის ნაკრები ჰიუსტონის რინგს ტოვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიდი** ამბავი ატეხა მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კუბის დელეგაციამ. ლეგენდარულმა ფელიქს სავონმა პროტესტის ნიშნად მიატოვა ფინალური ბრძოლა და უარი თქვა ზედიზედ მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონობაზე.

ამერიკელ მაიკლ ბენეტთან შეხვედრის წინ სავონი რინგზე ავიდა, წრე შემოუარა და შემდეგ უსიტყვოდ მიატოვა იქაურობა. ბენეტი კი მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა.

სავონის პროტესტი მხოლოდ მისი პროტესტი კი არ იყო, არამედ მთელი ნაკრებისა და თვით ფიდელ კასტროსი.

სწორედ საონ-ბენეტის ბრძოლამდე მოხდა ამბავი, რომელმაც ალაშფოთა კუბის გუნდის მეთაურები, განთქმული თეოფილო სტივენსონი და მთავარი მწვრთნელი ალსიდეს საგარა.

მოხდენით კი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: 67 კილოგრამამდე კატეგორიის ფინალში კუბელი ხუან ერნანდესი 3:5-ზე დამარცხდა რუს ტიმურ გაიდოლოვთან. კომპიუტერით დამთვლელმა ხუთივე მსაჯმა რუსის გამარჯვება აღნიშნა. მაგრამ ერნანდესმა გააპროტესტა გადაწყვეტილება, რინგზე დაჯდა და დაჯილდოებაში მონაწილეობა არ მიიღო. მისი საპროტესტო ჯდომა 15 წუთს გაგრძელდა. შემდეგ კი ერნანდესმა თქვა, რომ რუსს აკრძალული მეთოდით ჰქონდა დახვეული აკრძალული ხელთათმანსქვეშა სახვევები.

„ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო"— განაცხადა კუბის კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ვილანოვამ — „ოთხი კუბელი მოკრივე ძალით გამოთიშეს შეჯიბრიდან. ჩვენ მოვითხოვთ, სასწრაფოდ გაუქმდეს ერნანდესის ბრძოლის შედეგი. თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სავონი არ იბრძოლებს. თუ კრივის მამები დღეს ვერ მოასწრებენ განხილვას, მაშინ სავონის ბრძოლა ხვალისთვის გადადონ".

მოყვარული მოკრივეთა ასოციაციის პრეზიდენტი ანვარ ჩაუდრი კუბელებს კი შეხვდა, მაგრამ ამ შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო და ვილანოვამ კრივს „ჭუჭყიანი" უწოდა.

თეოფილო სტივენსონი ტელეფონით ესაუბრა ფიდელ კასტროს და იმანაც ურჩია, აიბარგეთ, მაგათი ჭკუაცო.

ეს კი ასეა, მაგრამ კუბელთა პროტესტი ერთგვარად მაინც უკავშირდება მათ აშკრა და უიღბლო გამოსვლას ჰიუსტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე. შეჯიბრს სხვადასხვა ეტაპზე გამოეთიშნენ მანუელ მანტილია, ვალდერას ფონტი, მარიო კინდელანი, ალექს რუბალკაბა და დიოგენეს ლუნა. ამიტომ, კუბელთა პროტესტი საკუთარი ნამუსის მოწმენდას ჩამოჰგავს, აქაოდა, დაგვჩაგრესო.

კუბელთათვის განსაკუთრებით შემძვრელი იყო სამი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი ოლიმპიური ჩემპიონის მაიკრო რომეროს გამანადგურებელი მარცხი ამერიკელ ბრაიან ვილორიასთან. ამ თვრამეტი წლის ჰავაელმა მსუბუქწონოსანმა 9:2 მოუგო რომეროს და ამერიკას პირველი ოქრო აჩუქა 1995 წლის შემდეგ.

სავონის ამბავი კი მართლაც გულდასაწყვეტი იყო. თავად ბენეტმა თქვა: „ვხვდები, რაღაც პოლიტიკურია, მაგრამ რა თავში ვიხლი ასეთ მოგებას?"

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ფელიქს სავონი



# ტარასოვი ბუბკას ძეგლს ვერ გადაახტება

სიტყვის კაცი ყოფილა მაიკლ ჯონსონი. სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ საქვეყნოდ განაცხადა, 400 მეტრზე ბუჩ რეინოლდსის მიერ 11 წლის წინ ციურიხში დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს დავამხობო. ჰოდა, აგერ, ბატონო, ანდალუზიის დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე ისე იქროლა, აღრინდელ 43,29 წამს თერთმეტი მეასედი ჩამოპარსა და 43,18-ით რეკორდსმენის სახელიც დაიგდო. „შავ ავაზად" წოდებული ჯონსონისთვის რეკორდსმენობა არც აქამდე ყოფილა უცხო ხილი. ატლანტის ოლიმპიადაზე 200 მეტრი საოცარ დროში — 19,32 წამში გაირბინა, რაც ამ დისტანციაზე მანამდე ნაჩვენებ შედეგთა შორის საუკეთესო იყო და, ცხადია, ოლიმპიური ოქროც ირგუნა.

ერთი სიტყვით, სახელი და დიდება ამერიკელ მძლეოსანს არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ ქომაგები მას სხვათაგან განსხვავებული რბენის, ერთობ უჩვეულო მანერის გამო გამოარჩევენ. წელში გამართული, ლამის ნიკაპამდე აწეული მუხლებით და უზარმაზარი ნაბიჯებით — ასეთია „შავი ავაზა" სარბენ ბილიკზე.

უკრაინელმა ოცდათხუთმეტგზის მსოფლიოს რეკორდსმენმა სერგეი ბუბკამ ერთი პირობა კი მოინდომა სევილიაში ჩასვლა და ხელში ჭოკის აღება, მაგრამ მერე ტრავმა მოიმიზეზა. ბარსელონის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი მაქსიმ ტარასოვი ალბათ ამიტომაც იმუქრებოდა, სევილიურ ოქროს არავის დავანებებო. ასეც მოხდა. ტარასოვი 6.02 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და როგორც იქნა, მსოფლიოს ჩემპიონატზე იმარჯვა. როგორც იქნაო, იმიტომ ვამბობთ, რომ წინა ორ მსოფლიოს პირველობაზე სწორედ ბუბკამ მოიპოვა ოქროს მედლები და მაშინ ისეთ ფორმაში იყო, ტარასოვი კი არა, ციდან ღმერთი რომ ჩამოსულიყო, ისიც ვერ აჯობებდა.

ტარასოვი სევილიაში გამარჯვებამ ისე გააყოყლოჩინა, შეჯიბრის მერე გამართულ პრესკონფერენციაზე თავმომწონედ განაცხადა: „მე არ ვარ მეორე ბუბკა, მე მაქსიმ ტარასოვი ვარ. ბუბკას სევილიაშიც რომ ესპარეზა, მაინც ოქროს დავეუფლებოდი". არადა, ღმერთი, რჯული, არავის მოსვლია აზრად, ტარასოვი ბუბკასთვის შეედარებინა. და კიდევ: გუშინ დონეცკში „დიდ უკრაინელს", როგორც ბუბკას უწოდებენ, ძეგლი დაუდგეს. აი, მაქსიმს კი როდის ეღირსება ასეთი პატივი, არავინ უწყის. აქვე ჭოკით მხტომელ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებზეც ვთქვათ. გაავსტრალიელებულმა დმიტრი მარკოვმა 5,90 მეტრი დაძლია, მერე 6.07-იან თამასასაც შეუტია, მაგრამ ამაოდ. ბრინჯაო კი ებრაელმა ალექსანდრ ავერბუხმა (5,80) მოიპოვა. და სად იყო ამ დროს ოლიმპიური ჩემპიონი ფრანგი ჟან გალფიონე? სად და, ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ტარასოვის გაჩემპიონებას, რადგან საკვალიფიკაციო შეჯიბრში 5,70 მეტრსაც ვერ გადაახტა და ფინალში ველარ გავიდა.

ეტყობა, 10000-მეტრიანი დისტანცია ეთიოპიელების საკუთრებაა. კაცებში რომ დიდმა ჰაილე გაბრესელასიემ იმარჯვა, ეს უკვე გაცნობეთ. ქალთა შეჯიბრზე კი ახლა მოგახსენებთ. ჰაილეს თვისტომი, ჩია და გალეული გეტე ვამი მთელი ცხრა კილომეტრის მანძილზე ფეხდაფეხ მისდევდა ბრიტანელ პაულა რედკლიფს, ბოლო წრეზე ერთი ღრმად ჩაისუნთქა, სისწრაფეს მოუმატა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. რედკლიფს ვერცხლი დარჩა, კენიელი ტეგლა ლურუპე ბრინჯაოს დასჯერდა. სახელოვანმა პორტუგალიელმა ფერნანდო რიბეირომ კი დისტანციის დამთავრებაც ვერ შეძლო.

გუშინწინ 400 მეტრზე მორბენალ ქალთა ფინალური გარბენის დღეც იყო. ათენის მსოფლიოს ჩემპიონი, ტრავმამოშუშებული კეტი ფრიმანი წლეულს დაუბრუნდა სარბიელს. „ოქროს ლიგის" მონაკოს და დიდი პრიზის ლონდონურ ტურნირებში იმარჯვა და, ახლა სევილიისთვის მზად ვარო, თქვა. რას ერჩით, მართალი ყოფილა კეტი. ჩავიდა ესპანეთში და იჩემპიონა კიდეც. ფრიმენმა 400 მეტრი 49,67 წამში დაფარა და გერმანელი ანია რიუკერი (49,74) და იამაიკელი ლორენ გრემი (49,92) ვერცხლ-ბრინჯაოს დააჯერა.

**სოსო კოტორეიშვილი**

SEVILLA'99

### მაიკლ ჯონსონი

დაიბადა 1967 წლის 13 სექტემბერს

მსოფლიოს ჩემპიონი 200 და 400 მეტრზე — 1995

მსოფლიოს ჩემპიონი 400 მეტრზე — 1997

ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 და 400 მეტრზე — 1996

მსოფლიოს რეკორდსმენი

200 მ, 19,32, ატლანტა — 1996;

400 მ, 43,18, სევილია — 1999

მსოფლიოს ჩემპიონატების რვა ოქროს მედლით გაუტოლდა სახელოვან თანამემამულე კარლ ლუისს.



### ყველა რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ჰერბ მაკინლი (იამაიკა) | — 46 წმ | 29.06.1941 |
| ჰერბ მაკინლი | — 45,9 | 02.07.1948 |
| ჯორჯ როდენი (იამაიკა) | — 45,8 | 22.08.1950 |
| ლუ ჯონსი (აშშ) | — 45,4 | 18.03.1955 |
| ლუ ჯონსი | — 45,2 | 30.06.1956 |
| ოტის დევისი (აშშ) | — 44,9 | 06.09.1960 |
| კარლ კაუფმანი (გფრ) | — 44,9 | 06.09.1960 |
| მაიკლ ლარაბი (აშშ) | — 44,9 | 12.09.1964 |
| ტომი სმიტი (აშშ) | — 44,5 | 20.05.1967 |
| ლარი ჯეიმსი (აშშ) | — 44,1 | 14.09.1968 |
| ლი ევანს (აშშ) | — 43,86 | 18.10.1968 |
| ბუჩ რეინოლდსი (აშშ) | — 43,29 | 17.08.1988 |
| მაიკლ ჯონსონი (აშშ) | — 43,18 | 26.08.1999 |



ღირსია და, სერგეი ბუბკას ძეგლიც აუგეს



მაქსიმ ტარასოვი

### ტექნიკური შედეგები

**27 აგვისტო. პარასკევი**

200 მ. (კაცები)

1. მორის გრინი (აშშ) 19,90 წმ
2. კლაუდინიო და სილვა (ბრაზილია) 20,00
3. ფრანცის ობიკველუ (ნიგერია) 20,11

200 მ. (ქალები)

1. ინგერ მილერი (აშშ) 21,77 წმ
2. ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) 22,22
3. მერლინ ფრეზერი (იამაიკა) 22,26

5 000 მ. (ქალები)

1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 14.41,82 წთ
2. სარა გუაზიზი (მაროკო) 14.43,15
3. აიელეშ ვორკუ (ეთიოპია) 14.44,22

400 მ. თარჯრბენი (კაცები)

1. ფაბრიციო მორი (იტალია) 47,72 წმ
2. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) 48,12
3. მარსელ შელბერტი (შვეიცარია) 48,13

20 კმ. სპორტული სიარული (ქალები)

1. ლი ჰონგი (ჩინეთი) 1.30,50 სთ
2. ვანგ იანი (ჩინეთი) 1.30,52
3. კერი იუნა (ავსტრალია) 1.31,18

### ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| 1. აშშ | 8 | 1 | 3 |
| 2. გერმანია | 4 | 4 | 2 |
| 3. რუსეთი | 4 | 1 | 3 |
| 4. ეთიოპია | 2 | 0 | 2 |
| 5. რუმინეთი | 2 | 0 | 1 |
| 6. ჩეხეთი | 2 | 0 | 0 |
| 7. ბრიტანეთი | 1 | 3 | 2 |
| 8. კენია | 1 | 3 | 1 |
| 9. მაროკო | 1 | 2 | 1 |
| 10. კუბა | 1 | 2 | 0 |
| 11. იტალია | 1 | 2 | 0 |
| 12. ავსტრალია | 1 | 1 | 2 |
| 13. საბერძეთი | 1 | 1 | 2 |
| 14. საფრანგეთი | 1 | 1 | 0 |
| 15. ჩინეთი | 1 | 1 | 0 |
| 16. ესპანეთი | 1 | 0 | 1 |
| 17. კანადა | 0 | 2 | 0 |
| 18. ბრაზილია | 0 | 2 | 0 |
| 19. იამაიკა | 0 | 1 | 3 |
| 20. უკრაინა | 0 | 1 | 2 |
| 21. ბულგარეთი | 0 | 1 | 0 |
| 22. ეკვადორი | 0 | 1 | 0 |
| 23. უნგრეთი | 0 | 1 | 0 |
| 24. მოზამბიკი | 0 | 1 | 0 |
| 25. მექსიკა | 0 | 0 | 2 |
| 26. სამოა | 0 | 0 | 1 |
| 27. სირია | 0 | 0 | 1 |
| 28. ისრაელი | 0 | 0 | 1 |
| 29. ნიგერია | 0 | 0 | 1 |
| 30. შვეიცარია | 0 | 0 | 1 |

## გერმანია

III ტური

**კაიზერსლაუტერნი 0:2 არმინია**

0:1 ლაბადია (51), 0:2 მაისნერი (87)

**შალკე 1:3 ჰამბურგი**

1:0 ვილმოტსი (31), 1:1 შოლერბახი (45), 1:2 ნ. კოვაჩი (54), 1:3 შოოგმა (58)

II ბუნდესლიგა. III ტური

**კიოლნი 4:1 კიკერსი**

**ჰანოვერი 2:2 ვალდჰოფი**

**ხემნიცი 3:0 ოფენბახი**

## ჰოლანდია

III ტური

**კამბური 0:3 აიაქსი**

## ინგლისი

I დივიზიონი. V ტური

**ქრიუ 1:1 გრიმსბი**

**სტოკპორტი 2:0 ბირმინგემი**

III დივიზიონი. IV ტური

**ნორთჰემპტონი 1:0 ლინკოლნი**

## კასპაროვი — მსოფლიო



1 e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4





REUTERS ლიეჟიდან




## ნამდვილ რბოლამდე

*ბელგიის დიდი პრიზის მოლოდინში ფორმულა 1-ის გლადიატორებს ნაირნაირი გასართობი გამოუძებნიათ. „ფერარისა“ და მიმდინარე შეჯიბრის ლიდერი ედი ირვინი ჩქარ მოპედს, სკუტერს შემოჯდომია და სხვებთან ერთად აპირებს განავარდებას.*

*ფრანკორშამის ტრასა მრბოლთ ელის, „მის ბელგია“ბრიგუდა კალენსი კი საფორმულო მარაქაში გარეულა და დროშის ფრიალით შეახსენებს ხალხს, კვირას რბოლაა, მანამდე კი ჩემი ცქერით დატკბითო.*

## მცირე ლიგის გრძნობები

პენსილვანიაში გრძელდება ბეისბოლის მცირე ლიგის მსოფლიო სერია, ნორჩთა მთავარი საერთაშორისო შეჯიბრი. თქვენ ხედავთ მოზეიმე იაპონელებს, რომლებიც ძალიან გაუხარებია ჰარაკატას გუნდის მორიგ ჰოუმრანს. იაპონელებმა 12:2 მოუგეს პუერტორიკოელებს და მარიამობას ფილანურ შეხვედრაში ითამაშებენ.



REUTERS უილიამს სპორტიდან



REUTERS სენტ კატერინიდან

## არგენტინელი ფინალში

*ხაროზს არგენტინელი მარია ხულია გაროსიაინი. კანადაში, ონტარიოში მიმდინარე ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ის ერთ-ერთი იმათგანი შეიქნა, ერთეულთა ფინალში რომ გააღწია.*

## მეორე რონალდინია

*ეს მობურთალი გოგო მილენ დომინგუშია. ცოტა ფეხბურთიც იცის და ცოტა მოდელის ხელობაც. მსოფლიოს ფოტოგრაფთა ფირებზე კი იმიტომ აღბეჭდილა, რომ რონალდოს ახალ მიჯნურად ითვლება. სუზანა ვერნერთან განშორების შემდეგ „ინტერის“ ვარსკვლავი სწორედ ამ გოგოს გაჟღურტულებია და ოხერმა მედიამაც გააცნო მსოფლიოს რიგით მეორე რონალდინია.*



REUTERS სან პაულუდან


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli